ჯერ არ იყო 1918 წ-ის მაისის ბრძოლები დასრულებული, რომ წყდებოდა საკითხი, იქნებოდა თუ არა არმენია ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებელი ნაწილი, შემდეგ კი, – დამოუკიდებელი სახელმწიფო, – მის მცირე ნაწილზე, რომ ამ ფედერაციაში შემავალი ქვეყნების ინტერესთა ერთობის მოჩვენებითობა გამჟღავნდა.

1918 წ-ის 26 მაისს საქართველოს ფრაქციამ განაცხადა სეიმიდან გასვლის შესახებ, რაც დაასაბუთა რესპუბლიკის შექმნის სურვილით და რომ გადადიოდა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. აზერბაიჯანელმა მუსავატორებმა კი, რომლებიც მხარს უჭერდნენ თურქეთს, ასევე განაცხადეს 27 მაისს სეიმიდან გასვლის შესახებ და თქვეს, რომ ქმნიან აზერბაიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკას.

28 მაისს, როდესაც არმენია იარაღით ხელში ამტკიცებდა თავის უფლებას არსებობაზე, მისმა ეროვნულმა საბჭომ საფუძველი ჩაუყარა საკუთარი – „არარატის რესპუბლიკის“ შექმნას, კილიკიის სამეფოს დაცემის შემდეგ, რაც მოხდა 1375 წ-ს, არმენიამ პირველად მოიპოვა სახელმწიფოებრიობა. სამწუხაროდ მიღწეულ წარმატებებს შემდგომ განვითარების საშუალება არ მიეცა. 1918 წ-ის 4 ივნისს, ამიერკავკასიისადმი განხორციელებული აგრესიის პირობებში ოსმალეთმა არმენიას თავს მოახვია იძულებით დადებული **ბათუმის ხელშეკრულება**, რომელმაც განსაზღვრა თურქეთის საზღვარი არმენიასთან, საქართველოსა და აზერბაიჯანთან მიმართებაში. არმენიის ახლად დაარსებული რესპუბლიკის ფართობი განისაზღვრება ერევნის მაზრისა და რემდენიმე მომიჯნავე რაიონით. სულ,

დაახლოებით 10 000 კვკ ფარგლებში. **თურქეთი იღებდა ვალდებულებას დახმარებიყო არმენიას იარაღით, თუ კი იგი მოთხოვდა ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად, რაც მას აძლევდა საშუალებას მონაგონი მიზეზით ნებისმიერ დროს მოეხდინა მისი ოკუპაცია.**

არმენიის მთავრობა ვალდებულებას იღებდა არ დაეშვა ქვეყანაში რაიმე შეარაღებული ფორმირების ჩამოყალიბება. ამ დროს თურქეთს შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ გამოეყენა არმენიის რკინიგზა, ფოსტა, ტელეგრაფი და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები. ამასთან ერთად არმენიას დაუყოვნებლივ უნდა გამოეყვანა ბაქოდან თავისი სამხედრო ფორმირებები. ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულების ყველა მუხლი კი რჩებოდა ძალაში, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა მოცემულ ხელშეკრულებას. არმენიას თავისი ჯარი უნდა გაეშვა სახლში და მოეხდინა მისი დემობილიზაცია. თურქეთს კი შეეძლო ყოლოდა არმენიის ტერიტორიაზე თავისი სამხედრო კომისრები, რომლებსაც შეეძლოთ გაეკონტროლებინათ თურქეთის ჯარის დაუყოვნებლივი გადაადგილების შესაძლებლობა და მათი პროდუქტებით მომარაგების საკითხები.

იმავე დღესვე თურქეთმა საქართველოსთან დადო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად მიიღო ყარსი, ართვინი, არდაგანი, ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი.

ბათუმის ხელშეკრულება იყო ახლად ჩამოყალიბებული არმენიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საგარეო აქტი, რომლის თანახმად იგი მთლიანად დამოკიდებული ხდებოდა თურქეთზე.

ეს ხელშეკრულება გაუქმებულ იქნა 1918 წ-ის დეკემბრის დასაწყისში „სერვის ხელშეკრულებით“.

ბათუმის ხელშეკრულება იყო იძულებით დადებული და სამარცხვინო არმენიისათვის, თუმცა სულის მოსათქმელად ესაჭიროებოდა, რამეთუ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ჩერნოგორია, და თურქეთის ბლოკის ბედი 1918 წ-ის ზაფხულისათვის უკვე გადაწყვეტილი იყო, და საჭირო იყო დროის მოგება, რომ როგორმე შეენარჩუნებინა სიცოცხლე არმენიის რესპუბლიკას. შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურეს ამ

პოზიციის სისწორე.

არმენიის მთავრობა, ჩამოყალიბებული დაშნაკების მიერ, 1918 წ-ის 20 ივნისს თბილისიდან გადავიდა ერევანში. ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ აირჩიეს პარლამენტი, რომლის 90%-იც დაკომპლექტდა დაშნაკებით. პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ოვანეს კადჯაზნუნი, რომელიც თანამდებობაზე დარჩა წლის ბოლომდე.

ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდეგ თურქეთი კავკასიის რესპუბლიკებს ელაპარაკებოდა ცალკ-ცალკე. „მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულების“ მთავარ პუნქტად კი მუსავატორებთან მას ჰქონდა დაფიქსირებული, რომ შეეძლო ბაქოსა და დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგებრძოლა აზერბაიჯანელებთან ერთად.

მუსავატორთა მთავრობამ, რომელიც ჯერ იყო განჯაში, 1918 წ-ის 25 მაისს, იქვე ჩამოაყალიბა „ისლამური არმია“, მერე ხსენებულ პუნქტზე დაყრდნობით თურქეთს სთხოვა დახმარების იყო არმენთა წინააღმდეგ და მანაც გაუგზვნა ებრაელ იაკობ შევკი ფაშას სარდლობით არმენიაში ნაბრძოლი 19 000 კაციანი ჯარი, რომელიც გამოყენებულ იქნა 1918 წ-ის 15 სექტემბერის ბაქოს არმენთა დარბევებში, რა დროსაც გაანადგურეს 30 000-მდე არმიანი. მანამდე კი, – 1918 წ-ის 31 ივლისს, – ინგლისელთა ხელით დაეცა ბაქოს სახალხო კომისარიატი.

1918 წ-ის 30 ოქტომბერს პალესტინასა და მესოპოტამიაში ინგლისელებმა სძლიეს რა თურქებს, ოსმალეთმა თავი გამოაცხადა დამარცხებულად, გერმანიამ კი-იმავე წლის 11 ნოემბერს, და ხელი მოაწერეს „მუდროსის სამშვიდობო შეთანხმებას“.

ამ ხელშეკრულების შესაბამისად თურქეთმა აიღო ვალდებულება დაეთმო დასავლეთ არმენიის ექვსი ვილაეთი და დაიწყეს იქიდან ჯარების გაყვანა. ანტანტამ, (ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი) რომელმაც არმენიას თავს მოახვია თავი მფარველად თურქეთს გადასცა ყარსის ოლქი და ერევნის ადრე წართმეული მაზრები. გერმანიის ბლოკის (გერმანია, ავსტრია, თურქეთი) დამარცხების შემდეგ კი მოვლენები განვითარდა სწრაფად. თურქეთის ბედი თითქოსდა უკვე გადანყვებილი იყო და მოკავშირე ქვეყნები მიუახლოვდნენ საუკუნოვან ოცნების

განხორციელებას, – თითქოსდა მის გაყოფას, ფაქტობრივად კი თურქეთის სახელმწიფოებრიობის მოსპობას.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1919 წ-ის იანვრიდან, 1920 წ-ის იანვრამდე, თურქეთის შესახებ საუბარი მიდიოდა, უკვე როგორც ყოფილზე. დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი, **ლოიდ ჯორჯი აღნიშნავდა: „თურქეთი საბოლოოდ დაყოფილია და ჩვენ არა გვაქვს არანაირი საფუძველი გამოვხატოთ მისადმი სინანული.** ჩვენს წინაშე დგება კითხვა, ვისით შეიძლება შევცვალოთ იგი? ერთადერთი ევროპული სახელმწიფოები, რომლებიც ამ მისიას შეასრულებს, ეს არის ბრიტანეთი, იტალია და საფრანგეთი-ო“. მხოლოდ ცენტრალური ანატოლიის ტერიტორიაზე რჩებოდა არც თუ დიდი ტერიტორია სულთანის მეთაურობით თურქეთის სახელმწიფოს გამგებლობაში.

11/ ქემალისტური მოძრაობა და საბჭოთა რუსეთი

1919 წ-ის 30 იანვარს ანტანტის ქვეყნებმა განაცხადეს, რომ ოსმალეთის იმპერია ოფიციალურად წყვეტს არსებობას. ამ სასიკვდილო პერიოდიდან ჩნდება მუსტაფა ქემალ ფაშა / ათა თურქი/ და მალევე ხდება თურქეთის ლიდერი, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის დროს ითამაშა გადამწყვეტი როლი დარდანელის სრუტის დაცვის საქმეში ანგლო-ფრანკთა ჯარების გადასხმის დროს. მას შემდეგ, 1916-17 წწ-ში, ამიერკავკასიის მიმართულებით ქემალ ფაშა იკავებდა ჯარში არაერთ უმაღლეს სამეთაურო პოსტს. 1917-18 წწ-ში კი, – იგი იყო სირია-პალესტინის ფრონტზე.

1918 წ-ის დასასრულსა და 1919 წ-ის დასაწყისში, როდესაც სულთანის ხელისუფლებას აღარ გააჩნდა რეალური ძალაუფლება და იძულებული შეიქმნა შეესრულებინა გამარჯვებულ ანტანტის ქვეყნების მითითებები, – ჩნდება ქემალ ფაშა, და მალევეც ხდება თურქი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი.

1919 წ-ის 19 მაისს ქემალი სტამბოლიდან გადავიდა ანტალიაში 3-ე არმიის ინსპექტორის სტატუსით, რომელსაც

თითქოსდა სამხედრო ხასიათის დავალებები უნდა შეესრულებინა და შეუდგა იქ ჯარების კონცენტრირებას.

ქემალი გამოხატავდა უმაღლესი კლასების ინტერესებს და ეძებდა შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს, რამდენადაც 1919 წ-ის 14 მაისის პარიზის კონფერენციაზე ოთხეულის (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და აშშ-ს) საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად, აშშ-ს პრეზიდენტს ევალებოდა არმენიაზე, კონსტანტინეპოლსა და სრუტეებზე კონტროლის განხორციელება.

ეს იყო კონკრეტული ნაბიჯები დამარცხებული მტრის ტერიტორიების გაყოფის შესახებ. აშშ-ს პრეზიდენტს ევალებოდა საამისოდ სენატისაგან მიეღო მანდატი არმენიასთან მიმართებაში, რაც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა ვერ იქნა მიღებული იმ მიზეზით, რომ უკვე განადგურებულ არმენიას მათთვის ინტერესი დაკარგული ჰქონდა.

1919 წ-ის მაისის თვეში, პარიზის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების ფაქტის წინაშე დაყენების მიზნით კი, ერევანში პირველი რესპუბლიკის წლისთავზე გამოაცხადეს გაერთიანებული, განუყოფელი და დამოუკიდებელი არმენია, რაც ისტორიული არმენიის ფარგლებში მოიაზრებოდა, ანტანტა კი უარს აცხადებდა არმენიის ხსენებულ ფარგლებში აღიარებას, – თურქეთის გაყოფის ოფიციალურად გაფორმებამდე.

ვითარება იყო ერთობ რთული, ინგლისის ჯარები იდგა ოსმალეთის ყოფილ სამფლობელოებში, და ბაღდადსა და მოსულში. მისი ჯარები გადასხდნენ ასევე სირიასა და კილიკიაში, სადაც 1919 წ-ის ოქტომბერში დაუთმეს ფრანგებს. 4-მა ბერძნულმა დივიზიამ კი 1919 წ-ის 15 მაისს დაიკავა იზმირი.

ყოველივე ხსენებულმა კი განაპირობა 1919 წ-ის მაისში ქემალის ანატოლიაში გადაასვლა, რა დროსაც ქვეყნის აღმოსავლეთში თავი ჰქონდა მოყრილი თურქეთის კავკასიის ფრონტის ჯარის ნაწილებს. ქემალი დაკავდა ამ სამხედრო ძალების გაერთიანებით, რომლის ბირთვისაც შეადგენდა ებრაელი იაკობ შევკის 19 000-ნი და ალი იშხან ფაშას 22 000 – ანი შენაერთები.

ქემალ ფაშა დარწმუნდა რა ანტალიაში დიდი პატრიოტული მოძრაობის დაწყების შესაძლებლობაში, გადანყვიტა

გადაერჩინა სამშობლო იმპერიალისტების მიერ მისი დანაწევრებისაგან.

ამ მიზნით 1919 წ-ის 23 ივლისიდან, – 7 აგვისტომდე, ერზრუმში მისი ხელმძღვანელობით წარიმართა აღმოსავლეთ ვილაეთების საზოგადოებრივი კონგრესი, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება ბოლომდე ებრძოლათ დამოუკიდებლობისათვის და შეუდგნენ თურქი ხალხის საერთო კონგრესის მოწვევისათვის მზადებას, რაც 4 – სექტემბერს გაიმართა ქ. სივამში.

მიუხედავად ზოგიერთი დელეგატის მხრიდან უთანხმოების გაენიათ ოკუპანტებისათვის შეარაღებული წინააღმდეგობა, ქემალმა მაინც მიაღწია თავის სანაადელს და იგი აირჩეულ იქნა ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერად, რომელიც ფაქტობრივად ასრულებდა დროებითი მთავრობის როლს.

ანტანტის ხელმძღვანელები შეეცადნენ სულთანის ხელით ჩაეხშოთ ქემალის მოძრაობა, მაგრამ წარმატებებს ვერ მიაღწიეს. თურქეთის ეროვნულმა ძალებმა კი შეძლეს გაენადგურებინათ სულთანის სადამსჯელო – „ხალიფათის არმია“ და მათ მიერვე მოწყობილი ანტი ეროვნული მოძრაობა. **ერზრუმსა და სივამში ჩატარებულმა კონგრესებმა გადაწყვიტეს არმენებისათვის არ დაეთმოთ არც ერთი გოჯი მიწა.** ამ დროს არმენთა რესპუბლიკას არ შეეძლო დამოუკიდებლად მოეგვარა საკუთარი ძალებით დასავლეთ არმენიაში იქ არსებული პრობლემები, რაც ბევრად დამოკიდებული იყო მტრულად განწყობილ მეზობელ აზერბაიჯანსა და საქართველოზე, რომლებთანაც ასევე ჰქონდა ცუდი ურთიერთობა.

საქართველოსთან პრობლემები გამოწვეულ იყო 1918 წ-ის დეკემბრის ომით, რა დროსაც არმენია ედავებოდა ბორჩალოსა და ჯავახეთის ტერიტორიებს, იმ მოტივით, რომ იქ ცხოვრობდნენ არმენები. აზერბაიჯანთან კი ახლდებოდა 1918 წ-ს მასთან დაწყებული საბრძოლო მოქმედებები, რაც გაგრძელდა 1920 წ-მდე, თუმცა პერიოდული და ხანაც ლოკალური ხასიათით. მასთან დავა მიმდინარეობდა ნახჩევანის, ყარაბაღისა და ზანგეზურის ოლქებზე, რამეთუ ეს ადგილები იყო ძირ-ძველი არმენიული მიწები და ედავებოდა აზერბაიჯანი.

ნახრევანში, იქიდან თურქების წასვლის შემდეგ მუსავა-ტორებმა გამოაცხადეს „არაქსის მარიენოტული რესპუბლიკა“, რომელიც დაეცა 1919 წ-ის ივნისში არმენთა ჯარების შეტევის შედეგად. მაშინ ნახრევანში არმენებს ეხმარებოდნენ ინგლისელი ოფიცრები. დასაწყისში არმენთა წარმატება აღმოჩნდა მოკლევადიანი, რამეთუ 1919 წ-ის აგვისტოში იქიდან განდევნეს არმენთა ჯარი, თუმცა მალევე დაბრუნდნენ.

ასეთ ვითარებაში არმენიას მიელო რაიმე ზომები დასავლეთის მიმართულებით ყოვლად შეუძლებელი იყო. ამდენად დასავლეთ არმენიის პრობლემების მოგვარება საომარი მოქმედებების გზით კვლავაც რჩებოდა შეუძლებელი, გარდა დიპლომატიური გზებისა.

მოკავშირე ანტანტის სახელმწიფოები კი დაკავებულები იყვნენ ომის შედეგების გადანაწილებით, იყოფდნენ გერმანიის კოლონიებს, თურქეთის დანაწევრების საკითხი კი, რატომღაც სულ უფრო რჩებოდა უკანა პლანზე, რამაც გამოიღო არმენებისათვის ტრაგიკული შედეგი.

ანტანტის ქვეყნების არასათანადო მოქმედება თურქეთის მიმართ შეიძლება აიხსნას მათი პოლიტიკოსების არაშორსმჭვრეტელობით, რამეთუ ქემალის მოძრაობას სათანადო არ აფასებდნენ და ჩათვალეს, თითქოსდა თურქეთი უკვე საბოლოოდ იყო განადგურებული, და ველარ შეიძლება წამოდგომას.

შემდგომ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ინტერეს მოკლებული არ იქნება თუკი ავღნიშნავთ 1919 წ-ს მდგომარეობით **ქემალის ურთიერთობას ბოლშევიკებთან**. თავიდან იგი აცხადებდა, რომ რელიგიიდან გამომდინარე თურქებისათვის მიუღებელი იყო ბოლშევიზმი, რამეთუ სურდა შეეღწია დასავლეთ ევროპის ქვეყნების ბანაკში, რაც იმ ეტაპზე ვერ გამოუვიდა. ვინაიდან ომში გამარჯვებული ქვეყნების დამოკიდებულება თურქეთისადმი ჯერ კიდევ იყო ურყევი. ისინი იმ დროს უფრო დაინტერესებულები იყვნენ არმენიის კეთილდღეობით.

ბრიტანეთის ბლოკს სურდა არმენია ყოფილიყო გამარჯვებული ევროპული ქვეყნების ინტერესების გამტარებელი მცირე აზიასა და კავკასიაში, გამომდინარე მისივე გეოგრაფიული

მდებარეობიდან. აშშ-ს პრეზიდენტს კი არმენია სჭირდებოდა სამომავლოთ, რომ გადაექციათ მეორე ისრაელად, თუმცა აშშ-ს სენატმა, უკვე განადგურებული არმენია საამისოდ მიუღებლად ჩათვალა და არ მოისურვეს გაეკეთებინათ არჩევანი მილიონ ნახევრიანი მოსახლეობის მქონე ქვეყანაზე, რომელიც უკვე ფაქტობრივად აღარ არსებობდა. ასე ჩავარდა მათ მხრიდან მანდატის საქმე.

მოკლეთ, არმენია რთულ საერთაშორისო პოლიტიკურ თამაშში აღმოჩნდა პაიკი, რომელიც კი „გავიდა ჰორიზონტზე“, მაგრამ მაინც ვერ გახდა „მეფე“. ქემალისტები კი, რომლებმაც ვერ შეძლეს ვერსაღეღებთან დაახლოება თავდაუზოგავად დაიწყეს ქვეყნის ერთიანობის შეენარჩუნებისათვის ზრუნვა და საამისოდ მთელი ყურადღება გადაიტანეს რუსეთზე. ამ დროს რუსეთს სურდა თურქეთის მეშვეობით შავი ზღვის სრუტეების ჩაკეტვა, რადგან მისი ღიაობა ანტანტისაგან დაუცველს ხდიდა მის სამხრეთ ნაპირებს.

ამ დროს წამოყენებული იქნა ლოზუნგი: **„აღმოსავლეთის ხალხებს ჩვენი მეგობრული თანადგომა“**, რაც ეხმიანებოდა მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციის იდეას და **ამ ანკესზე წამოეგო რუსეთი**.

ქემალ ფაშამ გააკეთა ზუსტი გათვლა, იგი გავიდა რუსეთთან კავშირზე და მის მეშვეობით დასავლეთს დაუპირისპირა რეალური ძალა. ქემალ ფაშა გახდა ფსევდო რევოლუციონერი. იგი ერთდროულად ატყუებდა როგორც რუსეთს, ისე დასავლეთს, ამ უკანასკნელს კი – „წითელი საფრთხით“.

1920 წ-ვის ქემალის ანატოლიური მოძრაობა უკვე გაძლიერებული იყო და გაფართოვებული, რამეთუ უკვე მხარს უჭერდნენ მას დედაქალაქის გავლენიანი პირები.

1920 წ-ის 28 იანვარს თურქეთის პარლამენტმა, რომელიც მოწვეულ იქნა სულთანის მიერ ქემალის ზენოლით, – მიიღო გადაწყვეტილება თურქეთის დამოუკიდებლობის შესახებ, რომელშიც გამეორებული იყო ერზრუმისა და სივაკის კონგრესებზე მიღებული გადაწყვეტილებები. ანტანტის ქვეყნები კი მოლაპარაკებულები იყვნენ, – თურქეთი გაეყოთ გაზაფხულზე აშშ-ს გარეშე.

15-16 მარტს სტამბოლში გადასხდნენ ინგლისის საზღვაო ქვეითი ჯარები და მათ დაიკავეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. ქალაქსა და მის შემოგარენში გამოაცხადეს საომარი მდგომარეობა, დაითხოვეს დეპუტატთა პალატა, და დააპატიმრეს, და მალტის კუნძულზე გადაასახლეს „მლადოთურქთა“ მრავალი გამოჩენილი მოღვაწე, შეუძლებელი ხდებოდა იმპერიის რეანიმაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე **19 მარტს ქემალისტებმა მიიღეს გადაწყვეტილება ანკარაში მოენვიათ საკუთარი დეპუტატების სხდომა, რომელსაც ექნებოდა განსაკუთრებული უფლებები. სხდომა გაიხსნა 23 აპრილს, და მას „თურქეთის დიდი ეროვნული კრება“ უწოდეს. კრებამ თავი გამოაცხადა თურქეთის ერთადერთ კანონიერ სახელისუფლებო ორგანოდ, რომელიც განახორციელებდა თურქი ხალხის ნებას.**



თურქეთ-არმენიის 1920 წ-ის 2 დეკემბრის ალექსანდრეპოლის ხელშეკრულებით განსაზღვრული არმენიის რესპუბლიკის ტერიტორია.

1920 წ-ის 26 აპრილს, „კრების“ გახსნიდან სამი დღის შემდეგ, ქემალ ფაშამ „კრების“ სახელით ოფიციალურად მიმართა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას რომ დაემყარებინა მათთან დიპლომატიური ურთიერთობა და დახმარებოდნენ იმპერიალისტებთან ბრძოლაში.

მიმართვაში ნათქვამია: «Ми принимаем на себя обязательство соединить всю нашу работу и все наши военные операции с росскими болшевиками, имеющими целью борьбу с империалистическими правительствами и освобождение всех угнетенных народов. Для того чтобы изгнать империалистические силы, которые занимают нашу территорию, чтобы укрепить нашу внутреннюю силу для продолжение общей борьбы против империализма. Просим Советскую Россию в виде первой помощью дать нам пять миллионов турецких лир золотом, оружие и боевые припасы в количестве которой следует выяснить при переговорах, и кроме того некоторые военно тактические средства и санитарный материал, а также продовольствие для наших войск».

«Если Советские силы предполагают начать военные действия проти Грузии или дипломатическим путем, посредством своего авторитета, принудить Грузию вступить в союз и начать выдворение Англичан с территории Кавказа, то турецкие правительство берет на себя обязательство начать военные действия против империалистической Армении и обязует Азербайджанскую республику в ступить в ряд Советских государств». 83, 84

თურქეთის მტერი ანტანტა, მტრობდა ასევე სოციალისტურ რუსეთს, ამის გამო რუსეთ – თურქეთს შორის კავშირი ლოგიკური აღმოჩნდა. ასე „განითლდა“ ქემალი 20-იან წლებში და შეინიღბა საკუთარი გადარჩენისთვის მაცდუნებელი ლოზუნგებით, რომ ვითომც ბოლომდე იბრძოლებდა საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

1920 წ-ის მარტში დასრულდა დენიკინის განადგურება, გასაბჭოვდა ჩრდილოეთ კავკასია და რუსეთის ხელისუფლებამ აფშერონის მხრიდან ამიერკავკასიაში მიიღო შემოსასვლელი.

28 აპრილს ბაქოში აღიმართა წითელი დროშა, წინა დღით

კი მე-11 წითელმა არმიამ დაიპყრო ყარაბალი, მანამდე კი იქ მთიან ყარაბალში-1918-1920 წწ-ის განმავლობაში ძალაუფლება ხელთ ეპყრა არმენთა ადგილობრივ დამოუკიდებელ ეროვნულ საბჭოს.

აზერბაიჯანის რევკომის ხელმძღვანელად დაინიშნა ნარიმან ნარიმანოვი, რომელიც 1919 წ-ის ზაფხულიდან მუშაობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ახლო აღმოსავლეთის განყოფილების გამგედ და ეროვნებათა საკითხების სახალხო კომისრის, ანუ სტალინის მოადგილედ ითვლებოდა, თუმცა ემორჩილებოდა საგარეო საქმეთა მინისტრს – ჩიჩერინსაც, მხარს კი უჭერდა სტალინს.

1920 წ-ის აპრილშივე ყარაბალში შეიქმნა ყარაბალის გუბერნიის რევკომი, მის პირველ თავჯდომარედ კი დანიშნეს ბაქოდან ასად კარაევი. იგი სწერდა გორისის მაზრის რევკომის თავჯდომარეს: „ბაქოში ფიქრობენ, თუ ინგლისი თავისკენ გადახრის თურქეთს ზანგეზურის აზერბაიჯანთან შეერთებამდე, ზანგეზური შეიძლება ჩაითვალოს დაკარგულად“. 85

იგივე კარაევი 1920 წ-ის 21 ივლისს გორისის იმავე ჯალათს სწერდა: „... სამწუხაროა, რომ აქნობამდე ვერ მოსჭერი თავი ზანგეზურის არმენებს ... შეეცადე გამოჩენილი და მნიშვნელოვანი არმიანების დაპატიმრება მოახდინო, დიდ საქმეს არ წარმოადგენს სახრჩობელოები. დათმეთ კაცთმოყვარეობა, ლმობიერებით არ შეიძლება სახელმწიფოს მშენებლობა და ქვეყნის დაპყრობა. რევკომში აირჩიეთ მხოლოდ მუსულმანები და გამოჩენილი რუსები. ბაქოდან ხალხის მოსასყიდად გამოგზავნილი გვაქვს ზანგეზურში 100 მილიონი მანეთი, პლიუს 22 მილიონი კაფანის მოსასყიდად. ეს 22 მილიონი ჩამოიტანა არმენაკ კარაგოზიანმა. არმენთა დასარბევად მოკალით ერთი რუსი მათი მეომრებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილას და დააბრალებთ არმენებს, მერე ნახავთ რას გაუკეთებენ მათ რუსები“?

იგივე კარაევი სწერდა ზანგეზურს: „ზანგეზურში არ დატოვოთ არც ერთი კეთილსინდისიერი და მდიდარი ადამიანი, რომ ამ დაწყვეტილ თემს არასოდეს შეეძლოს ფეხზე წამოდგომა“. 86

თუ არა ზანგეზურში ნჯეს ძალები, სადაც მან 1920 წ-ის

25 დეკემბერს სუნიკის ავტონომია გამოაცხადა, მასაც აზერბაიჯანს გადასცემდნენ.

1921 წ-ის 13 ივნისიდან მე-11 არმია გარდაიქმნა კავკასიის განსაკუთრებულ არმიად და მას დაუქვემდებარეს სამივე რესპუბლიკის ჯარები, დაშნაკთა ჯარების გარდა.

1921 წ-ის 30 ივნისს დაეცა სისიანი, ანუ „მთიანი არმენია“, რომელსაც უტევდა წითელი არმია ყარაბაღისა და ერევნის მხრიდან. 4 ივლისს კი დაშნაკებმა დათმეს დედაქალაქი ტატევი. 5 ივლისს, თბილისში ბოლშევიკური პარტიის კავბიუროს სხდომაზე სტალინისა და ნარიმანოვის ძალისხმევით ყარაბაღი გადაეცა აზერბაიჯანს, ზანგეზური კი, გრძელდებოდა რა იქ სისხლის მღვრელი ბრძოლები, – დარჩა არმენიის შემადგენლობაში. 7 ივლისს ნჯეს ნანილებმა დატოვეს კაფანი და დაიწყეს სპარსეთში გადასვლა.

ნახჩევანს ვერ ესაზღვრებოდა თურქეთი და მასთან მისასვლელი გზა რომ ჰქონოდა თურქეთს, ირანს სანაცვლოდ დაუთმეს მინა. კვლავაც დაუთმეს შემდეგ მინა და მიიღეს არარატის მცირე მთა, დიდი კი მანამდე ჰქონდა რუსეთისაგან გადაცემული. ზანგეზური კი მაშინ, „პანთურქისტებს“ აზერბაიჯანში გასასვლელ გზაზე ძვლივით გაეჩხირათ ყელში. თუმცა ახლა, 21 საუკუნეში ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, აზერბაიჯანს თურქეთთან ერთად სურთ შანსი ხელიდან არ გაუშვან და ცდილობენ მის ხარჯზე თურქეთ-აზერბაიჯანი-რუსეთის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის გახსნას. რით დამთავრდება ყოველივე ეს, ძნელი არ არის წინასწარ განჭვრიტოს ადამიანმა.

1920 წ-ის 5 მაისს ქემალმა მოსკოვში გააგზავნა დელეგაცია, თავისი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის მეთაურობით, რათა მიეღწია შეთანხმებისათვის, რომ რუსები თურქეთის დაშლის წინააღმდეგ წავიდოდნენ და რომ ორივე ქვეყანა ერთ ბლოკში იქნებოდნენ გაერთიანებული ანტანტის წინააღმდეგ საბრძოლველად. დელეგაცია მოსკოვში ჩავიდა 19 ივლისს.

1920 წ-ის 7 მაისს ბაქოში გაუქმდა კავკასიის ბოლშევიკური პარტიის სამხარეო კომიტეტი და მის მაგივრად ჩამოყალიბდა

საქართველოს, არმენიისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი პარტიული კომიტეტები, 10 მაისს კი ალექსანდრეპოლში არმენიის კომპარტიის ცკ თაოსნობით იფეთქა აჯანყებამ, რომელიც მალევე ჩაახშეს, ხოლო მისი ხელმძღვანელები, – გარიბადჯანიანი, მუსელიანი, ალავერდიანი და სხვები, – დაშნაკებმა დახვრიტეს.

1920 წ-ის 2 ივნისს რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ ქემალს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია: „საბჭოთა მთავრობა მოესალმება თქვენს ინიციატივას იქონიით ჩვენთან მუდმივი ურთიერთობა, რადგან ჩვენთან ერთად გასურთ იბრძოლოთ უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ორივეს გვემუქრებიან, და ამავე დროს რომ გასურთ ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლება. ჩვენ ვაღიარებთ ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, ...მით უფრო თურქების, – მათთვის ასე მძიმე დღეებში. მოხარულები ვართ იმ საფუძვლის ჩაყრისა, რომელიც რუს და თურქ ხალხს გააერთიანებს.⁸⁷“

ქემალმა შეიტყო რა სევრის ხელშეკრულების შესახებ მაისში, 1920 წ-ის 9 ივნისს დაძრა მან თავისი სამხედრო ფორმირებები არმენია-თურქეთის საზღვრისკენ, რის გამოც არმენიის ჯარი 18 ივნისს შევიდა ოლთაში, თუმცა უპირატესობა ჰქონდა რა თურქეთს, მით უფრო კონფლიქტურ ურთიერთობაში იყო აზერბაიჯანთან, და არც სიმშვიდე ჰქონდა საკუთარ ქვეყანაში, – რამეთუ მაისის აჯანყება ჯერ კიდევ არ იყო სრულად ჩამცხრალი, განიცდიდა ჯარისკაცთა ნაკლებობას და წარმატებას ვერ მიაღწია.

1920 წ-ის ივნისის დასასრულს, სტალინმა (ქართველი ებრაელი), რომელიც ეროვნებათა საქმეების კომისარი იყო, მისწერა ორჯომიკიძეს, რომელიც 1920 წ-ის აპრილიდან გახლდათ კავკასიის ბჭ ცკ ბიუროს წევრი: »Мое мнение такое, что нужно определинно защищать одну из сторон, в данном случае – Азербайджан в месте с Турцией«. 88

სტალინის პოზიციის საპირისპიროდ 1920 წ-ის 29 ივნისს ჩიჩერინმაც მისწერა ლენინს“: Нам пришлось потратить много энергии на почти ежедневные вмешательства с целью удержать наших товарищей от наступательных действий. Последний фазис

этого конфликта есть объявление Азербайджаном претензии на громадские округа, принадлежавшие постоянно Армении и находящиеся фактически в руках Армянской республики. Азербайджанское правительство заявило претензию на Карабах, Зангезур и Шаруро-Даралогязски уезд, вместе с Нахчеванию, Ордубадом и Джулфой».89

1920 წ-ის 22 ივნისს დასავლეთ ანატოლიაში, იზმირიდან ბერძენთა ჯარმა, ინგლისის მხარდაჭერით, დაიწყო ფართო მაშტაბიანი შეტევა და 11 ივლისამდე დაიკავა დენიზლ-ბრუსას ხაზამდე ტერიტორია, სადაც ნაანყდა დიდ წინააღმდეგობას და შეჩერდა. მაშინ ანკარის მდგომარეობა საგრძნობლად იყო მძიმე. მის დასაძლევად კი ქემალმა რუსეთის მთავრობას მისწერა: „თურქეთის დიდი ეროვნული კრება დარწმუნებულია ამ უთანასწორო ბრძოლაში... საყოველთაო მხარდაჭერას მიიღებს დიდი რუსეთის მხრიდან, რომელმაც ღიად გამოაცხადა თავი დაპყრობილი ერების განმათავისუფლებლად და კაპიტალისტებისა, და იმპერიალისტების შეურიგებელ მტრად. მთელი თურქი ხალხის სახელით დიდმა ეროვნულმა კრებამ მთხოვა გადმომეცა თქვენთვის გულითადი მოკითხვა და გულწრფელი სურვილი, მიგელწიათ წარმატებისთვის დიდი და კეთილშობილი რუსი ხალხის ბრძოლაში, ყველი ტირანიის წინააღმდეგ.90

„სევრის ხელშეკრულების“ ფიქსაცია მოხდა რა აგვისტოში, ამის გამო თურქეთ-რუსეთის მოლაპარაკების დროს მოსკოვში არ შეხებიან არმენიასთან საზღვრების დადგენის საკითხს, რაც აწყობდა ქემალს. საბჭოთა მთავრობა მიდიოდა რა კავშირზე თურქეთთან სევრის ხელშეკრულების სანინააღმდეგოდ, რაც მიმართული იყო ასევე რუსეთის წინააღმდეგაც, ჩიჩერინმა მაინც ცნო თურქეთის საზღვარი „ვილსონის ხაზამდე“.

თურქები ვერ დაძლევდნენ ბერძნებს რუსების დახმარების გარეშე, ამიტომაც ისინი ჯერ გაუსწორდნენ არმენებს, რომლებსაც უამრავი შიდა პრობლემა გააჩნდათ და რა დროსაც თურქებს წაადგათ ასევე ის გარემოებაც, რომ ყოფილი ფრონტის ხაზის გასწვრივ აყრილი და განადგურებულ არმენების ადგილას ჩასახლებული მუსულმანები დაეხმარნენ მათ არმენების

წინააღმდეგ ბრძოლაში.

თუ არა ქემალ ფაშა, – ერზრუმსა და სივას ქემალისტები პლატფორმად ვერ გაიხდიდნენ და ვერც ანკარაში გადავიდოდნენ, ეს მისი დამსახურებაა.

ბერძნების შემოტევამ ანკარას შეუქმნა საფრთხე და ვიდრე იგი მათთან გადამწყვეტ ბრძოლას გამართავდა „არმენთა საკითხი“ უნდა მოეგვარებინა, ანუ უნდა მოესპოთ არმენთა ჯარი და თვით არმენი ხალხი, რომლის შემდეგ არმენთა პრობლემა საერთოდ აღარ იარსებებდა, რაც ასე ესაჭიროებოდა რუსეთთან კავშირისათვის.

ბერძენთა შეტევის დროს მთელი საბჭოთა რუსეთის ყურადღება გადატანილი იყო დასავლეთით პოლონეთის ომისაკენ და თეთრგვარდიელ ვრანგელის ყირიმში შეჭრაზე.

ივნის-ივლისის თვეებში მე-11 წითელი არმია, რომელიც შემოვიდა არმენიაში ზანგეზურით და მოკლე დროშივე მოახდინა არმენიის რესპუბლიკის ხელისუფლების ლიკვიდაცია, – შევიდა ნახჩევანში.

1920 წ-ის 28 ივლისს იქ დაარსა „ნახჩევანის სოციალისტური რესპუბლიკა,“ და გაანადგურეს იქ მყოფი დაშნაკებისა და მუსავატორთა ჯარები.

ნახჩევანის მთავრობის მეთაური ბაკტაშევი, 1920 წ-ის 10 აგვისტოს, აზერბაიჯანის სოციალისტური რესპუბლიკის მეთაურს-ნ.ნარიმანოვს სწერდა: „**ნახჩევანის მოსახლეობა თავს თვლის აზერბაიჯანის განუყოფელ ნაწილად**“... ხოლო ამის საპასუხოდ არმენიის სამხედრო მინისტრმა მოითხოვა ნახჩევანი უსიტყვოდ დამორჩილებიყო არმენიას, თუმცა მისი ულტიმატუმი უარყოფილი იქნა. იმ პერიოდში ნახჩევანში იდგა ასევე თურქეთის – 8 000 კაციანი ჯარი, რომლის წარმომადგენელიც შედიოდა ნახჩევანის რევოლუციურ კომიტეტში. თურქეთის ჯარი ნახჩევანში შესული იყო მე-11-ე არმიასთან ერთად.⁹¹

ეს იყო რუსეთისა და ქემალური თურქეთის პირველი ერთობლივი სპცოპერაცია არმენთა წინააღმდეგ. ნახჩევანის გასაბჭოებით არმენიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ზურგიდან შეექმნა მუდმივი საფრთხე.

1920 წ-ს 10 აგვისტოს პარიზის მახლობლად სერვში ანტან-

ტის ქვეყნებმა ხელი მოაწერეს თურქეთის გაყოფის ხელშეკრულებას, – ერთი მხრივ სულთანის თურქეთმა და მეორე მხრივ მის წინააღმდეგ მებრძოლმა – დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, დაშნაკურმა არმენიამ, ბელგიამ, საბერძნეთმა, პოლონეთმა, პორტუგალიამ, რუმინეთმა, სერბია-ხორვატია-სლოვენიამ და სხვა სახელმწიფოებმა. თუმცა თურქეთმა მისი რატიფიცირება არ მოახდინა.

სერვის ხელშეკრულებით თურქეთს ჩაუხსნეს არა მარტო არაბული ქვეყნები, არამედ საკუთარი ტერიტორიებიდანაც კი ჩამოაჭრეს ნაწილი. ევროპაში იგი კარგავდა აღმოსავლეთ ფრაკიას, ედირნესთან ერთად და გელიბოლის ნახევარ კუნძულს, რომელიც ეძლეოდა საბერძნეთს. ასევე სრუტეების ზონა, რომელზეც უნდა დანესებულიყო საერთაშორისო მმართველობა, ინგლისის კონტროლის ქვეშ.

სტამბოლი რჩებოდა ოსმალეთს, თუმცა აზიის თურქეთისაგან სხვადასხვა მიზეზითა და ფორმით მას ეთიშებოდა რიგი ტერიტორიები. საბერძნეთს ეძლეოდა იზმირი, მიმდებარე ტერიტორიებით;


დამოუკიდებელ ქურთისტანს, – სამხრეთ – აღმოსავლეთ ვილაეთები; დაშნაკურ არმენიას კი-ფართო ტერიტორიები, რომელიც უნდა განესაზღვრა აშშ-ს პრეზიდენტს, მაგრამ როგორც ავღნიშნეთ მათ ეს საკითხი უპასუხისმგებლობით ჩააგდეს.

ამას გარდა იტალიასა და საფრანგეთს ეძლეოდა ანატოლიაში გავლენის სფეროები. ჯამში თურქეთის სახელმწიფოს რჩებოდა ბუნებრივად ღარიბი რეგიონი, ანკარის ცენტრით, რომელიც ეკონომიკურად არ იყო განვითარებული და არც რკინიგზა გააჩნდა.

„სერვის ხელშეკრულება“ თურქეთისათვის წარმოადგენდა მომაკვდინებელ დარტყმას. მას გააჩნდა ასევე ანტი საბჭოური მიმართულება, რამეთუ სრუტეებისა და მცირე აზიის ზონაში რუსეთს უქმნიდა საწინააღმდეგო ფორპოსტებს, რომელთა პლატფორმად გამოყენება ბრიტანეთს შეეძლო შეარაღებული დაპირისპირების დროს.

არმენიის საზღვარი, რომელსაც ადგენდა სერვი გადიოდა

შავი ზღვის პირას მდებარე გერესუნიდან, ერზინჯან-მუშა-ბიტლისი-ვანის ტბის ხაზზე.⁹²



1920 წ-ის 10 აგვისტოს სერვის ხელშეკრულების თანახმად არმენიაზე გადასაცემი ტერიტორია

ამ ხელშეკრულებით არმენიას ეძლეოდა შავ ზღვაზე გასასვლელი. ხსენებული საზღვარი მაქსიმალურად ემთხვეოდა რუსი ჯარების მიერ 1917 წ-ს დაკავებულ ფრონტის ხაზს, რომელსაც ეწოდებოდა „ვილსონის“ ხაზი, რამეთუ იგი აშშ-ს პრეზიდენტი ვილსონის მიერ იყო განსაზღვრული.

არმენიისათვის გადასაცემი მიწები იყო არმენი ხალხის ისტორიული სამშობლო და სხვისი მათ არაფერი ეძლეოდა. ამ მიწების არმენიისათვის გადაცემის შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ არმენებს მიეცემოდა შესაძლებლობა დაბრუნებოდნენ მშობლიურ მხარეს. ფაქტობრივად სერვის

ხელშეკრულებით აღსდგებოდა ისტორიული სამართლიანობა იმ ორ მილიონიანი მსხვერპლის ფასად მაინც, რაც განიცადა არმენმა ხალხმა გენოციდის დროს, მაგრამ როგორც ჩანს არმენთა ბედისწერა სხვა გზით წარიმართა. **სერვის ხელშეკრულებით დაშნაკურ არმენიას ეძლეოდა 170 000 კვკ ფართის ტერიტორია.**

10 აგვისტოს სერვის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღეს, რუსეთის ფედერაციამ და არმენიამ ერევანში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად რუსეთი იღებდა ვალდებულებას გამოსულიყო არმენიასა და თურქეთს შორის შუამავლად საზღვრების დადგენის საქმეში.

მაშინ რუსეთის წარმომადგენელი ბორის ლეგრანი აღნიშნავდა, რომ წითელმა არმიამ დაიკავა შერეული მმოსახლეობის მქონე ყარაბახის, ზანგეზურისა და ნახჩევანის ტერიტორიები, – მხოლოდ იმ მიზნით, რომ აღეკვეთა ეროვნებათა შორისო სისხლისღვრა, მაგრამ ვინ უსმინა.

1920 წ-ის 14 აგვისტოს ლენინი შეხვდა თურქეთის დელეგაციას, რა დროსაც დელეგაციის უფროსმა ბაკირ სამი ბეიმ თავისი ქვეყნის, – „უმაღლესი ეროვნული საბჭოს“ სახელით გამოთქვა იმედი, რომ საბჭოთა მთავრობა „უარს არ იტყოდა თურქეთთან მეგობრობასა და მისადმი დახმარებაზე, რომელსაც თითქოსდა არანაირი მტრული მიზანი არ ამოძრავებდა რუსეთის მიმართ, გარდა იმისა, რომ მიეღწია დამოუკიდებლობისათვის ეროვნული საზღვრების ფარგლებში.

ამ დროს არმენიას სურდა საზღვრების დადგენა სერვის ხელშეკრულების მიხედვით და შესაბამისად რუსეთის მხარდაჭერა, სხვაგვარად არ დაეთანხმებოდა არმენია მოსკოვს. ამასთან დაკავშირებით რუსეთ-თურქეთის აზრები გაიყო და 24 აგვისტოს მოლაპარაკების ბოლოს რაფინირებული ხელშეკრულება ხელმოწერის გარეშე დატოვეს, რამაც გასტანა 1921 წ-ის მარტამდე.

თურქი ისტორიკოსი ტეიფიკ ბილიკ ოგლის აზრით: 1920 წ-ის 24 აგვისტოს „მეგობრობის შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერისა და რატიფიცირების გარეშე დატოვება - ნიშნავდა იმას, რომ საბჭოთა მთავრობა განწყობილი იყო აღმოსავლეთ ვილაეთის

მინები გადაცემოდა არმენიას .93

იმ დროს სტალინმა მისწერა ლენინს: „კარახანს რომ მონაწილეობა მიუღია ჩიჩერინთან ერთად თურქებთან შეხვედრაზე, – შევიტყვე გუშინ. ჩიჩერინმა როგორ გაუგზავნა თურქებს პროვოკაციული მოთხოვნა ბანის, მუშისა და ბიტლის განთავისუფლებისა და მათი არმენებისათვის გადაცემის თაობაზე? იმპერიალისტური არმენიის ეს მოთხოვნა შეუძლებელია ჩაითვალოს ჩვენ მოთხოვნად. ჩიჩერინს უნდა აუკრძალოთ თურქეთს გაუგზავნოს საპროტესტო ნოტა, რამეთუ არმენიანაციონალისტურადაა განწყობილი“. აი ვის უმოქმედია არმენიის წინააღმდეგ.⁹⁴

„სევრის ხელშეკრულების“ პროექტი თურქეთის სულთანოს გაეგზავნა მაისში, მაგრამ მათ მასზე ხელმოწერების დასმა განელეს აგვისტომდე.

ქემალისტებმა, რათქმა უნდა არ მოინონეს არც პროექტი და არც ხელშეკრულება, და საერთოდ არ სცნეს იგი. ანტანტას კი მისი დაჩოქება სურდა სამხედრო დარტყმებით დასავლეთიდან ბერძნების, – აღმოსავლეთიდან კი არმენების მეშვეობით.

„არმენეთა საკითხი“ საფრანგეთს სულაც არ აღელვებდა, რამეთუ მას მხოლოდ კილიკიასა და სირიაზე ჰქონდა მანდატი, და თურქეთის წინააღმდეგ გამოსვლა არ ენადა, რაშიც დაინტერესებულ იყო მხოლოდ ბრიტანეთი, რომელსაც ოკუპირებული ჰქონდა სრუტეები და ყველაზე მეტად სურდა თურქეთის დაშლა.

ბრიტანეთი აფინანსებდა და აიარალებდა არმენიას, აშშ-ს ფლოტი კი 1919 წ-დან იდგა სამსუნგში და სენატის მიერ არმენიის მანდატის ჩაგდების შემდეგ, აშშ გამოვიდა რა კვალიციიდან, აღარ მიუღია მონაწილეობა „სევრის ხელშეკრულების“ აღსრულებაში. აშშ ჯერ კიდევ არ იყო მსოფლიოს ზესახელმწიფო და არ შეეძლო სხვების დიქტატი.

ფორტუნა გადაიხარა ქემალისაკენ, 1920 წ-ის 1 სექტემბერს ბაქოში გ.ზინოვიევისა და ნ. ნარიშკინის თანათავჯდომარეობით გაიხსნა **აღმოსავლეთ ხალხთა 1 ყრილობა**, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო ანკარის წარმომადგენლებმა. 10 სექტემბერს იქვე ჩამოაყალიბეს თურქეთის კომმუნისტური

პარტია მუსტაფა სუბხას თავჯდომარეობით. ქემალი ბოლშევიკებს ეთამაშებოდა და ძუნწობდა შეპირებებზე, რათა მიეღო რუსებისაგან მეტი დახმარება. ყრილობაზე არმენია წარდგენილ იყო ა.ნურიდჟანინანის დელეგატობით.

თურქეთ-არმენთა მიმართებაში ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება შემდეგი შინაარსის: А) Лубий Ценой Даже Самими Чрезвычайными Средствами Содействовать Подъему У Растущего Турецкого Национального Движения;

Б) Достич Этого Нападением Турецких Войск На Армению под знаменем свержения гнета дашнаков.⁹⁵

ასეთმა გადაწყვეტილებამ იქონია გავლენა მათზე, ვისაც ჩიჩერინის პოზიციის გამო არ ქონდა ხელი მოწერილი აგვისტოს ხელშეკრულებაზე, უპირველესი ყოვლისა სტალინზე, რომელიც ამ ხელშეკრულების მოწინააღმდეგე იყო. მან მალევე შეიცვალა ტაქტიკა და ჰქონდა რა დიდი გავლენა აღმოსავლეთზე, მისი წყალობით თურქეთმა სექტემბერში გაიტანა რუსეთიდან 24 აგვისტოს შეთანხმების შესაბამისად იარაღის პირველი დიდი პარტია ბერძნებთან და საერთოდ იმპერიალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. მიიღო რა იარაღი თურქეთმა 21 სექტემბერს ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა არმენიას. ასე დაიწყო თურქეთ-არმენიის მორიგი 1920 წ-ის ომი. 29 სექტემბერს თურქებმა დაიკავეს სარიკამიში, შემდეგ კი არდაგანი.⁹⁶

1920 წ-ის 4 ოქტომბერს ანკარაში ჩავიდა საბჭოთა დიპლომატიური მისია და მეორე დღესვე გაზეთ „ხაკიმეტი-მილლიემ“, აზერბაიჯანულ ენაზე გამოაქვეყნა ქემალის მისალმება: „ჩვენი პირველი ამოცანაა, – სათანადოდ შევხვდეთ ბოლშევიკების საპატიო დიპლომატების ჯგუფს“.

1920 წ-ის 5 ოქტომბერს არმენიის ბოლშევიკთა ცკ-მ ბაქოდან მოწოდებით მიმართა არმენთა მშრომელ ხალხს: „მოიკრიბეთ რევოლუციური ძალები და კომპარტიის დროშის ქვეშ, ხელიხელ ჩაკიდებული, საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ჩამოვხსნათ დაშნაკურ არმენიას ნიღაბი და ხელახლა ავღმარ-

თოთ კომუნიზმის დროშა“.

ამ დროს არმენიის არმია დემორალიზებული, განადგურებული ანტიდაშნაკური პროპაგანდითა და საბოტაჟით, ყველა ფრონტებიდან იხევდა უკან.

1920 წ-ის 9 – ქტომბერს, ლენინი გამოდიოდა რა სიტყვით მოსკოვის პარტორგანიზაციის კრებაზე, შეეხო „კავკასიის აღმოსავლეთ ხალხთა ყრილობის“ მიერ მიღებულ გადაწვეტილებას და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ცოტა ხნის წინათ თურქეთმა განახორციელა არმენიაზე შეტევა, და შეიძლება ბათუმისა, და ბაქოს ხელში ჩაგდების მიზნითაც კი, ამიტომაც ჩვენ მათ მიმართ მეტი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ-ო.

თურქეთის მორიგ აგრესიაზე არმენიის მთავრობამ თხოვნით მიმართა დასავლეთის სახელმწიფოებს, მათ შორის 8-ოქტომბერს მთელ ცივლიზებულ სამყაროს, შეეჩერებინათ თურქეთის თავდასხმა, ასევე დაშნაკთა მთავრობის წარმომადგენელმა პარიზში 14 ოქტომბერს, ანტანტის უმაღლეს საბჭოს სხდომაზე-სთხოვა მოკავშირე ქვეყნებს დახმარებოდნენ, მაგრამ არავის არსაიდან არანაირი დახმარების ხელი არ გამოუწოდებია არმენიისათვის.97

1920 წ-ის 28 ოქტომბერს ერევანში რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს მანდატით მოსულმა ბორის ლეგრანმა, ასრულებდა რა ჩიჩერინის დირექტივას, ხელი მოაწერა შეთანხმების პროექტს, არმენიის რესპუბლიკის წარმომადგენელ არმენ შანტონთან, ზარიფიანთან, და ტერ ტერიანთან ერთად, რომლის მიხედვით ყარსი, ნახჩევანი და ზანგეზური უნდა გადასულიყო არმენიის შემადგენლობაში. 30 ოქტომბერს კი თურქეთის ჯარი კვლავ შევიდა ყარსში და დაიწყო ალექსანდრეპოლზე გალაშქრება.

მაშინ საქართველოს რესპუბლიკამ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, თუმცა თვითონაც ალყაში მოაქცია ლორის ოლქი. არმენია აღმოჩნდა ეროვნული კატასტროფის წინაშე. 2-ნოემბერს ბაქოში ჩავიდა სტალინი, რასთან დაკავშირებითაც „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ 3-ე ტომი, 1950 წ-ის, იუნყება დამახჯერებლად: «В начале ноября 1920 года прибывший в Баку Сталин дал указания болшевикам Закавказья и Армении о

принятии мер для спасения армянского народа поставленного авантюристической полотической и терором дашнаков под угрозу полного физического уничтожения», რაც არ შეესაბამება რეალობას. რამეთუ როდესაც თურქები 3-ნოემბრიდან უკვე მომდგარი იყვნენ ალექსანდრეპოლთან და ანვითარებდნენ გამანადგურებელ შეტევას, წყვეტდნენ არმენ ხალხს, მაშინ სტალინმა ტელეგრამით აცნობა ჩიჩერინს: «слухи о размерах турецкого нападения преднамеренно преуведичены агентами антанты, по этому к этим слухам надо относиться спокойно». 98

დამარცხებულმა არმენიამ 3-ნოემბერს მოითხოვა თურქეთთან ზავის დადება, თუმცა მერყეობდა, რის გამოც ქემალისტებმა კვლავაც განაახლეს ქვეყნის დაპყრობა.

1920 წ-ის 4-ნოემბერს შედგა აზერბაიჯანის ცკ პოლიტიბუროსა და კავბიუროს ერთობლივი სხდომა, რომელსაც ესწრებოდა სტასოვი, შეინმანი, ნარიმანოვი, კამენსკი, გუსეინოვი, ეგოროვი, ლეგრანი, ტერ გაბრელიანი და კარაევი. ლეგრანმა წარადგინა ზემოხსენებული პოზიციიდან გამომდინარე არმენიის რესპუბლიკასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, მაგრამ სტალინისა და ნარიმანოვის აქტიურობით იგი ჩააგდებულ ქნა. სხდომამ გადაწყვიტა ზანგეზურისა და ნახჩევანის ოლქების არმენიაზე მიმაგრება, – ჩათვლილიყო მიზანშეუწონლად, რადგან არც პოლიტიკურად და არც სტრატეგიული თვალსაზრისით მისაღები არ არისო, თუმცა მის წინააღმდეგ წავიდა ლეგრანი და ტერ გაბრელიანი, მაგრამ რა?. 99

5-ნოემბერს კი ალექსანდრეპოლის ბოლშევიკებმა გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. 100

7 – ნოემბერს თურქებმა აიღეს ალექსანდრეპოლი.

ამ დღეს, ოქტომბრის რევოლუციის სამი წლისთავზე, რუსეთის პროლეტარიატის სოლიდარობის ნიშნად ალექსანდრეპოლის რკინიგზის მუშაკებმა მოაწყვეს მისი მხარდამჭერი დემონსტრაცია და არ გავიდნენ სამუშაოზე, გამოაცხადეს დღესასწაულად. ამავე დღესვე ანკარაში გაიხსნა საბჭოთა რუსეთის საელჩო.

1920 წ-ის 9-ნოემბერს კავბიუროსა და აზერბაიჯანის კვ ცკ მორიგ გაერთიანებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა სტა-

ლინი, მიიღეს გადაწყვეტილება აჯანყებული არმენიის რაზმების მონაწილეობითა და საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის დახმარებით დაემხოთ დაშნკური ხელისუფლება, და არმენიაში დაემყარათ საბჭოთა წყობილება.101

1920 წ-ის 11-ნოემბერს რუსეთის მთავრობამ წინადადებით მიმართა თურქეთსა და არმენიას, რომ მათ შორის კისრულობდა შუამავლის როლს არსებული სასაზღვრო პრობლემების მოგვარების საქმეში. დაშნაკთა მთავრობა იძულებული შეიქმნა მიეღო მისი წინადადება. ამასთან დაკავშირებით რუსეთმა მიავლინა თავისი წამომადგენელი ორივე მხარეს. 12 ნოემბერს თურქებმა დაიკავეს სადგური აგინი და ორი მხრიდან შეუტიეს ერევანს. ამ დროს თურქეთის საოკუპაციო ჯარმა, რომელმაც ალექსანდრეპოლი გადაწვა, ჯაჯურზე გავლით ხელახლა აპირებდა ქვეყნის სიღრმეებისაკენ შეჭრას, კომუნისტებმა კი ნაცვლად დახმარებისა ეჩმიაძინში გამართეს ანტისამთავრობო მიტინგი. 102

18-ნოემბერს ბოლოს და ბოლოს დადებული იქნა ზავი არმენიასა და თურქეთს შორის და შეწყდა საბრძოლო მოქმედებები. 1920 წ-ის 23 ნოემბერს კი დაბრუნდა რა სტალინი კავკასიიდან მოსკოვში, პოლიტბიუროს სხდომაზე გააკეთა მოხსენება, კავკასიაში არსებული ვითარების შესახებ და მიიღეს სამარცხვინო გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: „Принять по отношению Грузии, Армении, Турции и Персии максимално примерическую политику, т.е. направленную больше всего к тому, чтобы избежать войны“. პროექტის შედგენაში მონაწილეობა მიღებული აქვს ვლადიმერ ლენინს.103

1920 წ-ის 25 ნოემბერს, იყო რა არმენია თურქეთის გავლენის ქვეშ, უარი ათქმევინეს ვრაციაანს „სევრის ხელშეკრულებაზე“ და ოკუპირებულ ალექსანდრეპოლში გააგზავნეს დელეგაცია ზავზე ხელის მოსაწერად. არმენებს სხვა გზა არ ჰქონდათ დატოვილი, ერის ბედი ბენჯზე ეკიდა, და ქვეყანა იყო დაღუპვის პირას მისული, რამეთუ ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ქემალისტები იმუქრებოდნენ ერევნის აღებით.

ამ კრიტიკულ მომენტს ელოდა სტალინი და სხვა გავლენიანი ბოლშევიკი, რისთვისაც ასე წელავდნენ ჩიჩერინის

მოთხოვნის აღსრულებას, მიუხედავად წითელი არმია იყო შემოყვანილი არმენიაში.

1920 წ-ის 29 ნოემბერს არმენიაში გამოცხადდა აზერბაიჯანიდან ექსპორტირებული საბჭოთა სოციალისტური წყობილება.

1920 წ-ის 30 ნოემბერს აზერბაიჯანის რევოლუციური კომიტეტის თავჯდომარემ ნარიმან ნარიმანოვმა, საგარეო საქმეთა კომისარ გუსეინოვთან ერთად არმენიას წერილობით მიულოცა ახალი წყობილების დამყარება და იქვე აღნიშნა, რომ „დღეიდან ჩვენს შორის არსებული საზღვარები უმოქმედოდ იქნება, მთიანი ყარაბაღი, ზანგეზური და ნახჩევანი ითვლება არმენიის სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში“-104

2 – დეკემბერს ალექსანდრეპოლში ბოლშევიკურმა არმენიამ ხელი მოაწერა თურქეთთან ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ყარსის ოლქი და სურმალინის მაზრა გადაეცა თურქეთს. არმენიამ აიღო ვალდებულება, რომ არ ჩაერევოდა შარურის, შახტანტინისა და ნახჩევანის საქმეებში, რომლებიც იქ რეფერენდუმის ჩატარებამდე გამოცხადდა თურქეთის პროტექტორატის ქვეშ. არმენიას შეეძლო ყოლოდა მხოლოდ 1500 მდე ჯარისკაცი საზღვრის დასაცავად, 8 ქვემეხი და 20 ტყვიამფრქვევი. უქმდებოდა საყოველთაო სამხედრო ვალდებულება. თურქეთი იტოვებდა უფლებას თავის წარმომადგენლის მეშვეობით ეწარმოებინა გამოძიება და გაეკონტროლებინა არმენიის ტერიტორიაზე ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით ყველა ვითარება. მას შეეძლო შეემონებინა ასევე რკინიგზა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.105

ასეთი შეთანხმება თვით რუსეთის დამცირებასაც კი ნიშნავდა, მაგრამ როგორც ვიცით გარკვეულ მოსაზრებათა გამო რუსეთმა არმენია გამოიყენა თურქეთის წასახალისებლად. ალექსანდრეპოლის ზავი კი წარმოადგენდა თურქეთის დიკტატს, როგორც გამარჯვებულის დამარცხებულის მიმართ.

2-დეკემბერს შეიტყო რა დაშნაკურმა მთავრობამ ნარიმანოვის მიერ გამოგზავნილი დეკლარაციის შესახებ, რომელიც პრინციპში ასახავდა მათ პოზიციების აღიარებას, – დათმო ძალაუფლება და გადადგა /როგორც ჩანს აქნობამდე ორხელი-

სუფლებიანობას ჰქონდა ადგილი/. იმავე დღესვე კი მათ რუსეთის წარმომადგენელ ლეგრანთან გააფორმეს ხელშეკრულება არმენიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აღიარების თაობაზე და მას შემდეგ შეიქმნა „არმენიის დროებითი რევოლუციური კომიტეტი“.

ამ ხელშეკრულებით რუსეთი ცნობდა არმენიის შემადგენლობაში ერევნის გუბერნიას, ყარსის ოლქის ნაწილს, ზანგეზურის მაზრას, ყაზახის მაზრის ნაწილს და თბილისის გუბერნიის იმ ნაწილს (ლორი), რომელიც 1920 წ-ის 23 ოქტომბრამდე იყო არმენთა მფლობელობაში.¹⁰⁶

ამდენად, 1920 წ-ის 2 დეკემბერს, ერთდროულად კარა ბეკირ ფაშასთან ალექსანდრეპოლში და ლეგრანთან ერევანში პოლიტიკური სცენიდან მიმავალმა დაშნაკებმა ხელი მოაწერეს ორ ურთიერთ გამომრიცხავ ხელშეკრულებას, რითაც შეეცადნენ თურქეთი და რუსეთი ერთმანეთისათვის დაეპირისპირათ, მაგრამ ვერ გამოუვიდათ. კომუნისტები დაშნაკებს თვლიდნენ მშრომელთა მჩაგვრელებად, რადგან მათი სახელმწიფო აგებული იყო ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე.

1920 წ-ის 2 დეკემბერს არმენიის რევოლუციური საბჭოს თავჯდომარემ კასიანმა ლენინისაგან მიიღო ტელეგრამა, რომელშიც ნათქვამია: „არმენი და თურქი მშრომელების ურთიერთ სოლიდარობისათვის ყველა ღონეს ვიხმართ“ – ო.

1920 წ-ის 4 დეკემბერს, მე-11 წითელი არმია და არმენიის რევკომიტეტი შევიდა ერევანში.

1920 წ-ის ბრძოლებში ქემალ ფაშამ ახალი თურქეთის სახელით შეინირა 200 ათასამდე არმენის სიცოცხლე, რაშიც სტალინის ხელიც ურევია, ვინაიდან ბაქოში „აღმოსავლეთ ხალხთა“ ყრილობაზე, მისი მონაწილეობით მიღებულმა გადაწყვეტილებამ თურქებს არმენთა წინააღმდეგ გაუხსნა ხელი.

ქემალიც მლადოთურქებივით ცდილობდა რაც შეიძლება მეტი არმიანი მოესპო, რომ მათი საკითხი საერთოდ, აღარასოდეს წამოწეულიყო.

აღნიშნულ ვითარებათა გამო ანტანტის ქვეყნებმა გადანყვიტეს აღარ ყოფილიყვნენ ორიენტირებული არმენიაზე, რამდენადაც მისი მოსახლეობა საკმაოდ შემცრდა და ამასთან

ერთად შევიდა მათთვის მტრულად განწყობილ ბოლშევიკური რუსეთის შემადგენლობაში. ასე დაკარგა „არმენიის რუკით“ თამაშმა დასავლეთისათვის აზრი.

ჩეჩენინს სურდა თურქეთ-არმენიის საზღვარი გავლებულიყო სერვის ხელშეკრულების შესაბამისად, მის გასანეიტრალეზებად კი თურქები ცდილობდნენ სტალინთან დაახლოებას. **ამ დროს ზანგეზური იყო პოლკოვნიკ გარეგინ ტერ-არუთუნიანის (ნუდე) ხელში მოქცეული და მისმა გმირულმა საქციელმა იგი დღემდე შეუნარჩუნა არმენ ხალხს.** ბაქოს გულუხვი დეკლარაცია კი დარჩა ქალაქზე, თურქები არმენიის საზღვრებიდან 1921 წ-ის აპრილამდე აღარ გასულან. მათ არ დატოვეს ალექსანდრეპოლიც და თან ახორციელებდნენ არმენთა დარბევებს, სადაც რევკომი მოქმედებდა მხოლოდ 5 თებერვლამდე.

ოსმალეთის იმპერიის კაპიტულაციის შემდეგ სისხლის მსმელი მლადოთურქები, – ოსმალეთის იმპერიის შს მინისტრი მეხმედ თალაათ ფაშა, თავდაცვის მინისტრი და მთელი ამ ტრაგედიის მთავარი არქიტექტორი ისმაილ ენვერ ფაშა, და სირიის ადმინისტრატორი ახმედ ჯემალ ფაშა, 1,5 მილიონი არმიანის მოსპობისათვის სასჯელისაგან თავის არიდების მიზნით 1918 წ-ს გაიქცნენ საზღვარგარეთ. მომდევნო წელს თალათი მოკლა ტეგლარიანმა ბერლინში, – ენვერ ფაშა კი, რომელიც ოცნებობდა აზერბაიჯანის, დაღესტნისა და ჩრდილოეთ კავკასიის სულთანობაზე, – დაიღალა რა ხანგრძლივი ხეტიალით 1920 წ-ის ზაფხულში ჩავიდა მოსკოვში, მონაწილეობა მიიღო იმავე წლის სექტემბერში იქ გამართულ „აღმოსავლეთ ხალხთა“ ყრილობის მომზადებაში და სიტყვითაც გამოვიდა მასზე. რომლის შემდეგ სთხოვა ქემალს თანამშრომლობა არმენთა მოსპობის ბოლომდე მიყვანის საქმეში, მაგრამ უარი განუცხადა ძველი მტრობის გამო.

1921 წ-ის ოქტომბერში ენვერი გადავიდა ბუხარაში, უბოძეს მას იქ 1922 წ-ის 11 აპრილს სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ხივის, თურქესტანისა და ბუხარის შეარაღებული ძალების მთავარსარდლის მანდატი, მაგრამ მალევე მან დაუბრუნა იგი მოსკოვს და 1922 წ-ის 19 მაისს მოაწყო რუსეთის

სანინალმდეგოდ აჯანყება, თან ნაუყენა ულტიმატუმი: „ეცნოთ შუა აზიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა“. თურქესტანი კი მიაჩნდა მომავალი „თურანის“ ბირთვად. იმავე წლის 4 აგვისტოს იგი სიცოცხლეს გამოასალმა ბუხარის მახლობლად ნითელარმიელმა აკოფ მელქონიანმა.

1918 წ-ს მესამე სისხლის მსმელი ახმედ ჯემალიც გაიქცა გერმანიაში, 1920 წ-ს ჩავიდა მოსკოვში, იქიდან გადავიდა ავღანეთში, სადაც დაუახლოვდა ემირს და გახდა მისი მრჩეველი. მონაწილეობა მიიღო ავღანეთის ჯარების რეფორმებში. მაშინ რუსეთის თანადგომით იბრძოდნენ ბრიტანეთის წინააღმდეგ. **1922 წ-ს კი უკან დაბრუნებისას დაშნაკთა პარტიის წევრებმა იგიც მოკლეს თბილისში.** 107

ისმის კითხვა, ვისი ნებართვით შეიძლება აღმოჩენილიყვნენ ეს თურქი ჯალათები რუსეთში, ანდა ენვერს მიელო ესოდენ მაღალი თანამდებობა, – თუ არა სტალინის ნებართვით, რამეთუ მას ექვემდებარებოდა მუსლიმთა თუ აღმოსავლეთ ხალხთა საორგანიზაციო საკითხები, ანდა ტროცკის ნებართვით, რომელიც სარდლობდა რუსეთის ჯარს. **ამ დროს ორივე ემსახურებოდა „ებრაელთა შეთქმულების“ განხორციელებას,** ისლამი კი, საერთოდ ამ შეთქმულების „მახვილია“, ქრისტიანობა კი, ხალხთა დამონების იარაღი.

აღმოსავლეთის ფრონტზე ქემალმა მიაღწია რა თავის მიზანს, – თურქეთის ჯარების მაქსიმალურად წინ წანევის ზრვარზე საზღვრის გავლებით, – რუსეთთან გააფორმა სამშვიდობო ხელშეკრულება.

საბჭოეთთან მეტი დაახლოების თაობაზე აქტიურობა ყოველთვის მოდიოდა ქემალის მხრიდან, ვიდრე არმენიის ხარჯზე მთლიანად არ გაიმყარა საზრვარი, თურქეთთან კი რუსეთს როგორც ჩანს ბრძოლის უნარი აღარ შესწევდა და მის სურვილებს ემორჩილებოდა.

მიუხედავად ამისა სტალინი მაინც „მსოფლიო რევოლუციის“ განხორციელების საქმეში თურქეთს, რომელიც ვითომდა სოციალიზმისაკენ იხრებოდა, – ფორპოსტად მოიაზრებდა და ყველა საკითხში განადგურებულ არმენიაზე წინ აყენებდა. სტალინს ეშინოდა თურქეთი ინგლისის დიქტატის ქვეშ მყოფი

საბერძნეთის გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო.

1921 წ-ს ქემალს მხოლოდ რუსეთის იმედილა გააჩნდა. გასაბჭოების შემდეგ კი ბოლშევიკებმა არმენიაში განავითარეს ნითელი ტერორი და უამრავი სამშობლოს პატრიოტი დაშნაკი მოსპეს.

1921 წ-ის 28 იანვარს ტრაპზონში ქემალის ბრძანებით ჟანდარმერიამ ყველა თურქი კომუნისტი გაანადგურა, რის მიუხედავად თურქეთმა მაინც შეძლო რუსეთთან ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულების გაფორმება. როგორც ირკვევა სტალინმა ჩათვალა, რომ „არმენიის საკითხი“ თურქეთს უკვე გადანყვებილი ჰქონდათ და მათი ბედი აღარ აინტერესებდა.

1921 წ-ის 21 თებერვლიდან 14 მარტამდე ლონდონში მიმდინარე კონფერენციაზე დასავლეთის ქვეყნებმა გადახედეს „სერვის ხელშეკრულებას“. კონფერენციაზე თურქეთის მხრიდან მონაწილეობას იღებდა ორი დელეგაცია, – სულთანის და ქემალის. ტონს იძლეოდა ქემალის წარგზავნილები, ანუ ანკარის დელეგაცია. მაშინ „არმენიის საკითხი“ დაყვანილი იქნა თურქეთის ფარგლებში „ეროვნული კერის“ შექმნის დონემდე, მანამდე კი თითქმის ნახევარ ანატოლიას უთმობდნენ და ქემალისტებმა ეს ვარიანტიც მთლიანად უარყვეს, და გაიტანეს თავისი. კონფერენცია დასრულდა უშედეგოდ.

1921 წ-ის თებერვალში დაშნაკებმა არმენიაში მოაწყვეს აჯანყება და თითქმის ნახევარი აღმოსავლეთ არმენიიდან ბოლშევიკები განდევნეს. თუმცა აჯანყება მალევე ჩააქრეს და სარდარაბადის გმირები დახვრიტეს, მაშინ 104 ბოლშევიკიც ტატევის კლდიდან ხრამში გადაჩეხეს. მაშინ არმენთა ნაცია ორ ნაწილად გაიყო და ერთი მეორეს დაუწყეს ქიშპობა, მათ ხარჯზე კი თურქეთმა მოითბო ხელი.

ბათუმის სანაცვლოდ რუსებმა თურქებს დაუთმეს სურმანის მაზრა, რომლის მეშვეობითაც არმენებს შეეძლოთ არარატის მთასთან მისვლა, რამეთუ 1914 წ-ის მდგომარეობით არმენიის საზღვარი გადიოდა დიდ არარატის მთაზე, რომელიც 1828 წ-ს რუსებმა წაართვეს სპარსელებს. ჩიჩერინის მცდელობა კი დახმარებიყო არმენებს, – უშედეგოდ დამთავრდა.

1921 წ-ი 16 მარტს რუსეთ-თურქეთს შორის დადებული მეგობრობის ხელშეკრულების თანახმად მხარეები შეთანხმდნენ, რომ არ ეცნოთ იძულებით დადებული არანაირი ხელშეკრულება, მათ შორის 1920 წ-ს „სერვის ხელშეკრულება“, რომელსაც არ ცნობდა ანკარა. დადგენილ იქნა ასევე თურქეთის ახალი ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი. ყარსისა და არდაგანის რაიონები გადაეცა თურქეთს, ბათუმი კი საქართველოს. მხარეებმა იკისრეს ვალდებულება არ დაეშვათ საკუთარ ტერიტორიებზე ორგანიზაციებისა და ჯგუფების შექმნა, რომელსაც პრეტენზია ექნებოდათ მეორე მხარესთან, ანდა მის ტერიტორიის ნაწილზე, ანკიდევ თუ შეებრძოლებოდნენ მას. ასეთივე ვალდებულება იკისრეს მხარეებმა კავკასიის დანარჩენი რესპუბლიკების მიმართაც. 108

ამ ხელშეკრულებით თურქეთმა რუსეთი გაიხადა უღალატო მეგობრად იმპერიალიზმთან ბრძოლაში და გაიმყარა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი საერთაშორისო დონეზე. ფაქტობრივად თურქეთი ვერ დაიცავდა თავის, თუ არა რუსეთის დახმარება.

აღნიშნული ხელშეკრულებით ყოფილი რუსეთის იმპერიაზე რიცხული არმენიის არარატის რესპუბლიკის 25 000 კვკ ფართიც გადაეცა თურქეთს.

ამავე ხელშეკრულების 3-ე მუხლის შესაბამისად ნახჩევანის ოლქი, ქემალის მოთხოვნით უნდა გამხდარიყო აზერბაიჯანის პროტექტორატის ქვეშ, ავტონომიური ფორმირების სახით, იმ პირობით, თუ კი მას სხვას არასოდეს გადასცემდნენ.109

მოსკოვის ამ ხელშეკრულებამ ძალა შესძინა 1920 წ-ის 24 მარტის შეთანხმებას, რომელიც არ იყო ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი საზღვრის დაუდგენლობის მოტივით. ტერიტორიული დავა აზერბაიჯანს, თურქეთსა და არმენიას შორის გადაწყდა 1921 წ-ის მარტის ბოლოს არმენიის ხარჯზე. ამავე ხელშეკრულებით საქართველოს ჰერეთი, – ზაქათალის მაზრა /2000 კვკ, – / გადაეცა აზერბაიჯანს.

ათათურქი ანტანტის მიმართ იყო ორპირა, რაც „ლოზანის 1923 წ-ის კონფერენციამ“ გამოავლინა. თურქეთის „განითლება“

იყო მოჩვენებითი, ქემალი მალევე გაცივდა რუსეთის მიმართ და არ ისურვა მისი გავლენის ქვეშ მოქცევა. მოსკოვში მის ჩანაფიქრს დროზე ვერ მიუხვდნენ, და ყველაფერში უთმობდნენ მას, ეშინოდათ არ მოეხდინა ბაქოზე გავლენა, რომელშიც მოსკოვი ნავთობის გამო ძალიან საჭიროებდა, მუსულმანური ფაქტორიც, გლობალური პოლიტიკის ასპექტში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, – განადგურებულ არმენიასთან შედარებით.

მოსკოვის „1921 16 მარტის ხელშეკრულებით“ ხელყოფილ იქნა არმენი ხალხის სუვერენული უფლება ისტორიულ სამშობლოს ნაწილზე, რაც ბევრად წააგავს მოლოტოვი-რიბენტროპის შეთანხმებას.

თურქეთის თხოვნით არმენიის დელეგაცია საერთოდ არ იყო დაშვებული აღნიშნულ კონფერენციაზე, რამეთუ მას ხვდა მსხვერპლის მისია. აზერბაიჯანი კი გამოვიდა თურქეთის რუსეთთან დამაკავშირებელ ხიდად. ასე აღმოჩნდა არმენია აღნიშნული ხელშეკრულების დადებისას კანონ გარეშე მდგომარეობაში. მოსკოვის ეს ხელშეკრულება მოქმედებს დღესაც, რომლითაც რუსეთმა თავი დააღწია კავკასიურ ომებს.

„მსოფლიო რევოლუციის იდეა“ სტალინმა უფრო მაღლა დააყენა ვიდრე არმენიის სუვერენიტეტი და ვიტყოდი, უფრო შესწირა იგი მან თურქეთისა და აზერბაიჯანის ინტერესებს.

30 – იან წლებში არმენიის ხელისუფლების დარჩენილი ყველა წარმომადგენელი დახვრიტეს.

ნიჯემ, რომელიც შედიოდა აჯანყებულ დაშნაკთა ჯგუფში, გადაინაცვლა ზანგეზურში და იქ 1921 წ-ის 26 აპრელს ჩამოაყალიბა „მთიანი არმენიის რესპუბლიკა“.

„არარატის რესპუბლიკა“, რომელიც წარმოიშვა 1918 წ-ის 28 მაისს, – დაეცა. თებერვლის მცდელობა მოეხდინათ მისი რეამინაცია, – დამთავრდა მარცხით. დაშნაკთა ამბიციები ემთხვეოდა რა ანტანტის ინტერესებს, სტალინისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

1921 წ-ის ივნისში მე – 11 არმიამ დაიწყო დაშნაკებისაგან ზანგეზურის განმენდა.

ინგლისის მიერ შეაარაღებული საბერძნეთის ჯარი 1921

ნ-ის ზაფხულში გეგმავდა ქემალთან გადამწყვეტი ბრძოლის გამართვას და ქვეყნის სიღრმეებში შესვლას. 16 მარტის ხელშეკრულებამ თურქეთს გაუმაგრა რა ზურგი, შეძლო აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადაესროლა ძალები ბერძნების წინააღმდეგ, საამისოდ კი რუსეთისაგან უკვე მიღებული ჰქონდა სამხედრო შეაარალება.

ამასთან დაკავშირებით «СССР и Турция 1917-79 гг», გვ. 10, – ვკითხულობთ: „საბჭოთა მთავრობა 1920 წ-ის 24 აგვისტოსა და 1921 წ-ის 16 მარტის ხელშეკრულებების შესამამისად აგრძელებდა თურქეთისადმი ყოველგვარ დახმარებას. ოფიციალური მონაცემებით ნოვოროსიისკის, ტუაპსისა და ბათუმის ნავსადგურებზე გაავლით 1920-22 წწ-ში თურქეთს გადაეცა 39 ათასი შაშხანა, 327 ტყვიამფრქვევი, 54 ქვემეხი, 63 მილიონი ვაზნა, 147 ათასი ჭურვი, მრავალი ათასი ხმალი, შტიკი, ხელყუმბარა, აირწინალი და სხვა აღჭურვილობა. რუსეთმა ქემალს გადასცა ასევე ბათუმის პორტიდან სამსუნგში რუსთა ჯარის მიერ 1918 წ-ს აღმოსავლეთ ანატოლიაში დატოვებული სხვადასხვა კალიბრის 113 იარაღი და სხვა საბრძოლო საშუალებები.110

1921 წ-ის 9 აპრილს ბუდუ მდივანმა ქემალის ელჩს გადასცა 30 000 მანეთი იმ მოსახლეობის დასახმარებლად, რომელიც მოექცა ბერძენთა შემოტევის არიალში. 111

საბჭოთა მთავრობამ დააკყმაფილა აგრეთვე ქემალის 1921 წ-ის 25 მაისის მოთხოვნა დენტის ქარხნის აშენების თაობაზე, გადასცა მათ ვაზნებისა და ნედლეულის მწარმოებელი ქარხნის მთელი მოწყობილობა. 112

თურქეთს ეხმარებოდა აზერბაიჯანიც, მათ ყარსში ჩაუტანეს 30 ცისტერნა ნავთობი, 2 ცისტერნა ბენზინი და 8 ცისტერნა ნავთი.113

ამ დროს, 1921 წ-ის 4-5 ივლისის ბპ კავბიუროს სხდომაზე ნარიმანოვმა განაცხადა: „თუ არმენია უარს არ იტყვის ყარაბახზე, შეუნწყვეტ ნავთის მიწოდებას“. 1921 წ-ის 14 აგვისტოს, ანკარაზე შეტევაზე გადასული ბერძნები 22 დღრიანი ბრძოლების შემდეგ დამარცხდნენ და ქემალმა უკუაგდო ისინი.

1921 წ-ის 13 ოქტომბერს ყარსში, ამიერკავკასია-თურქეთის კონფერენციაზე, თურქეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს

შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად საბჭოთა არმენიამ ცნო მასთან გავლებული საზღვრის კანონიერება. ხელშეკრულებას დღემდე აქვს იურიდიული ძალა. ამ ხელშეკრულების პირობები მოსკოვის ჩამოყალიბებულია ანკარასთან ერთად. ასე დარჩა არმენია 29, 8 ათასი კვკ ფარგლებში.

როგორც ხედავთ 1921 წ-ის ოქტომბის ბოლომდე თურქეთმა ფორმალურად დაამთავრა აღმოსავლეთის ყველა საკითხი, რაც საშუალებას აძლევდა მას დასავლეთთან თავის მართლების და ამის შემდეგ მან მთელი ძალები მიმართა დასავლეთის ფრონტისკენ. შედეგად ბერძნებმა, როგორც ავღნიშნეთ უკან დაიხიეს. ამ დროისთვის საფრანგეთი მონოდებული იყო თურქეთთან დაედო სეპერატისტული ზავი, რომელიც გამოსული იყო ანტი თურქული კვალიციიდან.

ანტანტის ქვეყნებს შორის 1 მსოფლიო ომის შემდეგ განხეთქილება სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა, რამაც განაპირობა ოსმალეთის თურქეთის გაყოფის გაჭიანურებაც. ომის შედეგით ყველაზე მეტად მოგებული აღმოჩნდა ბრიტანეთი, რომელმაც არაბეთზე, ერაყსა და იორდანიაზე მოიპოვა მართვის მანდატი. მას ეკუთვნოდა ასევე სტამბოლსა და მის მიმდებარე სრიტეებზე კონტროლის წარმოება. აქედან გამომდინარე ბრიტანეთს უკვე სულაც აღარ სურდა თურქეთის მთლიანად დასუსტება.

საფრანგეთმა მიიღო სირია, ლივანი და კილიკია, სადაც გადასხა თავისი ჯარი, ქემალს კი არ სურდა კილიკიის დაკარგვა.

1921 წ-ს 20 ოქტომბერს სირიის შენარჩუნების მიზნით საფრანგეთმა დადო ქემალთან ხელშეკრულება, რომლითაც ცნო ანკარის ძალაუფლება კილიკიაზე და იქიდან გავიდა. დაუცველმა და ბედის ანაბარა მიტოვებულმა არმენებმა კი დატოვეს ათასწლოვანი სამშობლო და გავიდნენ. იმ დროს ფრანგ-თურქეთა მიერ დადგენილი სირიის საზღვარი დღემდე უცვლელია. 1939 წ-მდე საფრანგეთის მანდატის ქვეშ იმყოფებოდა სირიის ანტაკის რაიონი, რომელიც შემდეგ ასევე გადაეცა თურქეთს.

აღნიშნული ხელშეკრულებით საფრანგეთმა აიღო ვალდე-

ბულება მიეყიდა თურქეთისათვის 200 მილიონი ფრანკის ღირებულების საბრძოლო მასალა, მათ შორის 10 000 კომპლექტი ჩასაცმელი, 8 000 მაუზერი, 5 000 ცხენი, 12 თვითმფრინავი და ქვემეხები. სავარაუდოდ მათ შესაძენად ქემალმა გამოიყენა რუსეთიდან მიღებული ოქრო.

«ССР и Турция 1917-79» – ის 46-ე გვერდზე ვკითხულობთ: „საბჭოთა ოქრო თურქეთის მიერ გახარჯული იქნა არმიის შესაიარაღებლად. იტალიიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან შეიძინეს სამხედრო ტექნიკა: 1500 მსუბუქი ტყვიამფრქვევი, 2735 ყუთი ვაზნა, 10 ანგარი, ავიამოტორი, 3 რადიოსადგური, 200 სატვირთო ავტომანქანა, 1 კომპრესორი, 130 ტონა ბენზინი და საპოხი საშუალებები, 2 ტონა საძირე ტყავი, საარტილერიო ბოქლომები და სხვა; იტალიელებისაგან შეიძინეს 20 სამალავი, 97 ტონა დენთი, 20 000 შაშხანა, 4310 ათასი ვაზნა; ამერიკელების კომპანია „სტანდარტ ოილისაგან“ შეიძინეს 800 ტონა ბენზინი. აღჭურვილობის შეტანაში დაეხმარ რუსეთი“. 114

ხსენებული ხელშეკრულების გამო საფრანგეთსა და ინგლისს შორის გაჩნდა განხეთქილება.

თურქეთი საჭიროებდა სამხედრო მრჩევლებს და ამის გამო უკრაინიდან ფრუნზე გაუზავნეს ელჩად. ამ დროს იგი იყო უკრაინისა და ყირიმის მთავარსარდალი.

1921 წ-ის 20 ოქტომბრის თურქეთ-საფრანგეთის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომ თურქეთი გადაიხარა დასავლეთისკენ.

ფრუნზეს ამოცანა იყო აღეკვეთა თურქეთის ევროპისაკენ ლტოლვა, დასავლეთი კი ცდილობდა თურქეთის გამოყენებას რუსეთის საწინააღმდეგოდ. 1921 წ-ის 5 ნოემბერს ფრუნზე გავიდა ხარკოვიდან და 13 დეკემბერს უკვე იყო ანკარაში.

1922 წ-ის 22 დეკემბერს შედგა თურქეთ-უკრაინის კონფერენცია, რაც 2 იანვარს დამთავრდა ძმობისა და მეგობრების ხელშეკრულების გაფორმებით. ფრუნზემ თურქეთი მიიჩნია ანტანტის საპირწონად აღმოსავლეთ ხალხთა გაერთიანებისათვის, – რომელსაც ასევე სჯეროდა თურქეთის.

1922 წ-ის 30 იანვარს საფრანგეთის პრეზიდენტმა პუანკარემ მისწერა ინგლისის პრემიერ მინისტრ კერზონს „დასავლეთ

არმენის“ შესახებ, რომ „ნუ ვეძებთ მათი საკითხის გადაწყვეტას კილიკიაში, სადაც არმენები უკვე აღარ ცხოვრობენ-ო“. 115

ქემალისტები ეყრდნობოდნენ რა ალექსანდრეპოლის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებს, ასევე საფრანგეთ-თურქეთის პაკტს, საერთოდ დაუშვებლად მიიჩნევდნენ „არმენთა საკითხის“ კვლავ საერთაშორისო დონეზე წამოწევას, თითქოსდა არმენია – თურქეთს შორის უკვე ყოფილიყო მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბებული. ინგლისი კი ცდილობდა ბერძენთა ჯარის მეშვეობით თურქეთი გაეხადა თავისი მომსმენი, რამეთუ სრუტეების ფლობა ბრიტანეთს მაცდუნებელ პერსპექტივებს პირდებოდა. ამ დროს ბერძნებს შესაძლებლობა ამოეწურათ და ძალა აღარ ჰყოფნიდათ საკარიაზე იერიშის მისატანად. ფრუნზეს რჩევით თურქეთი, რომელსაც 200 000 ჯარისკაცი ჰყავდა, ემზადებოდა ბერძნებზე თავდასხმისათვის.

1922 წ-ის 10 აპრილს ქემალმა ლენინს მისწერა: „**რუსეთთან ჩვენი მეგობრობა მუდმივია... და „დიდი ეროვნული კრების“ პოლიტიკის საფუძველი, ხოლო რუსეთის დახმარება ჩვენთვის მნიშვნელოვანია**“. ქემალს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის პოლიტიკის დაბალანსება, პრწყინვალე შედეგს აძლევდა. რუსეთი კი ანტანტას სთხოვდა შეეწყვიტა თურქეთის სანაპირო ზოლის დაბომბვა, ხოლო ინგლისი რუსეთს, – რომ ანკარას შეეწყვიტა სამხედრო მოქმედებები.

26 აგვისტოს აფიონ კარახისარა, ჩუკურდის რაიონებში, როდესაც თურქეთის ჯარი გადავიდა შეტევაზე ბერძნები დამარცხდნენ, მათი სარდალი ტრიკუპისი შტაბთან ერთად 2 სექტემბერს ჩავარდა ტყვედ, მისი ჯარისკაცები კი გაიქცნენ და თურქები მიყვნენ მათ ეგეოსის ზღვამდე. 9 სექტემბერს თურქები შევიდნენ სმირნში და დაიწყეს კონსტანტინეპოლისაკენ მსვლელობა. 18 სექტემბრის მდგომარეობით მთელი ანატოლია უკვე იყო ქემალის ხელში.

23 სექტემბერს ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ თურქეთს შესთავაზეს კონფერენციის მოწვევა, მოლაპარაკება დაიწყო 3 ოქტომბერს. 11 ოქტომბერს კი ხელი მოაწერეს **მუდანის სამშვიდობო შეთანხმებას**, რომელსაც საბერძნეთი

შეუერთდა 13 ოქტომბერს. ასე გაიმარჯვა ქემალმა ანტანტაზე რუსეთის დახმარებით.

11 ოქტომბრის ქ.მუდანის მორიგება ითვალისწინებდა 15 ოქტომბრიდან საბერძნეთთან ცეცხლის შეწყვეტას და ბერძნების ჯარების ევაკუაციას აღმოსავლეთის ფრონტიდან მდინარე მარიცამდე, სადაც დღეს გადის მათი საზღვარი.

ბერძენ-თურქთა 1919-1922 წწ-ის ომი დასრულდა თურქეთის სრული გამარჯვებით. ამ ომის დროს მოსპობილ იქნა 600 000 მშვიდობიანი ბერძენი მოსახლე, საბერძნეთი კი მოიცვა კრიზისმა და მოხდა სამთავრობო გადატრიალება. შედეგად ბალკანეთმა მიიღო ერთ მილიონამდე დევნილი, რომელთა 45%, – 1923 წ-მდე შიმშილით, ეპიდემიისა და სიცივისაგან გარდაიცვალა.

1922 წ-ის 20 სექტემბერს შვეიცარიის ქ.ლოზანში გაიხსნა კონფერენცია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა თურქეთსა და დანარჩენ ქვეყნებს შორის ურთიერთობის პროექტი. კონფერენციაზე დამკვირვებლის როლში მონაწილეობდა რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს დელეგაციები. იმის გამო, რომ ოსმალეთის ხარჯზე ინგლისსა და საფრანგეთს გააჩნდათ უზარმაზარი მუსულმანური კოლონიები, თურქეთს უნევდნენ ანგარიშს, რუსეთს კი ემინოდა არ მოექცია თურქეთს თავისი გავლენის ქვეშ აზერბაიჯანი. სამოქალაქო ომის დროს კი ყირიმელ და ბაშკირულ თათრებს ეკავათ რა პროთურქული პოზიცია, ესეც გარკვეულ ბარიერს ქმნიდა რუსეთისათვის.

ლოზანისა და შემდეგ ლონდონის კონფერენციაზე „არმენიის საკითხი“ უკვე აღარ იყო დაყენებული და არც საბჭოთა არმენიას წამოუყენებია ამ მხრივ რაიმე პრეტენზია, თითქოსდა უკვე აღარ ყოფილიყო. თუმცა კვლავ საუბარი მიდიოდა არმენებისათვის „ეროვნული კერის“ შექმნაზე დასავლეთ არმენიის ტერიტორიაზე, სადაც ყველაფერი უკვე ფერფლად იყო ქცეული, ხალხი კი სხვადასხვა ქვეყანაში განდევნილი. თუმცა ამაზეც ქემალის წარმომადგენლები წინააღმდეგ წავიდნენ, „თურქეთის მთლიანობის გახლეჩას გამოიწვევსო“ და ანტანტამაც ვერაფერი იღონა.

გენოციდამდე თურქეთში სამ მილიონ არმიანზე მეტი ცხოვრობდა, ამ დროისთვის კი მხოლოდ 130 000 იყო დარჩენილი.

რუსეთი ითხოვდა სრუტეების დაკეტვას, დასავლეთი და თურქეთი კი არ დაეთანხმნენ, რამეთუ მოითხოვეს საკუთარი გემების თავისუფლად მიმოსვლა და თვითფრინავების თავისუფლად ფრენა.

ლოზანში მხარეები შეთანხმდნენ გარკვეულ პირობებზე, რაც არ მოეწონა რუსეთს, რამეთუ სრუტეების მოქმედების რეჟიმი ეწინააღმდეგებოდა მის ინტერესებს. ამის შემდეგ თურქეთში დაიწყო ანტი რუსული კომპანია და იგი უკვე ღიად გადაიხარა დასავლეთისკენ. ლოზანის შემდეგ თურქეთში ვითარებას აკონტროლებდნენ მხოლოდ თვითონ თურქები. ლოზანის შემდეგ ინგლისმაც მიატოვა სტამბოლი.

სირიამ 100 000 არმიანს მისცა თავშესაფარი, თუმცა ლოზანს მათ მიმართ არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია, თითქოსდა არ ჰქონიყო მათ არანაირი პრეტენზია. ასე გაუფასურდა თურქეთის კაპიტულაცია. 116

ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა 1923 წ-ის 24 ივლისს, მასზეა დამყარებული დღევანდელი თურქეთის საზღვრები. 1923 წ-ის 29 ოქტომბერს თურქეთმა შემოიღო რესპუბლიკური მმართველობა და მის პრეზიდენტად არჩეული იქნა ქემალ ფაშა, შემდეგში ათათურქედ წოდებული. იმავე წლის 13 დეკემბრიდან კი ანკარა გამოცხადდა თურქეთის დედაქალაქად.

ლოზანის ხელშეკრულებამდე ცოტა ხნით ადრე, 1923 წ-ის 7 ივლისს აზერბაიჯანის შემადგენლობაში შეიქმნა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი, რომლის მოსახლეობის 94 % იყო არმენები.

ასე იქნა „არმენიის საკითხი“ დახურული 1923 წ-ის ზაფხულში.

1915-1922 წწ-ის გენოციდს, ეპიდემიისა და საომარი მოქმედებების შედეგად, 1914 წ-ის მდგომარეობით მსოფლიოში არსებული 4,5 მილიონი არმენებისაგან, ორ მილიონზე მეტი იყო დაღუპული. მსოფლიოს არც ერთ ერს არ განუცდია ასეთი უბედურება, როგორც ეს გადახდა არმენ ერს, რაშიც უმთავრესი ბრალი ოსმალეთის სულთან ახმედ გამიდ-2, მლადოთურ-

ქებს, ათათურქს და რა თქმა უნდა საერთაშორისო სიონიზმის აგენტებს მიუძღვით, რომლებიც მაშინ სხვადასხვა ქვეყნების სახელისუფლო სტრუქტურებში იყვნენ მოკალათებულები.

სიტყვა „ერმინისტანის“ წარმოთქმა თურქეთში იქცა ანტი-თურქულ პროპაგანდად და დასჯადი გახადეს. 1923 წ-დან კი თურქეთის კომპარტია გამოაცხადეს კანონგარეშე. მუსტაფა ქემალ ფაშა იყო უდიდესი ნიჭიერი მხედართმთავარი, ძლიერი პოლიტიკოსი, დიპლომატი და კარგი სახელმწიფო მოღვაწე, მაგრამ თავისი ქვეყნისთვის. თუ არა იგი, თურქეთი იქნებოდა ჩაბარებული ისტორიულ არქივში, არმენებს კი ექნებოდა მთლიანობაში აღდგენილი ისტორიული სამშობლო, თუმცე წინ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასავლელი, მოვლენები ვითარდება ციკლობრივ და დადგება დრო, რომ არმენიაც გაპრწყინდება.

1921 წ-ის 16 მარტს თურქეთის მიერ რუსეთთან დადებული „ძმობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება, – 1925 წ-ის 17 დეკემბერს პარიზში შეცვლილ იქნა „ნეიტრალიტეტისა და საბჭოთა კავშირის მხრიდან თავდაუსხმელობის ხელშეკრულებით“.

1935 წ-ს, როდესაც თურქეთი უკვე სამშვიდობოს იყო გასული, ათათურქმა გამოაცხადა: „არ უნდა დაგვაზიწყდეს, რომ თურქთა სამყაროს ყველაზე საშიში მტერი კომმუნისმია“.127

30-იან წლებში ქემალისტებმა დაიწყეს დაახლოვება რომი-ბერლინი-ტოკიოს ღერძთან და უარყვეს ხსენებული ნეიტრალიტეტი.

1941 წ-ის ივლისის თვეში თურქულ ჟურნალ „თეთრი მგლის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნდა სტატია, რუკით, „თურქიზმი ელოდება დიდ თურანს“, რომლის შემადგენლობაშიც ამიერკავკასია, – შუა აზიითურთ იყო შეტანილი.

ჟურნალ „ჩინარალტი“ში პანთურქი პოეტი აღნიშნავდა: „თურქები დაიპყრობენ კავკასიას და ყირიმს, და განდევნიან მტრებს, და დადგება დრო, როდესაც თურქი ერი დაანგრევს კავკასიის, ყირიმისა, და ბუხარის ციხე-სიმაგრეებს“.117

1942 წ-ის 5 აგვისტოს გერმანიის ელჩმა თურქეთში ფონ პანენმა თავის მთავრობას აცნობა, რომ „თურქეთის მთავრობა

დიდ ინტერესს იჩენს თავის თანატომელ აზერბაიჯანისადმი, ანალიზს უკეთებენ 1918 წ-ის მოვლენებს, ოცნებობენ აზერბაიჯანისა და ბაქოს ნავთობის სარეწეების დაუფლებაზე. ამ მიზნით თურქებს შექმნილი აქვთ სპეციალური კომიტეტი, რომელიც მუშაობს ასევე ირანის აზერბაიჯანისა და კასპიის ზღვის დაკავების დეტალურ გეგმებზე“.118

თურქეთი ელოდებოდა თუ როგორ გადაწყდებოდა ომის ბედი ვოლგაზე, რომ საბჭოთა კავშირს დასხმოდა თავს. მის გამო კი სსრკ-ს კავკასიის ფრონტზე განთავსებული ყავდა 18 დივიზია, რომელშიც ასე საჭიროებდა სხვა ფრონტებზე. მიუხედავად ამისა ომის დამთავრების წინ 1945 წ-ის 23 თებერვალს თურქეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას. სსრკ-მ კი 1945 წ-ის 19 მარტს მოახდინა 1925 წ-ის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დენონსაცია.

თურქეთმა ახალ მფარველად გაიხადა აშშ, რომელსაც ატომური იარაღი გააჩნია და მანაც გააწევრიანა ნატოში. გაეროს კომისიამ და ევროპარლამენტმა ცნო არმენიის გენოციდი, სსრკ-ში კი ამ თემაზე საუბარს ერიდებოდნენ, რამეთუ ითვლებოდა ნაციონალურ, ანტი საბჭოურ პროპაგანდად. 1918-1923 წწ-ის მოვლენებს კი ხან გვერდს უვლიდნენ და ხანაც ამუქებდნენ დამახინჯებულად, ჩვენ კი ვალდებული ვართ ვიცოდეთ სიმართლე.

12/ იმპერიალისტური ქვეყნების დამოკიდებულება „არმენიის საკითხისადმი

ა/ „არმენიის საკითხი“ და დიდი ბრიტანეთი

„არმენიის საკითხი“ დიდი ბრიტანეთის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის დღის წესრიგში დადაგა 19-ე ს-ის მეორე ნახევრიდან, მცირე აზიაში რუსეთთან დაპირისპირების გამო. 1877-78 წწ-ის ომის შემდეგ ბრიტანეთი ცდილობდა რა ოსმალეთის სტატუსკოს შენარჩუნებას, რაც უარყოფითად უნდა ასახულიყო რუსეთის პოზიციებზე, ბალკანეთის ნახევარ კუნძულსა და ახლო აღმოსავლეთში ევროპაში წონასწორობის შესანარჩუნებლად ინგლისს, – ოსმალეთის იმპერიის არსე-

ბობა აუცილებელ პირობად მიაჩნდა. ამ პერიოდში ინგლისის საგარეო პოლიტიკის თვალსაწიერში ჩნდება დასავლეთ არმენია, რომლის დაპყრობის შემთხვევაშიც რუსეთი მთლიანად გააკონტროლებდა ახლო აღმოსავლეთს, რაც არანაირად არ აწყობდა ბრიტანეთს. ბრიტანეთის მთავრობა „არმენიის საკითხით“ დაკავდა მას შემდეგ, როგორც კი 1878 წ-ს მიიღო „სან-სტეფანის“ შეთანხმების პროექტი.

ბრიტანეთმა გადაწყვიტა ხსენებული ომით რუსეთს თურქეთზე გამარჯვების შედეგი არ მიეღო, ამისათვის მან განახორციელა მობილიზაცია და მარმარილოს ზღვისკენ გააგზავნა თავისი ესკადრა. ასე მოახდინა ინგლისმა იარაღის დემონსტრირება მის წინააღმდეგ, რის შემდეგ რუსეთი იძულებული შეიქმნა ხელი მოეწერა **ლონდონში 1878 წ-ის 30 მაისის საიდუმლო ხელშეკრულებაზე**, რომლის თანახმად რუსეთი უარს აცხადებდა დაპყრობილი ბაიაზეთისა და ალაშქერტის დაბლობზე. ბრიტანეთმა მიაღწია იმას, რომ თურქეთსაც ხელი მოეწერა 1878 წ-ის 4 ივნისის **კაიროს შეთანხმებაზე**, რომლის თანახმად ბრიტანეთმა მიიღო შესაძლებლობა მოეხდინა კიპრის ოკუპაცია. სანაცვლოდ კი თურქეთს დაუბრუნდებოდა რუსეთის მიერ ოკუპირებულ დასავლეთ არმენია, აგრეთვე დაიცავდა თურქეთის ინტერესებს მომავალ ბერლინის კონფერენციაზე, რომელზეც უნდა განხილულიყო რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები. თურქეთის მთლიანობის შენარჩუნების მიზნით კი ბრიტანეთი „არმენიის საკითხის“ გამოიყენებდა რუსეთის წინააღმდეგ.

1878 წ-ის ბერლინის კონგრესზე ინგლისმა მიაღწია იმას, რომ „სან-სტეფანის ხელშეკრულების“ მე-16 მუხლი შეეცვალა ბერლინის პაქტის 61-ე მუხლით, რომლის თანახმად რუსეთს ერთმეოდა მონოპოლური უფლებები დასავლეთ არმენიის პრობლემების გადაჭრაში.

საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში ინგლისმა გამოიჩინა შესაშური აქტიურობა, რომ დასავლეთ არმენიაში ჩატარებულიყო რეფორმები, რისთვისაც 1880 წ-ის 2 ივლისსა და 11 სექტემბერს სულთანს წარუდგინეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კოლექტიური ნოტა, – დასავლეთ არმენიაში

დაუყოვნებლივ რეფორმების ჩატარების თაობაზე. ინგლისის აქტიურობის მიზეზი კი იყო ის, რომ თურქეთზე მუდმივი ზენოლის შედეგად მოეხდინა ეგვიპტის ოკუპაცია და არმენიაც მიემხრო. 1882 წ-ს ინგლისმა სათავისოდ გადანყვიტა რა ეგვიპტის საკითხი, თანდითანობით დაშორდა „არმენიის საკითხს“, თუმცა დასავლეთ არმენიის საკითხი მისი მუდმივი ყურადღების ქვეშ მაინც რჩებოდა.

1878 წ-ის ბერლინის კონგრესის შემდეგ ინგლისმა შეისწავლა რა დასავლეთ არმენიის ტოპოგრაფიული, გეოგრაფიული, კლიმატური პირობები და მისი ეროვნული შემადგენლობა, მათი ჩვევები, და ტრადიციები, დაიწყო სულთან აბდულ გამიდ 2-ის დაშინება, რომ ვითომდა რუსეთს მისცემდა უფლებას დაეკავა დასავლეთ არმენია. ამის გამო 1880 წ-დან სულთანის მთავრობამ დაიწყო არმენთა დარბევები. ინგლისს არ სურდა გაემწვა-ვებინა თურქეთთან ურთიერთობა და თავის მოსახლეობასაც უმაღავდა არმენიაში მიმდინარე მოვლენებს.

1894 წ-ის ნოემბერში, როდესაც ცნობები გავრცელდა სასუნსა და სხვა ადგილებში არმენთა ხოცვა-ჟლეტის შესახებ, ბრიტანეთის მთავრობა იძულებული შეიქმნა გამოსულიყო ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად დასავლეთ არმენიის დასაცავად და სულთანს მოსთხოვეს შეექმნა საგამოძიებო კომისია, დასავლეთის ყვეყნების წარმომადგენლების მონაწილეობით და გამოეძიათ მომხდარი.

1895 წ-ის დასაწყისში ინგლისის ლიბერალურმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნებზე წამოაყენა არმენთა განთავისუფლების შესახებ პოპულისტური ლოზუნგები, გლადსტონმა კი დაიწყო ფართო ანტი სულთანური პროპაგანდა და ითხოვდა ბრიტანეთის დაუყოვნებლივ ჩართვას არმენთა დასაცავად. აღნიშნულის ნიადაგზე ბრიტანეთის მთავრობამ 1895 წ-ის აპრილში შეიმუშავა არმენიაში ჩასატარებელი რეფორმების პროექტი, რომლის შესაბამისად დასავლეთ არმენიას ეძლეოდა ავტონომია, ერთიანი ევროპულ სახელმწიფოთა მფარველობის ქვეშ.

ინგლისის მიზანი იყო რეფორმის პოლიტიკით რუსეთისათვის მოესპო შესაძლებლობა ქრისტიანთა დაცვის საბაბით

მოხდინა დასავლეთ არმენიის ოკუპაცია. 1895 წ-ის 11 მაისს, ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა ოსმალეთის უმაღლეს პორტს წარუდგინეს ინგლისის მიერ შემუშავებული რეფორმის პროექტი, რომლის დაუყოვნებლივ შესრულებაზეც სულთანმა ვალდებულება იკისრა, თუმცა დაიწყო მისი შესრულების გაჭიანურება. ამის გამო ინგლისი აპირებდა თურქეთის სანი-ნაალმდეგოდ ფლოტის გაგზავნას, თუმცა ბოლოს შეიკავეს თავი, რამაც განაპირობა ის, რომ მთავრობა გადადგა. ინგლისის საზოგადოება იმედს ამყარებდა ახალ პრემიერ სოლსბერის მიერ შექმნილ მთავრობაზე, ფიქრობდნენ იგი აიძულებდა სულთანს შეენწყვიტა არმენთა დარბევები, განეხორციელებინა რეფორმები და დაეძლია ახლო აღმოსავლეთის კრიზისი.

ბრიტანეთის იმპერიალიზმს ერთი მხრივ სურდა ოსმალეთის მთლიანობის შენარჩუნება, რის გამოც უჭერდა მას მხარს რუსეთის წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი ევროპის თანხმობისა და რუსეთისათვის მხარდაჭერის გარეშე ოსმალეთის პოლიტიკა დაეცემულიყო ნულამდე. ამიტომაც სოლსბერმა ძალისხმევა მიმართა ანგლო-რუსეთის თანამშრომლობისაკენ „არმენთა საკითხის“ მოსაგვარებლად.

ამ პოზიციით ინგლისი კვლავაც ცდილობდა სულთანის შეშინებას, რომ შერიგებიყო ეგვიპტის ოკუპაციას და ბოლოს თავისი გავლენის ქვეშ მოექცია მთელი ოსმალეთი. ამდენად ინგლისი „არმენიის საკითხით ნიღბავდა თავისი პოლიტიკის რეალურ კურსს.

1895 წ-ის სექტემბერში სტამბოლში მომხდარი არმენთა ხოცვა-ჟლეტის შესაჩერებლად ინგლისის საელჩომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მისი თაოსნობით დასავლეთის ქვეყნებმა უმაღლეს პორტს წარუდგინეს საპროტესტო ნოტა, თუმცა რაიმე შედეგი არ მოყოლია. პირიქით, არმენთა დარბევები უფრო გახშირდა მთელს იმპერიაში. ამის გამო წლის დამლევს ბრიტანეთმა განაცხადა, რომ ამ საქმეში მათ არანაირი ბრალი არ მიუძღვის და რომ საჭიროა დასავლეთის ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევა. ოსმალეთში წესრიგის დასამყარებლად ბრიტანეთი მზად იყო მისთვის გაენია დახმარება. თუმცა მის იმედმა, რომ გაუწევდა კონტროლს არმენიის რეფორმას, –

განიცადა კრახი.

1896 წ-ს სოლსბერი თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აცხადებდა, რომ ბერლინის ხელშეკრულების შესაბამისად „არმენთა საკითხის“ გადანყვეტაში ყველა ხელმომწერმა ქვეყნებმა თანაბარი მონაწილეობა უნდა მიიღონ და ინგლისმა არ უნდა გააკეთოს მათზე მეტი. იმავე წლის 20 ოქტომბერს სოლსბერმა ევროპის მთავრობებს დაუგზავნა ცირკულიარი „არმენთა საკითხის“ მოგვარებისა და ახლო აღმოსავლეთში კრიზისის დაძლევისათვის ერთობლივი გადანყვეტილების მისაღებად მოეწვიათ ევროპული კონფერენცია. კონფერენცია შედგა 1896-97 წწ-ში ელჩების დონეზე კონსტანტინეპოლში, თუმცა ბრიტანეთის პოლიტიკამ განიცადა კრახი. მისი ყოველ მოთხოვნაზე სულთანი პასუხობდა არმენთა სულ უფრო ახალ-ახალი დარბევებით. აღნიშნულის გაბო ინგლისის საზოგადოება გამოხატავდა სამართლიან გულიუხსნყრომას და მატერიალურადაც ეხმარებოდა არმენებს. მათ დასახმარებლად ქმნიდნენ ორგანიზაციებს, პოლიტიკური პარტიები კი ხელისუფლებაში მოსასვლელად აპერიებდნენ არმენთა პრობლემებით. ამასთან ერთად არმენების დასახმარებლად ოსმალეთში მოქმედებდნენ ბრიტანეთისა და ამერიკის მისიონერები.

მე-20 ს-ის დასაწყისში ბრიტანეთს გააჩნდა რა ახლო აღმოსავლეთში, – ეგვიპტიდან-ინდოეთამდე, – იმპერიის შექმნის სურვილი, გადანყვიტეს ამ საქმეში ფორპოსტად გამოეყენებინათ არმენია, რომ მისი დახმარებით გადაეტანა ტვირთები შავი ზღვის პორტებიდან ინდოეთის მიმართულებით. უშუალოდ ეს პროგრამა განსაზღვრავდა ბრიტანეთის პოლიტიკას „არმენიის ასკითხში“. ამის გამო მას არ სურდა რუსეთს მოეპოვა დასავლეთ არმენიაზე გავლენა და ყველანაირად ცდილობდა გადაეკეტა მისთვის ხმელთაშუა ზღვისაკენ მიმავალი გზები. ინგლისს ისიც ესმოდა, რომ მას თავისი მძლავრი ფლტით ქვეყნის სიღრმეში ბევრს ვერაფერს გააკეთებდა და ამიტომაც მან ძალისხმევა მიმართა „პანთურქიზმის“ დოქტრინის განხორციელებას, რომ მისი ამოქმედებით ევნო რუსეთისათვის.

ბრიტანეთის მთავრობა, მისიონერები თუ სავაჭრო ორგანიზაციები, ყველა ცდილობდა არმენები დაერწმუნებინათ

მათდამი „სიყვარულში“, საქმით კი ხშირად ლალატობდნენ. 1909 წ-ის ადენის დარბევის შემდეგ ბრიტანეთმა გააძლიერა არმენთა ფსევდო დაცვის პოლიტიკა, რამეთუ თურქეთის მთლიანობის შენარჩუნება აღმოსავლეთის საზღვრებში პასუხობდა მის ინტერესებს. 1914 წ-ის რუსეთ-თურქეთის შეთანხმება არმენიის „რეფორმებთან“ დაკავშირებით არ ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკას. რუსეთ-გერმანიასთან შედარებით ბრიტანეთს მეტი უფლებები გააჩნდა ჩარეულიყო თურქეთის საშინაო საქმეებში.

1915 წ-ის დასაწყისში მლადოთურქებმა მაშინ დაიწყეს არმენთა გენოციდი, როდესაც დარდანელის ოპერაციის დროს კონსტანტინეპოლის მისადგომებთან დამარცხდნენ ინგლის-საფრანგეთის ჯარები. 1915 წ-ის 24 მაისს ბრიტანეთის მთავრობა, საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობებთან ერთად გამოვიდა განცხადებით, რომ საჭირო იყო ერთობლივი მოქმედება ოსმანთა მხრიდან არმენების მოსპობისა და დეპორტაციის აღკვეთისათვის. არმენების გენოციდის საუძველზე ინგლისმა შეძლო საკუთარი და ნეიტრალური ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის ფორმირება გერმანიის წინააღმდეგ. იმ დროს, როდესაც რუსეთს გარღვეული ჰქონდა ფრონტის ხაზი და დაიკავა ერზრუმი, კერძოდ კი 1916 წ-ს, ხოლო თურქეთის ჯარები იხევდნენ უკან, ლონდონი რუსეთისაგან საიდუმლოდ საფრანგეთთან აწარმოებდა მოლაპარაკებას არაბეთისა და თურქეთის გაყოფისა შესახებ, რათა აღეკვეთათ რუსეთის პოლიტიკის გამარჯვება ამ პერიოდშიც და საერთოდ არ მიეცათ მისთვის საშუალება შესულიყო ახლო აღმოსავლეთში უფრო ღრმად. **ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება თურქეთის გაყოფის შესახებ დამთავრდა 1916 წ-ის „საიკს – პიკოს შეთანხმებით“.**

იმავე წელსვე ბრიტანეთის ახალი პრემიერ მინისტრი ასკვიტა საზეიმოდ აცხადებდა, რომ „თურქეთის ბატონობა დასრულდა და არმენი ხალხი ამიერიდან შექმნიდა თავის ეროვნულ სახელმწიფოს“. ამ დროს ინგლისი წამყვან ქვეყნებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას ახლო აღმოსავლეთის, მათ შორის არმენიის გაყოფის შესახებ.

კავკასიის ფრონტის მთლიანად გაშიშვლების შემდეგ, რაც

მოხდა 1917 წ-ის დამლევს, რუსეთის ჯარების სახლში წასვლის გამო, ბრიტანეთის მთავრობა ცდილობდა არმენთა პატრიოტული მოძრაობა გამოეყენებინა საკუთარი პოზიციების გასამყარებლად კავკასიაში, ჩრდილოეთ ირანსა და მესოპოტანიაში. საამისოდ დეკემბრის თვეში გამოყვეს კიდევ საშუალებები, თუმცა საბოლოოდ ეს საკითხი ბოლომდე მაინც ვერ გადაწყდა დადებითად.

1918 წ-ის „მუდროსის შეთანხმებამ,, ახალი დარტყმა მიაყენა არმენებს, რამეთუ დასავლეთ არმენია დატოვეს თურქეთის გავლენის ქვეშ. ამ შეთანხმების შესაბამისად თურქეთს უნდა გაენთავისუფლებინა ყარსის ოლქი და აღედგინა 1914 წ-ის მდგომარეობით საზღვარი. თუმცა შეუთანხმებელი და გაუბედავი მოქმედებების გამო ბრიტანეთის სამხედრო სარდლობამ თურქეთის ჯარების გამოყვანა ყარსიდან განელა 1919 წ-ის აპრილამდე.

ინგლისის ჩანაფიქრით აღნიშნულ შეთანხმებას უნდა უზრუნველყო ოსმალეთის იმპერიის საბოლოო გაყოფა. თუმცა მუდროსის ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე ინგლისისათვის უკვე ნათელი იყო, თუ რა პოზიციას დაიჭერდა მომავალში არმენია სახელმწიფოთა შერჩევაში, თუ რომელი ქვეყანა აიღებდა მასზე კონტროლის სანარმოებლად პასუხისმგებლობას. ამიტომაც ბრიტანეთი ცდილობდა საკუთარი პასუხმგებლობა მოეხსნა დასავლეთ არმენიის შემდგომ ბედზე.

შეთანხმების 24-ე მუხლი ითვალისწინებდა მოკავშირეთა მიერ არმენიის ექვსი ვილაეთის ოკუპაციას და ერთ რომელიმე მათგანში არეულობის შემთხვევაშიც კი გამოიყენებდნენ 1878 წ-ის ბერლინის ხელშეკრულების 61-ე მუხლის ახალ ვარიანტს.

ამასთან დაკავშირებით მის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბალფურიმ განაცხადა, რომ მშვიდობიან კონფერენციაზე ბრიტანეთი შეეცდება არმენიამ „მიაღწიოს სრულ დამოუკიდებლობას“.

1918 წ-ის დეკემბერში ინგლისმა მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიაში კონტროლის დასამყარებლად განეხორციელებინა რიგი სამხედრო თუ პოლიტიკური ღონისძიებები, რომ როგორმე დაეცვა იქ ბოლშევიკებისაგან საკუთარი ინტერესები.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან ინგლისისათვის ყველაზე ნაკლებ მომხიბლელი იყო არმენიის რესპუბლიკა, რაც გამოჩნდა საქართველოსთან მისი ტერიტორიული დავის გარჩევის დროს, თუმცა გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა აზერბაიჯანს ნავთობის გამო. **სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ბაქოში მყოფმა ინგლისის ჯარების სარდალმა ტომსონმა, 1918 წ-ის 2 დეკემბერს ყარაბაღში მყოფ ანდრანიკას მოთხოვა დაუყოვნებლივ შეენწყვიტა მის ჯარს სამხედრო მოქმედებები ყარაბაღში, რომელიც მას ჰქონდა რამდენიმე დღის განმავლობაში დაკავებული და დაბრუნებულიყო ზანგეზურში.** იანვარში კი, „მშვიდობიანი კონფერენციამდე“ რამდენიმე დღით ადრე ტომსონმა განაცხადა, რომ ხსენებული კონფერენციის გადანწყვეტილებით ზანგეზური და ყარაბაღი გადავიდოდა აზერბაიჯანის დაქვემდებარებაში.

ინგლისთა ჩარევის შედეგად საქართველოს დარჩა არმენებით დასახლებული ჯავახეთის მხარე, ხოლო ლორის ოლქი გამოცხადდა მის დაქვემდებარებაში არსებულ ნეიტრალურ ზონად, რაც განპირობებული იყო იქ არსებული სპილენძის საბადოებით.

1919 წ-ის აგვისტოს შუა რიცხვებში ბრიტანეთის გენშტაბმა მიიღო გადანწყვეტილება კავკასიიდან ჯარების გაყვანის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის მრავალი წევრი და მთავრობაც კი საჭიროდ თვლიდა დაეტოვათ არმენთა დასაცავად.

1919-წ-ის დამლევსა და 1920 წ-ის დასაწყისში ბრიტანეთის პარლამენტში განიხილეს საკითხი არმენიაზე მანდატის გაცემის შესახებ და იგი რატომღაც გადააბარეს აშშ-ს.

„არმენიის საკითხის“ განხილვისას კონფერენციაზე ლორდმა სან-რემო ლოიდ ჯორჯმა 28 აპრილს სხდომაზე განაცხადა: „თუ არმენებს არ შეუძლიათ საკუთარი საზღვრების დაცვა, ასეთ ხალხისგან არანაირ სარგებელს არ უნდა ველოდოთო და არც ერთი მოკავშირე ქვეყანა არ იქნება თანახმა მათ დახმარებაზე, თუნდაც ერთი ბატალიონით“ – ო.

ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს იმას, რომ **სერვის 1920 წ-ის 10 აგვისტოს სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი,**

ერთი მხრივ სულთანის მთავრობამ და მეორე მხრივ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლის თანახმად თურქეთი უარს აცხადებდა ფრაკიაზე, ეგეოსის ზღვაში არსებულ კუნძულებზე, კიპრზე, ეგვიპტეზე და არაბულ პროვინციებზე. საბერძნეთს უნდა ემართა სმირნა, თუ მოისურვებდა ხალხი, შეეძლო მისი ანექსიაც. აზიის თურქეთი დასავლეთ ანატოლიამდე იკვეცებოდა, ხიდჟაზი იღებდა დამოუკიდებლობას, ხოლო ეგვიპტე, პალესტინა, სირია, და მესოპოტამია სამართავად ეძლეოდა ერთა ლიგას, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მანდატის ქვეშ. ამ ხელშეკრულებით კი თურქეთი ცნობდა არმენიის დამოუკიდებლობას. თუმცა თურქეთი და არმენია უნდა დაქვემდებარებიყო აშშ-ს პრეზიდენტს. არმენიას ეძლეოდა შავ ზღვაზე გასასვლელი. საზღვარი გადიოდა ტრაპიზონი, ერზრუმი, ვანი, ბიტლისი, ირანის ხაზზე.

ფაქტობრივად ბრიტანეთმა არანაირი წონადი დახმარება არ გაუწია არმენიას, მიუხედავად მისი თხოვნისა. 1920 წ-ის თებერვალში არმენიას უარი უთხრა ასევე ერთი მილიონი სტერლინგის სესხის გაცემაზე. მხოლოდ 1920 წ-ის ივლისში მისგან მიიღო ზოგიერთი სახის სამხედრო აღჭურვილობა, სამოსელი და საწვავი. ინგლისის წარმომადგენელთა რჩევით, ფაქტობრივად კი ზენოლით არმენიის მთავრობის წარმომადგენლებმა 1920 წ-ის ნოემბერ-დეკემბერში უარი განაცხადეს ლონდონის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის წინადადებაზე, შენარჩუნებიყო არმენიის რესპუბლიკას 1914 წ-ის მდგომარეობით საზღვარი. და 1921 წ-ის იანვარში ანტანტის უმაღლეს საბჭოს სხდომაზე პარიზში, ბრიტანეთმა მხარი დაუჭირა საფრანგეთის მოთხოვნას გადაეხედათ „სევრის ხელშეკრულებისათვის“. 1921 წ-ს ლონდონის კონფერენციაზე ბრიტანეთის მხარდაჭერით სახელწოდება „არმენიის დამოუკიდებელი სახელმწიფო“, შეცვლილ იქნა დამაბნეველი ფორმულირებით, როგორცაა „**არმენიის ეროვნული კერა**“, –თურქეთის ტერიტორიაზე, მიუხედავად ამისა ეს „კერაც“ შემდეგ მოხსნილ იქნა 1922-23 წლების „ლოზანის კონფერენციაზე“. ყოველივე ამის მიუხედავად ინგლისის პროგრესული საზოგადოება მაინც დიდ ყურადღებას უთმობდა არმენთა ტრაგედიას, რას-

თან დაკვირვებითაც პერიოდულად იბეჭდებოდა უამრავი მასალა.119

ბ/ „არმენიის საკითხი“ და საფრანგეთი

საფრანგეთის პოლიტიკა არმენიასთან მიმართებაში განისაზღვრებოდა ფრანგი მონოპოლისტებისა და ბანკირების განსაკუთრებული ინტერესით თურქეთისადმი, რამეთუ ფრანგთა წილად ოტომანთა საგარეო ვალი შეადგენდა 62%-ს და სიგარეტის საწარმოთა ნახევარი იყო ფრანგების. აქედან გამომდინარე საფრანგეთი არ იქნებოდა დაინტერესებული თურქეთის დანაწევრებით, მათ შორის თურქთა მრავალსაუკუნოვანი მონობის უღელიდან არმენთა განთავისუფლებით. საფრანგეთს უფრო აწყობდა დასავლეთ არმენიის ეკონომიკური ექსპლოატაცია, როგორც ოსმალეთის განუყოფელი ნაწილის. ამ აზრის იყო საფრანგეთი, როგორც კი „არმენიის საკითხი“ გაჩნდა საერთაშორისო არენაზე. ისე კი დრო და დრო ვითომ მფარველობდა კილიკიის არმენებსა და კათოლიკებს. იმის გამო, რომ საფრანგეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუსულმანი იყო, რის გამოც ხშირად უჭერდნენ მხარს სულთანს, როგორც ყველა მუსლიმთა ხალიფს.

პროთურქულ კურს ატარებდა საფრანგეთი სულთანის რეჟიმის დამხობის შემდეგაც, თუმცა პარლამენტში განიხილეს და დაგმეს თურქთა მიერ 1909 წ-ს აპრილ-მაისში კილიკიაში განხორციელებული არმენთა დარბევებისა და გენოციდის ფაქტები.

მლადოთურქთა დროსაც საფრანგეთი იჩენდა პასიურობას და 1912-14 წწ-ში „არმენების საკითხთან“ დაკავშირებით არ გამოუჩენია აქტიურობა, და არ უბრძოლია თურქეთის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იგი შედიოდა თურქეთთან დაპირისპირებულ სახელმწიფოთა კვალიციაში. საფრანგეთს მხოლოდ მონაწილეობა აქვს მიღებული მის განაწილებაში, ისიც იმის გამო, რომ ოსმალეთის გაყოფა გარდაუვალი იყო და რომ მასაც რაიმე წილი რგებოდა მის კოლონიებიდან.

„საიკს-პიკოს ხელშეკრულების“ თანახმად კილიკია მოე-

ქცა ფრანგთა გავლენის ქვეშ, ომის შემდეგ კი მისმა ჯარმა მოახდინა მისი ოკუპაცია და გადარჩენილი არმენები დააბრუნეს სახლებში.

ინგლისის ზურგს მიღმა საფრანგეთი ცდილობდა ქემალთან დაემყარა საიდუმლო კავშირი. სევრის ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად არმენია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა გამოცხადებულიყო, – საფრანგეთი წინააღმდეგი ნავიდა. მისი ბრალეულობით სევრის ხელშეკრულება ლონდონის 1921 წ-ის კონფერენციაზე ნაწილობრივ შეიცვალა.

საფრანგეთ-თურქეთის 1921 წ-ის 9 მარტის სამხედრო-ეკონომიკური სეპერატისტული ხელშეკრულების შესაბამისად საფრანგეთმა ქემალს დაუთმო კილიკია და მისი ხალხი მიატოვა ბედის ანაბარა. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა კი განაცხადა, რომ კილიკიაში შეუძლებელია არმენებისათვის მოინახოს ადგილი.

მოკლეთ, საფრანგეთი არმენიის მიმართ ატარებდა მლიქვნელურ და მავნებლურ პოლიტიკას, რაც დადასტურებულ იქნა 1922-23 წწ-ის „ლოზანის კონფერენციაზე“, რა დროსაც სიტყვა „არმენია“ არც კი იყო ხსენებული. 132

გ/ „არმენიის საკითხი“ და აშშ

ამერიკელებს არმენების მიმართ ინტერესი გაუჩნდათ 1894-96 წწ-ის დარბევებამდე ბევრად ადრე, რამეთუ თურქეთ-ამერიკას შორის 1830 წ-ს „მეგობრობისა და ვაჭრობის ხელშეკრულების“ საფუძველზე ამერიკელებმა კონსტანტინეპოლში გააგზავნეს მისიონერები არმენებთან სამუშაოდ. 1846 წ-ს მათ პირველებმა დაარსეს თურქეთში პირველი პროტესტანტული ეკლესია, რაც ოსმალეთის მთაბრობამ ცნო დამოუკიდებელ თემად. მისიონერებმა არმენიაში მუშაობა განავითარეს ტრაპიზონში, ერზრუმში, კესარიაში, დიარბეკარში, ბიტლისში, ვანში და კიდევ სხვა მრავალ ადგილას. 1914 წ-ის მდგომარეობით მისიონერთა რიცხვმა თურქეთში გადააჭარბა 174-ს. მათ ეხმარებოდა 1200 ზე მეტი ადგილობრივი არმიანი. მისიონერებმა გახსნეს 137 ეკლესია, 400 ზე მეტი ამერიკული სკოლა, და რიგი

სხვა დაწესებულებები, მათ შორის 8-კოლეჯი, 3-სემინარია და 46 საშუალო სკოლა, რომლებიც გადაიქცნენ განათლების მნიშვნელოვან კერებად. მართალია ამ სასწავლებლებში იღებდნენ ყველას, მაგრამ მათ უმეტესობას მაინც არმიანები შეადგენდნენ, რადგან ისწავოდნენ ცოდნისკენ. ამას გარდა ამერიკელები მუშაობდნენ 9-საავადმყოფოში და 10-დისპანსერში, სადაც უპირატესად არმენებს უწევდნენ მომსახურებას.

ამერიკელ მისიონერებს მუშაობა უხდებოდათ რთულ პირობებში, რამეთუ ერთი მხრივ ცდილობდნენ გაეგრძელებინათ არმენებში ამერიკული რევოლუციის – „თანასწორობისა“ და „სამართლიანობის“ პრინციპები, მეორე მხრივ კი – წინააღმდეგობას უწევდნენ მათ პოლიტიკურ მოძრაობას, რითაც ცდილობდნენ მიეღწიათ იმავე მიზნისთვის. ამერიკელ მისიონერებს ეშინოდათ იმისა, რომ არმენების ანტიოსმანურ მოძრაობას შეიძლება მათთვის ზიანი მოეტანა, შეექმნა საფრთხე და ამას გაურბოდნენ.

აშშ-თვის „არმენიის საკითხი“ იყო უპირველესი ყოვლისა „ევროპული პრობლემა“, რამეთუ ევროპულმა სახელმწიფოებმა 1878 წ-ს ბერლინში გაფორმებული ტრაქტატის ნიადაგზე გაამწვავეს არმენთა მდგომარეობა და აიძულეს რუსეთი გასულიყო დასავლეთ არმენიიდან, ნაცვლად რეფორმების განხორციელებისა, და მერე გაიყვეს ოსმალეთი.

ამერიკის თვალსაზრისით უშუალოდ ევროპის სახელმწიფოებს უნდა შეესრულებინა თავისი ვალდებულებანი არმენი ხალხის წინაშე. „არმენიის საკითხთან“ მიმართებაში აშშ-ს მთავრობა ხელმძღვანელობდა „მონროს დოქტრინით“, ანუ არ ჩარეულიყვნენ ევროპის საქმეებში. ჩაურევლობის პოლიტიკა კი არ ნიშნავდა „არმენთა საკითხისადმი“ ინტერესის შესუსტებას, პირიქით. არმენთა ტრაგედიამ გამოაღვიძა ამერიკული საზოგადოება და დაიწყო მძლავრი საქველმოქმედო საქმიანობა. არმენთა მხარდასაჭერად მართავდნენ მიტინგებსა და ღებულობდნენ სხვადასხვა გადამწყვეტილებებს. ამასთან ერთად მრავალმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ შექმნა არმენების დამხმარე ორგანიზაცია, თუმცა ხალხის კეთილი ნების აღსრულებას მათი მთავრობა გაურბოდა.

ოსამალეთის თურქეთში მომუშავე მისიონერები იყვნენ საქმის კურსში რაც იქ ხდებოდა არმენთა მიმართ 1894-96, 1909 და 1915-23 წწ-ში. მისიონერთა შეტყობინებებმა და მონოდებებმა ღრმა კვალი დატოვეს ამერიკის საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, რის გამოც ხშირად იძულებული იყო მათი მთავრობა გადაედგა გარკვეული ნაბიჯები მისიონერებისა და მათი ქონების დაცვის ეგდის ქვეშ.

1894 წ-ის სასუნის არმენთა ხოცვა-ჟლეტის შემდეგ აშშ-ს სენატმა სერიოზული შეშფოთება გამოხატა თურქთა მხეცობაზე, თუმცა სახელმწიფო დეპარტამენტი წარუმატებლად ცდილობდა მიეღნია იმისათვის, რომ მათი საკონსულოების წარმომადგენლები გასულიყვნენ ადგილზე და დაეფიქსირებინათ მომხდარი ფაქტები. ამის გამო აშშ-მ გახსნა ახალი საკონსულოები ერზურუმსა და ხარბერდში, რასაც ეწინააღმდეგებოდა სულთანის მთავრობა.

1894-96 წწ-ის არმენთა ხოცვა – ჟლეტის პერიოდში აშშ-ს კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ევროპის ქვეყნებს მოუწოდებდა დაეცვათ არმენები მათ მიერვე მიღებული შეთანხმების შესაბამისად. **აშშ-ს პრეზიდენტი გ. კლივლენდი კი მოუწოდებდა ბერლინის ტრაქტატის ხელმომწერ ქვეყნებს გადაეწყვიტათ „არმენთა საკითხი“.** 1894-96 წწ-ის შემდეგაც ამერიკის ადმინისტრაცია აგრძელებდა „მონროს დოქტრინის“ დაცვას. 1909 წ-ს აშშ-ს პრესამ გამოაქვეყნა რამდენიმე ცნობა კილიკიაში არმენთა დარბევების თაობაზე.

ამერიკელმა მისიონერებმა, როგორც ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენლებმა, რაც გენოციდთან დაკავშირებით 1915-23 წწ-ში თურქეთში ნახეს არმენებთან მიმართებაში, – გაიტანეს საზღვარგარეთ და საქმის კურსში ჩააყენეს მთელი მსოფლიო. აქტიურობდა ამერიკის ელჩი თურქეთში გ.მორგენტაოც, რომელსაც ურჩევდა მთავრობა დაეცვა ნეიტრალიტეტი. იგი ცდილობდა თურქეთში მოღვაწე უცხო ქვეყნების დიპლომატებს შორის ყოფილიყო ერთსულოვნება, და მოუწოდებდა მათ ჩარეულიყვნენ ანტიარმიანიულ მოვლენებში, მათი დაცვის მიზნით. ამერიკის ელჩი უცხადებდა მლადოთურქთა ლიდერებს, – ენვერსა და თალათს, რომ მათი ანტიარმიანიული

ქმედებებით შეშფოთებულია ამერიკის საზოგადოება, რასაც შეიძლება მოყოლოდა ნეგატიური მოვლენები. იგი ცდილობდა ასევე მოეხდინა ზეგავლენა გერმანიის ელჩზე.

მორგენტაუმ 1915 წ-ის 10 ივლის მოახსენა სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ არმენთა ხოცვა-ჟლეტამ მიაღწია უპრეცედენტო მაშტაბებს, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ შეატყობინა, რომ თურქთა პროგრამა არმენი ხალხის განადგურების საქმეში შესრულებულია. მან გეგმაც კი წარუდგინა თავის მთავრობას ნახევარი მილიონი არმიანის აშშ-ში გადასახლებისა და მათი ფინანსური დახმარების შესახებ, თუმცა სახელმწიფო დეპარტამენტმა იგი დაუშვებლად მიიჩნია, თუმცა არმენთა გენოციდის შესაჩერებლად სამხედრო ძალებით ჩარევის შესახებ საკითხი არავის დაუყენებია.

გავლენიანმა ფილანტროპ-მისიონერებმა კ. დოდჟემ და ბარტონმა შექმნეს „არმენთა დახმარების კომიტეტი“, რომელიც მოგვიანებით გარდაიქმნა ამერიკელ ხალხთა „ახლო აღმოსავლეთის დახმარების კომიტეტად“. ამ ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი როლი შეაქსრულა არმენებისათვის დახმარების საქმეში, განსაკუთრებით კი ომის შემდეგ.

1917 წ-ს, როდესაც აშშ ჩაერთო გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, თურქეთის მთავრობამ მასთან განწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა, თუმცა მრავალმა ამერიკელმა მისიონერმა განაცხადა უარი დაეტოვა თურქეთი და სიცოცხლის ფასად აგრძელებდნენ არმენთა დახმარებას. აშშ-მ არ გამოუცხადა ომი თურქეთს და ეს აძლევდა მათ საშუალებას გაეგრძელებინათ თავისი საქმიანობა, რამაც შემდეგ განაპირობა ის, რომ ამერიკამ ვერ მიიღო მონაწილეობა ომის შემდგომ თურქეთის მოწყობაში. ბევრი გამოჩენილი ამერიკელი მხარს უჭერდა „მუდროსის ხელშეკრულებას“ და არმენთა მოთხოვნებს, მოუწოდებდნენ აშშ-სა და ევროპის ქვეყნებს მოეხდინათ დასავლეთ არმენიის ოკუპაცია და არ დაეშვათ იქ მუსლიმი ემიგრანტთა ჩასახლებები, ვიდრე არმენიის მომავალს არ განსაზღვრავდა სამშვიდობო კონფერენცია. აშშ-ს კონგრესმაც მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ცნო არმენთა უფლება შეექმნათ თავისი სახელმწიფო კილიკიიდან აღმოსავლეთ არმენიის

პროვინციებამდე.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე აშშ პრეზიდენტმა ვილსონმა არაერთხელ გამოუცხადა არმენებს თანაგრძნობა და გამოთქვა სურვილი, არმენიის პროტექტორობაზე, და რომ მიეღო მანდატი, ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ. მანდატის აღებამ კი თავის ქვეყანაში თანდითანობით დაკარგა აზრი იმის გამო, რომ ომის შემდგომ თურქეთის მოწყობაზე საკითხი გადადებას განიცდიდა, გამარჯვებული ქვეყნები კი ერთმანეთში კამათობდნენ, ვის რა ნადავლი წაეღო. აშშ მხარს უჭერდა რა „მონროს დოქტრინას“, სენატმა უარყო გერმანიასთან დადებული „ვერსალის ხელშეკრულების“ მოთხოვნა „მანდატის“ გაცემის თაობაზე.

როდესაც 1919 წ-ის შემოდგომით აშშ-თვის ცნობილი გახდა ამიერკავკასიაში არმენთა ახალი დარბევებისა და ამ რეგიონიდან ინგლისის ჯარების გაყვანის შესახებ, სახელმწიფო დეპარტამენტი და პროარმენიული ჯგუფები შეეცადნენ იმას, რომ ბრიტანეთს გადაედო ჯარების გაყვანა, მაგრამ ვერ შეძლეს. პრეზიდენტი ვილსონმა გაფრთხილება გაუგზავნა კონსტანტინეპოლის ახალ მთავრობას, რომ აღარ გამოეჩინათ სისასტიკე არმენთა მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში თავის თავდებობას თურქეთის სუვერენიტეტზე წაიღებდა უკან, განსაკუთრებით კი ანატოლიაზე, თუმცა აშშ არ ნასულა თავისი ამ მოწოდებებისა და მუქარის იქით.

1919 წ-ის სექტემბერში სენატში განიხილეს კანონპროექტი, რომელიც პრეზიდენტს მისცემდა უფლებამოსილებას გაეგზავნა სამხედრო ძალები არმენიაში სამშვიდობო ხელშეკრულების დადაბამდე მშვიდობის უზრუნველსაყოფად და რომ არმენიის ჯარი მოემარაგებინა იარაღით. სენატის ქვეკომიტეტმა საერთაშორისო საკითხებში, მოუსმინა რა მრავალ მოწმეს, რომლებიც რეზოლუციის სასარგებლოდ გამოთქვამდნენ მოსაზრებას, მათ შორის ოფიციალური პირები „დახმარების კომიტეტიდან“, რომლებიც ახალი დაბრუნებულები იყვნენ ახლო აღმოსავლეთიდან, მათ შორის არმენიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ო.კაჩაზნუნი, მაგრამ – ვერ მიიღო ჯეროვანი გადაწყვეტილება. მით უფრო იმიტომ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მომზადებული რეზოლუციის პროექტი სენატს განსახილველად

გადაეცა მოგვიანებით, კერძოდ 1920 წ-ის მაისში და იგი იმდენად „გარანდილი“ აღმოჩნდა, რომ იმ დროისთვის მას უკვე პირვანდელი აზრი დაკრგული ჰქონდა. უბრალოდ სენატი მიესალმებოდა არმენიის რესპუბლიკის დე-ფაქტო შექმნას, რაც მოხდა 1920 წ-ის 23 აპრილს, და გამოთქვამდა იმედს, რომ არმენი ხალხის ოცნება განხორციელდებოდა. რეზოლუციის ერთად – ერთი რეალური პუნქტი იყო პრეზიდენტის მოთხოვნა, თუ ამის აუცილებლობა დადგებოდა გააგზავნიდა გემებს და საზღვაო ქვეითს, შავი ზღვის ნავსადგურებში, იქ მყოფი ამერიკის მოქალაქეების სიცოცხლისა და ქოების დასაცავად.

ამ ფარისბრი რეზოლუციის მიღებას, რასაც ადგილი ქონდა 15 მაისს, მოყვა სენატის 1920 წ-ის 1 ივნისის უარი პრეზიდენტ ვილსონისათვის მიეცათ არმენიაზე მანდატი.

მსოფლიო ომის დამთავრებიდან წელიწადზე მეტი დროის გასვლის შემდეგ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა შეატყობინა ევროპელ მოკავშირეებს, თურქეთის სამშვიდობო დარეგულირების საკითხებში ჩაურევლობის შესახებ, ევროპის სახელმწიფოები კი ამ დროისათვის უკვე ერთმანეთში მოლაპარაკებულები იყვნენ არმენიის სახელმწიფოებრიობის მოცულობის შემცირების თაობაზე, რამეთუ ითვალისწინებდნენ მხოლოდ ტრაპიზონის, ბიტლის, ერზრუმსა და ვანის ოლქებს. მოკავშირეებმა მოუწოდეს ვილსონს აელო მანდატი არმენიაზე, და ყველა შემთხვევისათვის განესაზღვრა მისი საბოლოო საზღვარი ოთხი ოლქის ფარგლებში მაინც. მანდატის მიღება ვილსონმა, როგორც მოგახსენეთ ვერ შეძლო, თუმცა დათანხმდა საზღვრების დადგენის საქმეში ყოფილიყო არბიტრი. საბოლოო პასუხი, რომლის მიხედვით დაახლოებით 100 000 კვკ ფართობი გადადიოდა ოსმალეთის იმპერიიდან ახლად შექმნილ არმენიის სახელმწიფოზე, 1920 წ-ის ნოემბერში გადაეცა ევროპას. თუმცა მას უკვე აღარ ქონდა არანაირი მნიშვნელობა, რამეთუ ქემალის ჯარს უკვე ჰქონდა გადალახული რუსეთ – თურქეთის ყოფილი საზღვარი, ყარსი და ალექსანდროპოლი დაპყრობილი, და ემუქრებოდა თვით არმენიის რესპუბლიკის არსებობას. მალევე არმენიის რესპუბლიკის დარჩენილ ამ ნაწილშიც 1920 წ-ის ნოემბერში დამყარდა სოციალისტური

ნყობილება.

თურქ ნაციონალისტთა წარმატებამ ააიძულა ევროპელი მოკავშირეები შეთანხმებულიყვნენ 1920 წ-ის სერვის ხელშეკრულების გადახედვაზე, რომელიც სხვა დებულებებთან ერთად ქმნიდა არმენიის გაერთიანებულ სახელმწიფოს. აშშ-მ ლოზანის კონფერენციაზე გააგზავნა თავის წარმომადგენელი დამკვირვებლის სტატუსით. თუმცა მას იქ მხარი არ დაუჭერია „არმენიის ეროვნული კერის“, შექმნმასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებისათვისაც კი. ევროპელებმა მალევე უარი განაცხადეს არმენთა სახელმწიფოს შექმნაზე და დაკმაყოფილდნენ მხოლოდ უმცირესობათა უფლებების დაცვის მუხლების მიღებით. ლოზანის ხელშეკრულებას ამერიკის წარგზავნილმა ხელი მოაწერა, რომელშიც სიტყვა „არმენია“ საერთოდ არ იყო ნათქვამი. აღნიშნულით „არმენიის საკითხი“ საერთოდ იქნა დასამარებული. ამერიკელები სიტყვიერად ცნობდნენ დევნილ არმენთა კანონიერ უფლებებს, რომ შეეძლოთ დაბრუნებოდნენ მშობლიურ კერას, აღდგინათ სამართლიანობა და მეტი არაფერი. ამ დროს პრეზიდენტ გარდინგისა და კულიჯის ადმინისტრაციებმა საერთოთ ზურგი შეაქციეს „არმენთა საკითხს“, და შეეცადნენ მოენსერიგებინათ ურთიერთობანი თურქეთთან, თუმცა ამერიკულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ იყო ძლიერი ანტითურქული განწყობილება. აღნიშნულის გამო ქემალის თურქეთის აღიარების პროცესი გაიწელა 1927 წ-ის ოქტომბრამდე. თურქეთთან დაახლოების ფასად კი ამერიკის მთავრობამ უარი განაცხადა „არმენიის საკითხზე“.

არმენი ხალხის ლიკვიდაციით ამერიკელმა მისიონერებმა თურქეთში დაკარგეს ჰუმანიტარული საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა და თურქებმა ისინი გამოდევნეს ქვეყნიდან, თუმცა „დახმარების კომიტეტმა“ კვლავაც გააგრძელა საბჭოთა არმენიაში საქმიანობა 1930 წ-ის დასაწყისამდე, შემდეგ კი დაბრუნდნენ სამშობლოში. ასე დამთავრდა აშშ-ს ჩართულობა „არმენთა საკითხის“ გადანყვეტის საქმეში.¹²¹

დ/ „არმენიის საკითხი“ და ავსტრია-უნგრეთი

19-ე ს-ის დამლევს ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკა თურქეთთან მიმართებაში იყო მისი მთლიანობის შენარჩუნებისაკენ მიმართული, რამეთუ თურქეთის დაშლის შემთხვევაში მის ადგილზე წარმოშობილი სლავური სახელმწიფოები შეიძლება გამხდარიყვნენ მრავალ ეროვნული ავსტრიის-უნგრეთის იმპერიის არსებობის საფრთხედ. ჯერ კიდევ 18-ე ს-ის შუალედში **ავსტრიის დედოფალმა მარია – ტერეზიმ გამოთქვა მოსაზრება მეზობელ თურქეთთან ხანგრძლივი კავშირ-ურთიერეთობის აუცილებლობის შესახებ, სლავებისაგან ევროპის უსაფრთხოების მიზნით.**

ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკა ბალკანეთში მხოლოდ რუსეთის გავლენებს უქმნიდა პრობლემებს. ავსტრიას აშინებდა როგორც ოსმალეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ისე საკუთარ საზღვრებთან მსხვილი სლავური სახელმწიფოს წარმოშობა, ამიტომაც მოქმედებდა თურქეთის სტატუსკოს შენარჩუნებისათვის.

1877-78 წწ-ის რუსეთ-თურქეთის ომის შედეგებმა, რომელიც ემთხვეოდა დასავლეთ არმენიის სასიცოცხლო ინტერესებს, გამოიწვია ავსტრია-უნგრეთის ძლიერი შეშფოთება. რუსული გავლნის ნეიტრალიზაციისა და ოსმალეთის იმპერიის შესაძლო დანგრევისაგან მაქსიმალური სიკეთის მიღების მიზნით ავსტრია-უნგრეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ საზრუნავად იქცა მისი სტატუსკოს დაცვა.

1878 წ-ის 5 თებერვალს ავსტრია-უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა გრაფმა დიული ანდრაშმა პარიზის 1856 წ-ის და ლონდონის 1871 წ-ის კონფერენციების ხელმომწერ ქვეყნებს დაუგზავნა ნოტა, და შესთავაზა ვენაში მოეწვიათ საერთო ევროპული კონფერენცია რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით სადავო საკითხების გადასახედად. იგი დარწმუნებულ იყო, რომ ანტი-რუსული ანგლო-ავსტრიული შეთანხმება აუცილებლად გაანეიტრალებდა რუსეთის თურქეთზე გამარჯვების შედეგებს.

ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკა 1878 წ-ის ბერლინის კონგრესზე ხელს უწყობდა სან-სტეფანის ხელშეკრულების მე-16

მუხლი შეეცვლილიყო ბერლინის კონგრესზე მიღებული 61-ე მუხლით. შემდგომ, ავსტრია-უნგრეთი, ბრიტანეთისა და ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად არაერთხელ გამოვიდა მოთხოვნით უმაღლესი პორტისადმი, რომ დაუყოვნებლივ შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება დასავლეთ არმენიაში რეფორმების ჩატარებასთან დაკავშირებით. საამისოდ ავსტრიის ელჩმა თურქეთში გენრიხ კალიცემ, სხვა სახელმწიფოების ელჩებთან ერთად ხელი მოაწერა კოლექტიურ ნოტაზე, რომელიც 1880 წ-ის 2 ივლისსა და 11-სექტემბერს გაუგზავნეს სულთანის მთავრობას.

1895-97 წწ-ში ახლო აღმოსავლეთის კრიზისის დროს ავსტრია-უნგრეთის მთავრობა ყველანაირად უჭერდა მხარს გერმანიის პოლიტიკას, თან ამავე დროს ცდილობდა გამოეხატა თავისი სოლიდარობა თურქებისადმი ბრიტანეთის ქმედებების გამო.

1895 წ-ის მაისში ავსტრიამ გამოხატა თავისი უთანხმოება ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის ცალმხრივ მოქმედებებზე „არმენიის საკითხთან“ მიმართებაში, კერძოდ, არმენიაში გასატარებელი რეფორმის პროექტთან დაკავშირებით. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა გოლუხოვსკიმ, ინგლისის მთავრობას შესთავაზა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩაებათ საქმეში ყველა სახელმწიფო და ექვსი სახელმწიფოს წარმომადგენლებით შეექმნათ საკონტროლო კომისია, რომელიც გააკონტროლებდა არმენიაში მიმდინარე რეფორმებს.

1895 წ-ის 2 ოქტომბერს ავსტრიის ელჩის ინიციატივით კონსტანტინეპოლში შედგა სახელმწიფო ელჩების შეხვედრა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება, წარედგინათ პორტისადმი ნოტა არმენთა დარბევების თაობაზე. 1895 წ-ის 3 ნოემბერს გოლუხოვსკიმ განაცხადა ავსტრიის სურვილისა და მზადყოფნის შესახებ, ბრიტანეთთან ერთად ამოსულიყო არმენიის საკითხებში. მან ევროპისა და თურქეთის ელჩებს დაუგზავნა ტელეგრამა და მოითხოვა სულთანის მთავრობისადმი გაეტარებინათ მკაცრი ზომები ქრისტიანებისათვის მძიმე პირობების შექმნის გამო. ავსტრიამაც მიიღო მონაწილეობა

ევროპის სახელმწიფოთა ერთობლივ მოქმედებაში, როდესაც კონსტანტინეპოლში გააგზავნეს სამხედრო გემები. მიუხედავად იმისა რომ გოლუხოვსკი სიტყვიერად მოუწოდებდა პარტნიორებს „აღეკვითათ უბედურება“ და გადაერჩინათ არმენია განადგურებისაგან. იმავე დროს იგი თვლიდა, რომ „არმენიის საკითხის“ გადაწყვეტა მთლიანად ევალებოდა სულთანს. 1897 წ-ს მან ურჩია დასასავლეთის სახელმწიფოებს მიეცათ დრო სულთანისათვის შეესრულებინა პირობა, აღედგინა წესრიგი. ავსტრიას არ სურდა გართულებულიყო ახლო აღმოსავლეთის კრიზისი, რათა რუსეთს შორეულ აღმოსავლეთიდან არ გადმოეტანა ყურადღება.

1913-14 წწ-ში დასავლეთ არმენიის რეფორმების საკითხების განხილვისას ავსტრია-უნგრეთი მთლიანად უჭერდა მხარს თავის მოკავშირე გერმანიას. დასავლეთის სახელმწიფოთა საელჩოებისათვის რეფორმის რუსული პროექტის გადაცემის შემდეგ ავსტრია-უნგრეთი ყველანაირად ცდილობდა არ განეხილათ არმენიის რეფორმირების საკითხი.

ავსტრია-უნგრეთის მთავრობამ ისარგებლა რა ვენის პრესით, შეუდგა ფართო პროპაგანდისტულ კომპანიას დასავლეთ არმენიაში რუსეთის დაპყრობითი გეგმების შესახებ, არაერთხელ განაცხადა, რომ იგი ემუქრება თურქეთის მთლიანობას.

1913 წ-ის 20 ივნისს ავსტრია-უნგრეთის თურქეთის საელჩოში შედგა სახელმწიფოთა საელჩოების წარმომადგენელთა თათბირი, რომელსაც უნდა განეხილა „**მანდენშტამის პროექტი**“. ამ დროს ავსტრიის წარმომადგენელმა უარი განაცხადა დაენწყოთ რეფორმის რუსული პროექტის განხილვა, თურქეთის წინადადების წინასწარი განხილვის გარეშე. თუმცა რუსეთის საელჩოს პროექტის განხილვის შემდეგ მ.გირსო პალლავიჩინომ რუსეთის ელჩთან დაადასტურა ავსტრიის პოზიცია, რომ შემდგომი სხდომა ჩატარდებოდა რუსეთის მიერ შემოთავაზებული პროექტით.

24 ივნისის სხდომაზე, როდესაც იხილებოდა „რუსეთის პროექტი“, ავსტრიის წარმომადგენელი გამოვიდა მისი საკვანძო საკითხების მწვავე კრიტიკით და უარყო იდეა ექვსი ვილაე-

თისაგან შექმნილიყო ერთიანი არმენიული ოლქი, განაცხადა, რომ პროექტი ხელყოფდა სულთანის უფლებებს. იგი წავიდა ასევე ევროპის თანხმობით გენერალ-გუბერნატორის დანიშვნის წინააღმდეგ.

10 ივლისის სხდომაზე თურქეთის წინადადების განხილვის შემდეგ ავსტრიის წარმომადგენელმა ა.ვ.მერმანიმ და იტალიამ მოითხოვეს, რეფორმას საფუძვლად დადებოდა თურქული პროექტი, ხოლო რუსული პროექტიდან ამოეღოთ მეორე ხარისხოვანი პუნქტები. **ავსტრია-უნგრეთი იყო რა თურქეთის მოკავშირე პირველ მსოფლიო ომში, გამოიჩინა მეტისმეტი გულცივობა არმენთა დარბევებისა და გენოციდის მიმართ.** ავსტრიის მთავრობის მიერ გაგზავნილი შეტყობინებებიდან ირკვევა, რომ თურქეთის მიერ 1915 წ-ის არმენთა მკვლელობებსა თუ დეპორტაციას, იგი განიხილავდა როგორც თურქეთის საპასუხო მოქმედებად, როგორც რეაგირებას საერთო არმენიულ აჯანყებაზე, არმენიულ საფრთხეზე.

ავსტრიის მთავრობა არასოდეს გამოსულა მლადოთურქთა პოლიტიკის წინააღმდეგ. მხოლოდ 1915 წ-ის 2 მაისს, აშშ-ს ელჩის გ.მორგენტაოს არაერთ გზის თხოვნისა, პალაღავიჩინმა მეგობრულად გაართხილა თალაათი, რომ მათ გამო რაიმე მოქმედება არ განეხორციელებინათ მის მტრებს თურქეთის წინააღმდეგ და რომ შეენწყვიტა ქალების და ბავშვების წყვეტა.

1915 წ-ის 24 ივნისს, პალაღავიჩინი სწერდა თავის საგარეო საქმეთა მინისტრს: „თურქეთის უხეში პოლიტიკის წყალობით არმენები აღმოჩნდნენ რუსეთის ხელში“, იმის მიუხედავად, რომ 1915 წ-ის დამლევს ავსტრიის დიპლომატების შეტყობინებაში გამოიყენებოდა სიტყვები: „ხალხის მოსპობა“, ხოლო 1916 წ-ის მარტში პალაღავიჩინმა განაცხადა არმენი ხალხის „ამოწყვეტა“, და „დეპორტაცია“ თურქეთის მთავრობის ჩამოურევსავე ლაქად და სირცხვილად მაინც რჩება, თუმცა არც საელჩომ და არც უშუალოდ ავსტრია-უნგრეთის მთავრობამ არ მიიღო არანაირი ზომები არმენთა ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად, ანდა რომ დახმარებოდნენ მათ.

1918 წ-ის თებერვალში თურქეთმა ავსტრია-უნგრეთისა

და გერმანიის მხარდაჭერით დაიწყო აღმოსავლეთ არმენიაზე თავდასხმა. 3 მარტს კი ავსტრია-უნგრეთმა, გერმანიამ, თურქეთმა და ბულგარეთმა ხელი მოაწერეს „ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას“ რუსეთთან, რომლის 4-ე მუხლის თანახმად რუსეთს უნდა ეზრუნა აღმოსავლეთ ანატოლიის განთავისუფლებაზე, ანუ უნდა გამოეყვანა იქიდან თავისი ჯარები და ტერიტორია გადაეცა თურქებისათვის. ავსტრია-უნგრეთმა არ გადადგა არანაირი ნაბიჯი იქითკენ, რომ თურქეთი არ დასხმიყო თავს აღმოსავლეთ არმენიას.¹²²

ე/„არმენიის საკითხი“ და რუსეთი.

რუსეთი „არმენიის საკითხის“ გადანეცეცებაში ჩაერთო მოგვიანებით. მიზეზი: მოეპოვა გასასვლელი სამხრეთის თბილი ზღვებისკენ. აქედან გამომდინარე რუსეთიც ცდილობდა ჩარეულიყო თურქეთის საშინაო საქმეებში, მიზეზად კი აცხადებდა იქ მცხოვრებ ქრისტიანულ მოსახლეობას, მათ შორის არმენთა დაცვის აუცილებლობას მუსულმანური ტირანიისაგან. არმენიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეები კი რუსეთზე ამყარებდნენ იმედს თურქთა მონობისაგან განთავისუფლების საქმეში და ეგონათ რუსეთის დახმარებით შეძლებდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას, რაშიც მწარედ შეცდნენ.

1877-78 წწ-ის ომის შემდეგ, რომელშიც დამარცხდა თურქეთი, არმენებმა მიმართეს კავკასიის მეფის ნაცვალს და რუსეთის სარდლობას თხოვნით, გაეთვალისწინათ „სამშვიდობო ხელშეკრულებაში“ მათი ინტერესები. რუსეთმა გაითვალისწინა არმენთა თხოვნა და სან-სტეფანის 1878 წ-ის ხელშეკრულებაში მე-16 მუხლად ჩართეს, რომ თურქეთიდან თავისი ჯარების გაყვანამდე თურქეთს განეხორციელებინა არმენებით დასახლებულ პუნქტებში რეფორმები, რომლის შემდეგ თურქეთის მმართველ წრეებში გაძლიერდა ანტიარმიანული განწყობილება.

რუსეთის ეს მცდელობა ბრიტანეთის მხრიდან წააწყდა დიდი წინააღმდეგობას, რომელმაც ევროპის სხვა სახელმწიფოებთან ერთად 1878 წ-ს მოიწვია ბერლინის კონგრესი

„სან-სტეფანის“ ხელშეკრულების გადახედვის მიზნით, რათა ომის შედეგებით არ ესარგებლა რუსეთს. კონგრესზე რუსეთი აღმოჩნდა დიპლომატიურ იზოლაციაში და იძულებული გახდა უარი ეთქვა ხელშეკრულების რიგ პირობებზე. კერძოდ გადახედულ იქნა მე-16 მუხლი, რომლის ნაცვლად ბერლინის კონგრესის ტრაქტატში ჩართეს 61-ე მუხლი. მის შესაბამისად თურქეთის მთავრობა იღებდა ვალდებულებას განეხორციელებინა რეფორმები არმენიის ოლქებში არა რუსეთის, არამედ ბერლინის კონგრესის ტრაქტატზე ხელმომწერი სახელმწიფოების კონტროლის ქვეშ.

ბერლინის კონგრესის შემდეგ თურქეთის პოლიტიკურმა წრეებმა გადანყვიტეს არმენი ხალხის ფიზიკური განადგურებით დაესვათ ნერტილი „არმენთა საკითხისათვის“. ამის შემდეგ სულთან აბდულ გამიდ 2-ის მთავრობამ გააძლიერა არმენთა დევნა-შევიწროება, რის მიმართაც ევროპული სახელმწიფოების მთავრობებმა გამოიჩინეს გულგრილობა. საზოგადოების ზეწოლის შედეგად კი ბრიტანეთის მთავრობამ, რომელიც აცხადებდა თავს არმენთა მცველად, შეიმუშავა თურქეთის არმენთა რეფორმების პროგრამა და წარუდგინა სულთანის მთავრობას.

ეს პროგრამა მიზნად ისახავდა რუსეთის შეზღუდვას „არმენიის საკითხებში“, რუსეთი კი კავკასიაში ეწეოდა რუსიფიციერების პოლიტიკას, ღიად აცხადებდა პრეტენზიას აზიაში ისეთი ტერიტორიების გაჩენაზე, სადაც არმენებს ექნებოდათ განსაკუთრებული პრივილეგიები.

მას შემდეგ, როგორც კი ბულგარეთმა, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა რუსეთის დახმარებით, მაგრამ არ ჩქარობდა გამხდარიყო მისი ვასალი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ა.ლობანოვ-როსტოვსკიმ განაცხადა, რომ რუსეთი არ დაუშვებდა „ახალი ბულგარეთის“ შექმნას, – მხედველობაში ჰქონდა არმენია. მეფის ხელისუფლების ანტიარმენიული პოლიტიკა კი ახალი შემართებით გამოჩნდა XX-ე საუკუნის დასაწყისში, როდესაც რუსეთმა 1903 წ-ს მიიღო არმენთა ეკლესიების ქონების კონფისკაციის შესახებ კანონი, რომლითაც ფეხქვეშ გაათელა არმენი ხალხის ეროვნული უფლებები.**

ამის საპასუხოდ არმენებმა მთელს კავკასიაში გამოხატეს

მძლავრი პროტესტი, რამაც აიძულა მეფის რუსეთის ხელისუფლება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირობებში გაეუქმებინა ანტიარმიანული კანონი.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიაში გაძლიერდა სულთანის რეჟიმის სანინააღმდეგო ბრძოლა, ოპოზიციური ძალები, რომლებსაც მართავდნენ მლადოთურქები ხელისუფლებაში მოვიდნენ 1908 წ-ის სამთავრობო გადატრიალების გზით.

დაშნაკტუტუნის პარტია მათზე გარკვეულ იმედებს ამყარებდა და ფიქრობდნენ კონსტიტუციის ძალით მოეხდინათ არა თურქი ეროვნების ხალხთა ინტერესების დაცვა, თუმცა მწარედ მოტყუვდნენ. 1909 წ-ს მლადოთურქებმა მოაწყვეს არმენთა დარბევები ადენსა და მის მახლობელ სოფლებში და მოსპეს 30 000-ზე მეტი არმიანი. ამის შემდეგ არმენიის პოლიტიკურმა წრეებმა ორიენტაცია კვლავ რუსეთზე აიღეს, რომელიც მომავალი მსოფლიო ომის წინა პერიოდში დაინტერესებულ იყო დახმარებოდა არმენ ხალხს. რუსეთ-თურქეთის გზაჯვარედინზე არმენიას გააჩნდა განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მდებარეობა, რაც დღემდე არ აქვს დაკარგული.

1912 წ-ის ბალკანეთის ომის პირობებში რუსეთმა კვლავ ითავა არმენიის დამცველის ფუნქცია და გამოჩნდა ოსმალეთის არმენიულ ოლქებში – 1912-1914 წწ-ის ახალი რეფორმების გატარების ინიციატივით.

ორწლიანი დიპლომატიური გაჭიანურების შემდეგ, რომელშიც ევროპის ექვსი უდიდესი სახელმწიფო მონაწილეობდა, რუსეთმა შეძლო თურქეთი იძულებული გაეხადა მისთვის მიეცა თანხმობა ახალი პროგრამით განეხორციელებინა რეფორმები, რომლის თანახმად რუსეთის კონტროლის ქვეშ არმენებს უნდა მიეღოთ სამოქალაქო ცხოვრებისა და მმართველობის ფართო ავტონომია, თუმცა ეს პროგრამა ასევე დარჩა განუხორციელებლი, როგორც ადრინდელი, რამდენააც 1914-18 წწ-ის ომმა თურქეთს საშუალება მისცა უარი ეთქვა არამარტო რეფორმებზე, არამედ განახორციელა კიდევ თავისი ბნელი ჩანაფიქრი, – მოესპო არმენი ხალხი.

კავკასიაში სამხედრო მოქმედებები დაიწყო 1914 წ-ის

დეკემბერში, ყარსის ოლქზე თურქეთის ჯარის თავდასხმით, რომელიც მალევე შეაჩერეს რუსეთის ჯარებმა. 1917 წ-ის დასაწყისში კი წარმატებული ოპერაციების შემდეგ რუსეთის ჯარი მიუახლოვდა მოსულსა და სივას, შედეგად დაიკავა დასავლეთ არმენიის მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც თითქმის აღარ არსებოვდა არმენიული მოსახლეობა, რამეთუ ომის დაწყებისთანავე ისინი თურქეთის ხელისუფლებამ გაანადგურა ან/და გადაასახლა სამხრეთით.

არმენები რუსებზე ამყარებდნენ იმედებს, მაგრამ რუსეთს მათ მიმართ სულ სხვა ჩანაფიქრი ამოძრავებდა. დასავლეთ არმენიის ნაწილის დაკავებით რუსეთს გაუჩნდა სურვილი ერთიანი სამხედრო ადმინისტრაციული ხელისუფლების ჩამოყალიბების შესახებ. პირველ პერიოდში მართლაც რამდენიმე ოლქში შექმნა სამხედრო ადმინისტრაციული ოკრუგი, რომელთა უფროსებიც დაექვემდებარნენ ზემდგომ სარდლობას, რომელთა დაქვემდებარებაშიც ეს ოლქები აღმოჩნდნენ.

1916 წ-ის დასაწყისში შეიქმნა სპეციალური კომისია დაკავებული ოლქების მმართველობის დებულების შესამუშავებლად. 1916 წ-ის 5 ივნისს კი ეს დებულება დაამტკიცა მეფემ. ამ დებულების შესაბამისად დაკავებულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა გენერალ-გუბერნატორის მმართველობა, გენერალ-გუბერნატორად კი დაინიშნა პეშკოვი.

სხენებულ დებულებაში დასავლეთ არმენია საერთოდ არ მოიხსენიებოდა, რაც გულისხმობდა იმას, რომ რუსეთი არ აპირებდა არმენებისათვის ავტონომიის შექმნას, თუ კი დარჩებოდა ომის შემდეგ მის შემადგენლობაში. არმენია გადაიქცეოდა მის ერთ-ერთ ჩვეულებრივ გუბერნიად, გუბერნატორის კანცელარიაში კი ჩინოვნიკებად ნიშნავდნენ რუსებს.

აღნიშნულმა ვითარებამ რუსეთის მიზანი გამოავლინა არმენებთან მიმართებაში, რუსეთს სურდა არმენიის დაკავებული ტერიტორიები გადაექცია ჩვეულებრივ კოლონიად. მეფის ხელისუფლება არ ჩქარობდა დაკავებულ ტერიტორიაზე დეპორტირებული არმენების დასბრუნებლად შეექმნა შესაბამისი პირობები. პირიქით, შეიმუშავეს იქ რუსების ჩასახლების გეგმა, რომლის ავტორიც სოფლის მეურნეობის მინისტრი კრივოშეინი იყო და

კავკასიის ჯარების მთავარ სარდალი გენერალი ნ. იუდენიჩი.

ამ უკანასკნელს კი სურდა ცარიზმის საიმედო საყრდენად არმენიის ტერიტორიაზე შეექმნათ ახალი „**ევფრატის საკაზაკო**“. ამის გამო მეფის ხელისუფლება წინააღმდეგობას უწევდა იქ კავკასიელი არმენების გადასახლებას და რომ არ დაბრუნებულიყვნენ დევნილი, ტერორს გადარჩილი არმენები. პირობები რომ შეექმნათ რუსეთის სიღრმეებიდან იქ რუსების გადასახლებლად თვითნებურად დაბრუნებულ არმენებს, რომლებზეც ერთი შეხედვით ხუჭავდენი თვალებს, – არ უბრუნებდნენ წართმეულ მიწებს. დასავლეთ არმენია გამოაცხადეს რუსეთის საკუთრებად. უკან დაბრუნებულ არმენებს კი მიწების ნაკვეთების მიღება შეეძლოთ მხოლოდ კაბალური იჯარის პირობებში, მინას კი აძლევდნენ მხოლოდ მათ ვისაც ექნებოდა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც ძნელად თუ ვინმეს მოეპოვებოდა. მხარის ასათვისებლად რუსეთს იქ გაყავდა გზები და დაიწყო ტრაპიზონის პორტის რეკონსტრუქცია, და წიაღისეულის ამოღებაც კი.

დასავლეთ არმენიის კოლონიზაცია შეწყდა 1917 წ-ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რომელის შედეგად დაემხო მეფის ხელისუფლება.

რუსეთის დროებითი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლამ იმედი გაუჩინა არმენებს „საკითხის“ გადაწყვეტაში, რამეთუ თავი გამოაცხადეს ეროვნულ უმცირესობათა დამცველად. ხალხს კი ეგონა ომი გაგრძელდებოდა გამარჯვებამდე. არმენები ფიქრობდნენ, რომ მათ თურქეთის ტერიტორიაზე შეუქმნიდნენ სახელმწიფოს. ამ მიზნით არმენთა კათალიკოსი გამოვიდა ინიციატივით შეექმნათ „არმენთა კავშირი“. 1917 წ-ის 9 აპრილს რუსეთის დროებითმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება „ეროვნებათა მიერ თვითგამორკვევის შესახებ“. **12 მაისს კი მინისტრ კერენსკიმ რუსეთის ჯარს მოუწოდა გაეგრძელებინა ომი „თავისუფალი რუსეთის გადასარჩენად“.**

არმენებს სურდათ ომის გაგრძელება, რამდენადაც რუსეთის გამარჯვებას უკავშირებდნენ თურქეთის დამარცხებას, რასაც მათი აზრით არმენიის სახელმწიფოებრიობის აღდგენა უნდა მოყოლოდა. არმიანთა პოლიტიკური პარტიებიც მხარს უჭერდ-

ნენ რუსეთს ომის გაგრძელებას სამბოლოო გამარჯვებამდე.

ეროვნულმა საკითხმა მთელი კავკასია მოიცვა და დაიწყო ტერიტორიული დავა. დასავლეთის არმიანებს სურდათ აელაგმათ მათ ტერიტორიაზე მოთარეშე ბანდები, დაემყარათ დემოკრატიული წესრიგი და მეფის ჩინოვნიკების ნაცვლად თავად მოსულიყვნენ მმართველობაში, შეექმნათ არმენიული მილიცია, და ასშ. თუმცა დასავლეთ არმენიაში კვლავაც გრძელდებოდა გენერალ-გუბერნატორის ინსტიტუტის არსებობა.

1917 წ-ის 26 აპრილს დროებითი მთავრობის დადგენილებით რუსეთის ჯარის მიერ დაკავებული ტერიტორია უშუალოდ გადავიდა დროებითი მთავრობის დაქვემდებარებაში და შექმნეს თურქეთის არმენიის გენერალური კომისარიატი. კომისრად კი დანიშნეს პ.ავერიანოვი, – კავკასიის ფრონტის მომარაგების უფროსი, რომელსაც ემორჩილებოდა ასევე ადგილობრივი ორგანოები.

1917 წ-ის 9 სექტემბერს ავერიანოვის ბრძანებით დასავლეთ არმენიაში შეიქმნა სამი ოლქი, – ერზრუმის, ხნუსიკისა და ვანის, და მათ კომისარიატებთან მოქმედებდა საოლქო საბჭოები, თუმცა დროებითმა მთავრობამ ვერ უზრუნველყო ამ ოლქებში მდგრადი წესრიგი, ავერიანოვსაც დასავლეთ არმენია ინტერესებდა ეკონომიკური თვალსაზრისით.

1917 წ-ის ოქტომბერში სოც.რევოლუციის შედეგად დროებითი მთავრობა ჩამოაგდეს და საბჭოთა ხელისუფლებამ უარი თქვა რუსეთს მიერ მანამდე დადებულ ყველა მძარცველურ ხელშეკრულებაზე, და გამოაცხადეს ახალი საგარეო პოლიტიკა.

1917 წ-ის 29 დეკემბერს რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დეკრეტი „თურქეთის არმენიის შესახებ“, რომელშიც ნათქვამია: „რუსეთის მთავრობა დაიცავს თურქეთის არმენთა უფლებებს თვით გამორკვევისა და დამოუკიდებლობის პრინციპების შესაბამისად“. თუმცა არ იყო იგიც უზრუნველყოფილი გარანტიებით და რეალურად არც დაიცავდნენ არმენიის ინტერესებს, რამეთუ ხელისუფლებას მართავდა თურქეთის მოკავშირე გერმანიის მიერ ხელდასმული ლენინი, რომელიც ასევე ახორციელებდა სიონისტ-მასონურ გეგმებს, და თურქეთის წინააღმდეგ არასოდეს წავიოდდა. ამ დროს

რუსეთის ჯარმა დატოვა თურქეთში დაკავებული პოზიციები და დაიწყო სამშობლოში დაბრუნება, რის გამოც ხსენებული დეკრეტი ფარატინა ქალაქად იქცა.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოაქვეყნა რა დეკრეტი „მშვიდობის შესახებ“, გერმანიასა და მის მოკავშირეებთან დაიწყო მოლაპარაკება სამშვიდობო ხელშეკრულების დადებასთან დასკავშირებით. რასაც მოყვა 1918 წ-ის მარტის „**ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება**“, რომლის შესაბამისად საბჭოთა რუსეთმა გერმანიისათვის დათმობილი ტერიტორიების გარდა თურქეთს გადასცა მთელი დასავლეთ არმენია, და აღმოსავლეთ არმენიის ნაწილი. შედეგად მისი ტერიტორია, სადაც 1918 წ-ის მაისში აღდგენილ იყო სახელმწიფოებრიობა, – ძლივს შეადგენდა 10 000 კვკ.-ს. რატომაც არა, ამ შედეგისათვის დააფინანსა გერმანიამ ლენინის ხელისუფლებაში მოსვლა და ცოცხალი ძალითაც დაეხმარა.

საბჭოთა რუსეთსა და არმენიას შორის ურთიერთობა ვითარდებოდა რთულად, ვიტყვოდი მტრულადაც კი, უმეტეს შემთხვევაში იგი განისაზღვრებოდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობით, უფრო მეტად კი მას შემდეგ, როგორც კი მუსტაფა ქემალ ფაშამ მოიპოვა ძალაუფლება.

საბჭოთა რუსეთი ცდილობდა არმენია გამოეგლიჯა ანტანტისაგან, თან ყველანაირად უჭერდა მხარს ქემალის მოძრაობას, რომელსაც განიხილავდა ანტიიმპერიალისტურ ძალად ახლო აღმოსავლეთში, ამავდროულად გულგრილობას იჩენდა არმენიის მიმართ.

1919 წ-ის ერზრუმისა და სივაკის კონგრესებზე ქემალისტების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად არმენიისათვის არ უნდა დაეთმოთ არც ერთი გოჯა მიწა. ეს გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო ქემალისტთა, ე.წ. „ეროვნულ ქრტიას“, რომელიც მიიღო თურქეთის პარლამენტმა.

1920 წ-ის აგვისტოში მოსკოვში გამართულ რუსეთ-თურქეთის კონფერენციაზე, რუსეთმა ოფიციალურად ცნო მათ მიერ მიღებული „ეროვნული ქარტია“. 1920 წ-ის 10 აგვისტოს თბილისში ხელმოწერილ შეთანხმებაში ნათქვამია რუსეთის მიერ მხოლოდ აღმოსავლეთ არმენიის აღიარებაზე, დასავლეთ არმენიის

ტერიტორიებზე კი, საერთოდ არანაირი ლაპარაკი არ მიდის.

1920 წ-ის 28 ოქტომბერს რუსეთსა და არმენიის რესპუბლიკას შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის თანახმად რუსეთის მიერ აღიარებულ იქნა აღმოსავლეთ არმენიის რესპუბლიკა, თურქეთმა კი გაიყვანა ჯარები 1914 წ-ს დროინდელ საზღვრამდე, ზანგეზური და ნახჩევანი კი დატოვეს არმენიის შემადგენლობაში.

1920 წ-ის 4 ოქტომბერს ბაქოში შედგა რუსეთის კვ კავკასიის ბიუროსა და პოლიტბიუროს ერთობლივი სხდომა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სტალინი, მან უარყო ხსენებული ხელშეკრულება და მიიღო მისი საბოლოო ვერსია.

1920 წ-ის შემოდგომით თურქეთთან წარმოებულ ომში არმენიის რესპუბლიკის დამარცხებამ, მკვეთრად შეცვალა მისადმი რუსეთის დამოკიდებულება. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი არმენია იძულებული შეიქმნა ხელი მოეწერა რუსეთთან 1920 წ-ის 2 დეკემბერს დადებულ ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად არმენიის რესპუბლიკა ძალაუფლებას უთმობდა ბოლშევიკურ მთავრობას.

1921 წ-ის 26 თებერვლიდან-16 მარტამდე მოსკოვში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის კონფერენცია, რომლის საფუძველზეც უნდა მოწესრიგებულიყო თურქეთსა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ურთიერთობები, და ამ კონფერენციაზე თურქეთის თხოვნით არ იქნა დაშვებული არმენიის დელეგაცია, თუმცა იხილებოდა მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი.

1921 წ-ის 16 მარტის მოსკოვის კონფერენციის დამთავრების შემდეგ ხელმოწერილი იქნა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება, რომლის თანახმად თურქეთს გადაეცა ყარსის ოლქი და სურმანის მაზრა, გამოეყო საბჭოთა არმენიას და გადაეცა აზერბაიჯანს ნახჩევანის მაზრა და შარურ-დარალგიაზის მაზრის დიდი ნაწილი. ამ ხელშეკრულების თანახმად საბჭოთა რუსეთი ვალდებული იყო კავკასიის რესპუბლიკების მიმართ გადაეცა შემხვედრი ნაბიჯები მათი მოთხოვნის მიხედვით, თუ ეს აუცილებელი იქნებოდა. ხელშეკრულებისათვის რომ მიენიჭათ კანონის ძალა იგი უნდა განხილულიყო რუსეთ-თურქეთის

კონფერენციაზე, კავკასის სამივე რესპუბლიკის მონაწილეობით. კონფერენცია შედგა ყარსში 1921 წ-ის ოქტომბერში, და იქ მოაწერეს ხელი ე.წ. „ყარსის ხელშეკრულებას“. ამ ხელშეკრულების და თურქეთის „ეროვნული ქარტიის“ გათვალისწინებით თურქეთს გადაეცა არმენიის მიწები. ამდენად, არც საბჭოთა რუსეთი აღმოჩნდა დაინტერესებული ობიექტურად გადაენცივტათ „არმენთა საკითხი“.123

ვ/„არმენიის საკითხი“ და გერმანია

მე-19 ს-ის 70-იან წლებამდე „არმენიის საკითხი“ გერმანიის საგარეო პოლიტიკაში იყო მეორე ხარისხოვანი, რამეთუ ძირითადად იფარგლებოდა კონტინენტური ევროპით და ცდილობდა მხოლოდ რუსეთ-ბრიტანეთის დაპირისპირების შენარჩუნებას. უშუალოდ ამ მიზნით, როდესაც რუსეთმა გაიმარჯვა 1877-78 წწ-ის თურქეთთან ომში და წარმოიშვა ბრიტანეთთან ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობა, გერმანიამ მოითხოვა 1878 წ-ის სან-სტეფანის ხელშეკრულების გადახედვა. ამ მიზნით 1878 წ-ს ბერლინში შედგა ევროპის წამყვან ქვეყნების კონგრესი, რომელსაც თავჯდომარეობდა ბისმარკი.

ეს კონგრესი აღმოჩნდა დასავლეთ არმენიისათვის საბედისწერო, რამეთუ მე-16 მუხლით გათვალისწინებული რეფორმები, რომლის ჩატარებასაც გეგმავდა რუსეთი დამოუკიდებელი, – შეიცვალა დასავლეთის „სახელმწიფოთა კონცეპტით“. ამან არმენიის შემდგომ ბედზე იმოქმედა დამლუპველად, რამეთუ არ იქნა შესრულებული ბერლინის კონგრესზე მიღებული 61-ე მუხლიც.

1888 წ-ის ანატოლიისა და 1903 წ-ის ბალდადის რკინიგზის მშენებლობამ გამოიწვია გერმანიის დაინტერესება ოსმალეთისადმი. ამასთან დაკავშირებით შექმნა კიდევაც რიგი ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ გერმანიის თურქეთთან დაახლოვებას.

1894-96 წწ-ის არმენთა დარბევების გამო გერმანიამ გადაწყვიტა არ გაეფუჭა ურთიერთობა ოსმალეთთან, რასთან

დაკავშირებით აღნიშნა კიდევ კანცლერ ვილგელმ – 2 გერმანია – თურქეთ შორის არსებული მეგობრობის მნიშვნელობის შესახებ, როდესაც იგი ვიზიტით იმყოფებოდა „სისხლიან სულტან“ აბდულ გამიდ 2 – თან კონსტანტინეპოლში.

ასწლეულის დამლევს გერმანიის საზოგადოებრივი აზრი თურქეთისადმი იყო დადებითი, მის ქმედებებს არმენთა მიმართ ამართლებდნენ. გერმანიას არ სურდა ოსმალეთის დასუსტება, რამეთუ მას დასავლეთის ქვეყნები გამოიყენებდნენ გერმანიის საწინააღმდეგოდ. არმენებს უყურებდნენ როგორც საშიშ იარაღს რუსეთის ხელში, რომელიც ისწრაფოდა თურქეთის დევანწევრებისაკენ.

1913 წ-ის ნოემბრიდან თურქეთ-გერმანიის ურთიერთობის ბირთვად იქცა მათი სამხედრო კავშირი, გაფორმებული 1914 წ-ის 2 აგვისტოს სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებით, რომელიც ფაქტობრივად მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. გერმანია ეხმარებოდა თურქეთს ჯარის მომზადებაში და ბევრი მაღალი რანგის ოფიცერიც მსახურობდა თურქეთის არმიაში. გერმანიაც ცდილობდა არმენთა მიმხრობას, რომ რუსეთისაგან გამოეგლიჯა იგი. აცხადებდა კიდევ ამ მიზნით არმენიაში რეფორმების ჩატარების აუცილებლობაზე, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია.

1915 წ-ის არმენთა გენოციდი გერმანელებისათვის მოულოდნელი არ იყო. გერმანიის მთავრობა მართებულად მიიჩნევდა პოლიტიკურად არა საიმედო არმიანთა საბრძოლო მოქმედებების არიალიდან იძულებით გადასახლებას. **გერმანიის ელჩი ვანგეიმი მართებულად მიიჩნევდა თურქთა მოქმედებებს არმენთა მიმართ, რომლებიც მისი აზრით თურქეთისათვის წარმოადგენდნენ სერიოზულ საფრთხეს.**

არმენთა გენოციდის შესაჩერებლად გერმანიამ არ მიიღო არანაირი ზომები. გერმანია თვლიდა, რომ არმენთა ქმედებებში ბრალი მიუძღვით ანტანტის ქვეყნებს.

გერმანიაში არმენთა საკითხზე მოქმედებდა ცენზურა და საზოგადოებას არ უმხელდნენ რაც მათ მიმართ ხდებოდა თურქეთში. გერმანიას არ გამოუხატავს არანაირი პროტესტი არც იმაზე, რომ 1918 წ-ს თურქეთი შევიდა ამიერკავკასიაში და იქ

გააგრძელა არმენთა ხოცვა-ჟლეტა.

ბრესტის ხელშეკრულების შესაბამისად გერმანია დათანხმდა თურქეთს გადასცემოდა ყარსი, არდაგანი და ბათუმი. მიიღო რა მხედველობაში ის გარემოებაც, რომ საბჭოთა რუსეთი არ ცნობდა არმენთა რესპუბლიკას. ამ დროს გერმანიამ იკისრა ეკონომიკურად უფრო ძლიერი საქართველოს დაცვა.

პირველ მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ გერმანიის წყალქვეშა ნავით ფარულად გააპარეს თურქეთიდან მლადოთურქი მთავრობის წევრები, – ენვერი, თალაათი, ჯემალი და ნაზიმი, რომელთა მიმართაც, როგორც სამხედრო დამნაშავეებისა, არსებობდა დაუსწრებლად გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი, სთხოვდა კიდევაც მათ გადაცემას თურქეთის დიდი ვეზირი, მაგრამ უარი განუცხადეს.

13/ ყარაბაღის ომები

20-ე ს-ის დასაწყისიდანვე, როგორც ეს ზემოთ ავლნიშნეთ ყარაბაღში იჩინა თავი ეთნო კონფლიქტებმა. 1905 წ-ის აგვისტოში არმენ-თათართა შორის არსებული შუღლის გამო შუშაში განვითარდა სისიხლის ღვრა, რა დროსაც გადაწვეს 240 საცხოვრებელი სახლი, თეატრი და მოკლეს 318 ადამიანი. ეთნოდაპირისპირობაში ჩართული იყო მთელი ყარაბაღი და ზანგეზური, – მხარეები შერეული მოსახლეობით.

1917 წ-ის შემდეგ ყარაბაღი, ისე როგორც მთელი ამიერკავკასია, დაემორჩილა ამიერკავკასიის კომისარიატსა და მის სეიმს. ვიცით, რომ 1918 წ-ის 22 აპრილს სეიმმა გამოაცხადა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა, რომელმაც იარსება მაისის ბოლომდე, ვიდრე არ დაიშალა დამოუკიდებელ: არმენიის, აზერბაიჯანისა და საქართველოს – დემოკრატიულ რესპუბლიკებად.

1918 წ-ის აპრილის პირველ ნახევრამდე ყარაბაღის არმენები და აზერბაიჯანელები შედარებით ცხოვრობდნენ მშვიდად, რომლებიც ცნობდნენ ამიერკავკასიის სეიმისა და კომისარიატის ძალაუფლებას. **თუმცა ყარაბაღი იყო დამოუკიდებელი, და იმართებოდა ეროვნებათაშორისო საბჭოს მეშვეობით.** ასეთი

ბალანსი შენარჩუნებულ იქნა ვიდრე არ დაიშალა ამიერკავკასიის ფედერაცია და არ შეიქმნა დამოუკიდებელი რესპუბლიკები.

1918 წ-ის 28 მაისს ამიერკავკასიის სეიმის მუსლიმთა ფრაქციამ გამოაცხადა რა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც პრეტენზია გააჩნდა ყოფილ ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიებზე, მათ შორის შერეული მოსახლეობის მქონე ყარაბაღსა და ზანგეზურზე, – ამის საპასუხოდ იმავე 1918 წ-ის 22 ივნისს, ქ.შუშაში გაიმართა არმენი მოსახლეობის პირველი ყრილობა და მთიანი ყარაბაღი გამოაცხადა დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულად, 1918 წ-ის სექტემბერში კი არჩეულ იქნა ყარაბაღის არმენთა ეროვნული საბჭო.

ამის გამო იქ დაწყებულ აზერბაიჯანელ და არმენთა რაზმების დაპირისპირება გაგრძელდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. 1918 წ-ის დამლევს პირველ მსოფლიო ომში თურქეთის კაპიტულაციის შემდეგ შუშაში შემოვიდა ბრიტანეთის სამხედრო მისია და დაიწყო აზერბაიჯანელთა ინტერესების დაცვა. მათი წყალობით 1919 წ-ის დასაწყისში შუშასა და ყარაბაღის სხვა ადგილებში გაჩნდა აზერბაიჯანელთა გარნიზონები.

1919 წ-ის 15 იანვარს ინგლისის სარდლობამ დაამტკიცა აზერბაიჯანის მთავრობის მიერ დანიშნული ყარაბაღისა და ზანგეზურის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე ხოსროვ ბეგ სულთანოვი. აგვისტოს თვეში ყარაბაღის არმიანთა მე-7 ყრილობამ, – აზერბაიჯანის ზენოლის შედეგად და ბრიტანეთის ჯარების წასვლის მოლოდინში მყოფმა, არმენიის უუნარობით გამოწვეულმა დახმარებიყო ყარაბაღს არსებითად, – ცნო აზერბაიჯანის იურისდიქციის ქვეშ ყარაბაღი, ვიდრე საბოლოოდ არ გადაწყდებოდა „არმენთა საკითხი“ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. ასე შემოპარვით ბრიტანელებმა წაართვეს ძალაუფლება ყარაბაღელ არმენებს.

ამის გამო 1920 წ-ის მარტის დამლევადან ყარაბაღში დაიწყო ანტი აზერბაიჯანული გამოსვლები. არმენთა შეარაღებული რაზმები, რომლებსაც მეთაურობდნენ არმენიის ოფიცრები, – შუშაში, ხანკენდში, ასკერანსა და სხვა რაიონებში თავს დაესხნენ აზერბაიჯანულ საგუშაგოებს, თუმცა მათი

აჯანყება მალევე დამთავრდა მარცხით. აზერბაიჯანმა შეძლო კონტროლის აღდგენა შუშასა და მის შემოგარენში, თუმცა ბრძოლები გრძელდებოდა ყარაბაღისა და აზერბაიჯანის რიგ სოფლებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

1920 წ-ის აპრილში აზერბაიჯანში შესულმა რუსეთის 11 არმიის ნაწილებმა, აზერბაიჯანის ჯარებთან ერთად დაიკავე ყარაბაღის, ზანგეზურისა და ნახჩევანის ტერიტორიები. ყარაბაღი გამოცხადდა სადაო რეგიონად, თუმცა 1920 წ-ის ივნისის შუალედში დაძლიეს ყარაბაღის არმენთა წინააღმდეგობა.

1920 წ-ის 30 ნოემბერს საბჭოთა აზერბაიჯანმა ცნო ყარაბაღი არმენიის შემადგენელ ნაწილად, მოგვიანებით კი სტალინმა თავისი ინიციატივით ყარაბაღის კუთვნილების საკითხი ხელახლა დააყენა დღის წესრიგში და ამიერკავკასიის საზღვრების შიდა მონყობის დროს 1921 წ-ის 4 ივლისს ამიერკავკასიის ბკპ ბიუროს სხდომაზე იგი კვლავ მიაკუთნა(ეს) აზერბაიჯანს, რომლის სტატუსიც განისაზღვრა ავტონომიური ოლქის ხარისხით.¹²⁵

1923 წ-ს მთიანი ყარაბაღის არმენებით დასახლებული ნაწილი გამოაცხადეს „მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქად“ აზერბაიჯანის შემადგენლობაში.

1926 წ-ის აღწერების მიხედვით მთიან ყარაბაღში ცხოვრობდა 111, 694 არმიანი (მის გარეთ კი 5000), აზერბაიჯანელი კი 12, 592, რუსი – 596 ადამიანი.

იმ თავიდანვე აზერბაიჯანის მთავრობა ყარაბაღის არმენთა მიმართ ატარებდა დისკრიმინაციულ პოლიტიკა და ამ გზით ცდილობდა მათ განდევნას, შესაბამისად არღვევდა მათ ადამიანურ უფლებებს.

1950 წ-ის მონაცემებით ყარაბაღის ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 10 ჯერ ნაკლები კაპიტალ დაბანდება, მთელ აზერბაიჯანთან შედარებით. აძლიერებდნენ ოლქში თათარების დასახლებებს, არმენთა ეკლესიებს კეტავდნენ, მეჩეთებს კი მუშაობის საშუალებას აძლევდნენ. ასეთი პოლიტიკა გრძელდებოდა 80-იან წლებამდე. არმენთა ენა გამორიცხული იყო ოფიციალურ ენიდან, შემცირდა არმენიული სკოლები, და არმენიულ ენაზე არ გამოიცემოდა სასკოლო წიგნები.

ამგვარმა პოლიტიკამ გამოიწვია არმენთა გადინება ოლქი-

დან. 1926-1979 წწ-ის განმავლობაში ყოველწლიურად ყარაბაღის ოლქიდან მიგრაციაში მიდიოდა 2000-ზე მეტი ადამიანი. ეს მაშინ, როდესაც **1950 წ-დან მოყოლებული აზერბაიჯანული მოსახლეობა მხარეში იზრდებოდა წელიწადში 1000 კაციით მაინც. შედეგად 1926 წ-დან 1979 წ-მდე არმენთა მოსახლეობა გაიზარდა 111, 694 კაციდან – 123, 100 კაცამდე, აზერბაიჯანელთა კი, – 12, 592 კაციდან, – 37, 200 კაცამდე. არმენებით დასახლებული პუნქტების რაოდენობა კი შემცირდა 85 ერთეულით, ანუ 27%-ით.**

აღნიშნული პოლიტიკიდან გამომდინარე მთიანი ყარაბაღის არმენიული მოსახლეობა იძულებული შეიქმნა გამოსულიყო ოლქის, – არმენიის რესპუბლიკაზე მიერთების მოთხოვნით.

1965 წ-ს ყარაბაღის არმენიულმა მოსახლეობამ, არმენიასთან მიერთების მიზნით შეაგროვეს ხელმოწერები და გადასცეს იმ დროინდელ არმენიის რესპუბლიკის კპ ცკ პირველ მდივანს, **ანტონ ქოჩინიანს**, რომელმაც თავის მხრივ აღნიშნულის შესახებ იშუამდგომლა სსრკ კპ გენერალური მდივანის, ლეონიდ ბრეჟნევის წინაშე.

საამისოდ მოსკოვში შეიქმნა ვითარების შემსწავლელი კომისია.

ამავე საკითხთან დაკავშირებით 1967 წ-ს ა.ქოჩინიანმა მიმართა ასევე აზერბაიჯანის კომპარტიის პირველ მდივანს, – ახუნდოვს, რომელმაც კონსულტაცია გამართა იმდროინდელ კგბ უფროს გეიდარ ალიევთან. იგი წარმოშობით იყო ნახჩევანიდან. ახუნდოვმა კონსულტაცია გაიარა ასევე თურქეთის ელჩთან, რომლის შემდეგაც **ყარაბაღში არმენებისა და აზერბაიჯანელების ღია დაპირისპირებისათვის გაითამაშეს საშინელი ტრაგედია. კერძოდ, იმავე 1967 წ-ს მარტუნის რ-ის სოფ. კურაპატენში, სოფლის საშუალო სკოლის დირექტორმა არშაგ მამედოვმა, ორ თანამძრახველთან ერთად, ტყეში ხეზე მიაბეს რვა წლის არმიანი ნელსონ მოვსესიანი და თავში ლურსმების ჩაჭედებით სიცოცხლეს გამოასალმეს.** ბოროტმოქმედთა მიმართ სასამართლომ გამოიტანა ლმობიერი განაჩენი, რამაც აღაშფოთა ყარაბაღის არმენი მოსახლეობა და ბადრაგირებისას ცეცხლი წაუკიდეს მათ მანქანას და დამნაშავეები ცოცხლად დაწვეს.

ასე გადაიზარდა ხსენებული საკითხი ღია ეთნო-ეროვნულ

კონფლიქტში, უფრო სწორად განაახლეს ძველი ქრილობები, რომელსაც კვებავდა უსამართლო ისტორიული წარსული.

მიუხედავად აღნიშნულისა 80-იან წლებამდე იშვიათად თუ წამოწვედნენ საჯაროდ ყარაბაღის სტატუსის საკითხს, რადგანაც დაუყოვნებლივ აღკვეთავდნენ ხოლმე. გორბაჩოვის დემოკრატიზაციის პოლიტიკამ კი ყარაბაღელებს სულ სხვა შესაძლებლობები მისცა.

1987 – 88 წწ-ში გაძლიერდა არმენი მოსახლეობის უკმაყოფილება არსებულ ვითარებაზე. აზერბაიჯანის ხელმძღვანელობას საყვედურობდნენ მხარის განზრახვ ეკონომიკურ ჩამორჩენასა და უყურადღებობაზე, რამეთუ უგულვებელყოფდნენ არმენი ხალხის კანონიერ უფლებებსა და კულტურას, ხელოვნურად უქმნიდნენ პრობლემებს დედა არმენიასთან ურთიერთობაში.

1987 წ-ის სექტემბერ-ოქტომბერში, **შამქორის რ-ის კვ რკ პირველმა მდივანმა მ. ასადოვმა, რომელიც კონფლიქტში შევიდა სოფ. ჩარდახლარის მოსახლეობასთან,** იმ მიზეზით, რომ მათ მეურნეობის არმენი ეროვნების დირექტორი შეუცვალა აზერბაიჯანული ეროვნების პიროვნებით, ამის გამო გამოხატული პროტესტისათვის მან თავის ხალხს საშინლად აცემინა ისინი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ერევანში გაიმართა საპროტესტო აქცია და **1987 წ-ის დეკემბრიდან სოფ. ჩარდახლარის მოსახლეობა იძულებული გახადეს მიეტოვათ მშობლიური მხარე და საცხოვრებლად გადასულიყვნენ არმენიაში.** ფაქტობრივად ჩარდახლარები იქცნენ პირველ არმენთა დევნილებად იმ პერიოდში. ამის შემდეგ ყარაბაღის არმენიისათვის გადაცემის შესახებ მოთხოვნები იგზავნებოდა უკვე სსრკ-ს ხელმძღვანელების მისამართით.

პროტესტს ორგანიზებას უწევდა ეროვნული ინტილიგენცია, ყარაბაღის არმენთა უფლებებისათვის ბრძოლა კი გაიგივებული ჰქონდათ მთელი არმენიის ინტერესებისათვის ბრძოლასთან.

ნკაო-ს არმენიაზე შეერთებისათვის ბრძოლა ინტერპირებული იყო, როგორც ბრძოლა ეთნიკური არმენიის მიწების დაბრუნება-გაერთიანებისა და ისტორიული სამართლიანობის

აღდგენისათვის. არმენებმა ეთნო-ეროვნული მოძრაობა მიმართეს მთელი არმენიის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ, რომ მის შემადგენლობაში შესულიყო როგორც ყარაბაღის ოლქი და ნახჩევანი, ისე თურქეთის მიერ წართმეული მიწები, და თავი დაეღწიათ იმპერიალისტური რუსეთისაგან. ამ მიზნით სახალხო მოძრაობის ლიდერმა პ.აირიკიანმა 1987 წ-ს შექმნა „ეროვნული თვითგამორკვევის გაერთიანება“.

აზერბაიჯანის ხელმძღვანელთა მხრიდან გატარებული ზომები იყო არათანმიმდევრული, და იგი დაამძიმეს არმენი ხალხის დარბევებში მდაბიოთა ჩართულობით.

1988 წ-ის 20 თებერვალს ყარაბაღის სახალხო დეპუტატთა საბჭომ რიგგარეშე სესიაზე მიმართა თხოვნით არმენიის, აზერბაიჯანისა და საკავშირო უმაღლეს საბჭოებს, განეხილათ ყარაბაღის არმენიისათვის გადაცემის საკითხი.

როგორც ამას **ბრიტანელი მწერალი ტომ დე ვალი აღნიშნავს თავის წიგნში „შავი ბალი“, უშუალოდ ამ დღიდან იღებს სათავეს ყარაბაღის შეარაღებული კონფლიქტი.** უკვე 22-თებერვალს ასკერონის მახლობლად არმენ-აზერბაიჯანელთა დაპირისპირების შედეგად დაიღუპა ორი ადამიანი, ხოლო 27-29 თებერვალს, – სუმგაითში განახორციელეს არმენთა დარბევა, რაც გადაიქცა გარდამტეხ მომენტად ეროვნებათაშორისო კონფლიქტში.

სუმგაითის შემდეგ არმენიიდან დაიწყეს მთლიანად აზერბაიჯანელების გაძევება. 1988 წ-ის ზაფხულსა და შემოდგომით ნკაო-ში გახშირდა ძალადობრივი ქმედებები, რასაც მოყვა იქით-აქეთ მიმავალი დევნილების რიცხვის ზრდა.

1989 წ-ის დასაწყისიდან არმენიის აზერბაიჯანელები იძულებული შეიქმნენ მთლიანად დაეტოვათ ქვეყანა. თავის მხრივ აზერბაიჯანის არმენებმაც დატოვეს აზერბაიჯანი, გარდა ნკაოსი. აზერბაიჯანიდან გასულმა არმენებმა თავი მოიყარეს ყარაბაღში, შაუმიანის რ-ში, ხანლარის ოთხ სოფელსა და ქ. ბაქოში.

1989 წ-ის 12 იანვრიდან ბაქოს გვერდავლით ნკაო გადაყვანილი იქნა მოსკოვთან პირდაპირ მმართველობაზე, ხელმძღვანელად კი დაუნიშნეს არკადი ვოლსკი. არმენიასა და ყარაბაღში შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა.

1989 წ-ის აპრილ-მაისში ვითარება კვლავ დაიძაბა, რამეთუ „მოდრაობის“ ხელმძღვანელთა მხრიდან ადგილი ქონდა გაუთავებელ აქციებს, რის გამოც მოსახლეობასთან კონფლიქტში შედიოდა შინაგანი ჯარები.

1989 წ-ის ზაფხულში არმენიამ ბლოკადაში მოაქცია ნახჩევანი, საპასუხოდ აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმაც არმენიას გამოუცხადა ეკონომიკური და სატრანსპორტო ბლოკადა. 1989 წ-ის 28 ნოემბერს გაუქმდა ყარაბაღის განსაკუთრებული მმართველობის კომიტეტი, რომელიც შეცვლილ იქნა ყარაბაღის, ე.წ. რესპუბლიკის „საორგანიზაციო კომიტეტით“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ყოფილი აზერბაიჯანის პარტიის ცკ მეორე მდივანი **ვიქტორ პოლიანიჩკო**. შემდგომ, უშუალოდ ეს კომიტეტი მილიციის, ომონისა და შინაგანი ჯარების მეშვეობით აწარმოებდა დევნილთა დეპორტაციას. ნკაო-ს სახალხო დეპუტატთა საბჭომ არ ცნო ეს ორგკომიტეტი, რამაც გამოიწვია ხელისუფლების ორი შტოდ ჩამოყალიბება, რომლებსაც აღიარებდა ორივე მოდავე მხარე.

1989 წ-ის 1 დეკემბერს არმენიის უმაღლესმა საბჭომ და ყარაბაღის ეროვნულმა საბჭომ მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება ნკაო-ს არმენიის შემადგენლობაში შეყვანის თაობაზე, რამაც გამოიწვია ახალი შეარაღებული კონფლიქტი.

1990 წ-ის იანვრის დასაწყისში არმენია-აზერბაიჯანის საზღვარზე დაფიქსირდა დაპირისპირებულ მხარეთა ერთიმეორისადმი საარტილერიო ცეცხლის გახსნა. 15-იანვარს ყარაბაღში, მის მოსაზღვრე აზერბაიჯანის რაიონებში, არმენიის გორისის რ-სა და სსრკ საზღვრის გასწვრივ, შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა.

ამ რეჟიმის დაცვაზე პასუხმგებლობა დაეკისრა განსაკუთრებული მდგომარეობის კომენდატურას, რომელსაც ექვემდებარებოდა მოვლინებული სსრკ შინაგანი ჯარები. გაჩერდა ყარაბაღის ყველა სახელისუფლო შტო, მათ შორის პარტიული ორგანოების საქმიანობა, გარდა აზერბაიჯანელეზებით დასახლებული შუშუს რაიონისა. სტეფანკერტში კი აგრძელებდა ფუნქციონირებას გაუქმებული საოლქო საბჭო, ორგკომიტეტი და კომენდატურა. 126

13-18 იანვარს ბაქოში არმენთა დარბევების შემდეგ, სადაც წლის ბოლომდე დარჩენილი იყო 35 000 არმიანი, მათგან 90 კაცი მოკლეს. ამის გამო 20 იანვარს ბაქოში შეიყვანეს ჯარები, იმ მოტივით თითქოსდა აზერბაიჯანის „სახალხო ფრონტს“ არ მიეტაცა ძალაუფლება, რასაც მოყვა მოქალაქეთა მსხვერპლი.

1990 წ-ის 25 ივლის არმენთა მიერ უკანონო სამხედრო ფორმირებების შექმნის საპასუხოდ სსრკ-ს პრეზიდენტმა მ.გორბაჩოვმა გამოსცა აქტი „უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნის დაუშვებლობისა და მოქალაქეთაგან იარაღის ამოღების შესახებ“. მისი რეალიზების მიზნით განხორციელდა სპეც ოპერაცია „ნრე“ და მოსახლეობიდან იძულებით დაიწყეს იარაღის ამოღება, რასაც თან ახლდა არმენ მოსახლეობასთან დაპირისპირება, იყო მცხვერპლიც. ამასთან დაკავშირებით დეპორტირებულ იქნა არმენთა 24 სოფელი.

1991 წ-ის 28 აგვისტოს აზერბაიჯანმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა. 2 სექტემბერს კი, მთიანი ყარაბაღის საოლქო და შაუმიანის რაიონულმა სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა გამოაცხადეს მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის (ნკრ) ჩამოყალიბება ნკაო-ს ფარგლებში, და არმენებით დასახლებული შაუმიანის რ-ში.

აზერბაიჯანელებმა დაიწყეს სტეფანაკერტის დაბომბვა სეტყვის საწინააღმდეგო „ალაზნის“ ტიპის დანადგარებით, რაც გაგრძელდა ოთხი თვის განმავლობაში.

1991 წ-ის შემოდგომის ბოლომდე არმენმა მეზობლებმა აღადგინეს ნკრ-ის სოფლებსა და შაუმიანის რ-ზე კონტროლი, რომლის მოსხლეობაც მანამდე იყო დეპორტირებული. გამონთავისუფლებულ სახლებს კი აზერები წვავენ. შაუმიანის რაიონიდან განდევნილ იქნა აზერბაიჯანული მოსახლეობა. შემოდგომის დამლევს, როდესაც აზერბაიჯანელებმა სცადეს კონტრშეტევა გადრუტის, მარდაკერტის, ასკერანისა და მარტუნის რაიონებზე, რომელთა სოფლებსაც იყენებდნენ, არმენებმა მათ ბაზების გასანადგურებლად, ამ სოფლებზე მიიტანეს იერიში.

19 დეკემბრიდან დაიწყო ყარაბაღიდან სსრკ-ს შინაგანი ჯარების გაყვანა, რაც დასრულდა 27 დეკემბერს. მას შემდეგ კონფლიქტის ზონა გახდა უკონტროლო და დაპირისპირებული

მხარეები გადავიდნენ ფართომასშტაბიან ომზე, რომელშიც არმენიის რესპუბლიკა შემოიფარგლა ყარაბალისადმი სამხედრო – ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარებით, და უშუალოდ არ ჩაერია. ყარაბალის არმენთა ჯარს ხელმძღვანელობდა მათივე ლიდერები და ერევანზე არ იყვნენ დამოკიდებულები.

1992 წ-ის 1 იანვრიდან მხარეებმა ერთი მეორეს შეუტყის მძიმე ტექნიკით, ტანკებითა და გრადით. 6 იანვარს ნკრ-მა მიიღო დეკლარაცია მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ. 8-9 მაისს კი არმენებმა აიღეს ქ.შუშა. 1993 წ-ის 7 დეკემბრიდან, 1994 წ-ის 12 მაისამდე ყარაბაღში მიმდინარეობდა ნამდვილი ომი. 1994 წ-ს არმენებს გაუჩნდათ 4 „სუ-25“ მარკის თვითმფრინავი.

1994 წ-ის 9 მაისს მხარეებმა რუსეთის პრეზიდენტს წარუდგინეს მთიან ყარაბაღში ვლადიმერ კაზიმიროვის მიერ მომზადებული სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელსაც აზერბაიჯანის მხრიდან ხელს აწერდა მათი თავდაცვის მინისტრი მამედაფ მამედოვი, არმენიის მხრიდან კი, – არმენიის თავდაცვის მინისტრმა სერჟ სარქისიანი, 11 მაისს კი ნკრ-ის მთავარსარდალმა სამველ ბაბაიანმა.

შეთანხმება ძალაში შევიდა 12 მაისს. ამ ხელშეკრულების შესაბამისად ყარაბალის კონფლიქტი გაიყინა. ყარაბალის კონტროლ ქვეშ გადავიდა მთლიანი ყარაბაღი და აზერბაიჯანის 7 რაიონი უსაფრთხოების ზონად. ასევე 5 აზერბაიჯანული ანკლავი. საბრძოლო მოქმედებების არიალიდან გავიდნენ აზერბაიჯანლები და ქურთები, აზერბაიჯანიც დატოვა ყველა მანამდე იქ მცხოვრებმა არმიანინმა.

1998-2005 წწ-ში ნახჩევანის ოლქის ქ.ჯულფაში აზერბაიჯანელებმა მთლიანად გაანადგურეს იქ არსებული არმენთა სასაფლაო, ასევე მოექცნენ არმენთა კულტურულ ძეგლებსაც.

ომში არმენებმა დაკარგეს 5, 991 კაცი, 20351 კი დაიჭრა, აზერებმა კი დაკარგეს – 10312 ადამიანი, ხოლო დაეჭრათ-29267 კაცი.

ამ კომფლიქტში არმენია ოფიციალურ მხარედ არ გამოსულა, თუმცა ეხმარებოდა ყარაბალს.

1991 წ-ის 10 დეკემბერს ნკრ-მ გამოყოფაზე ჩაატარა რეფე-

რენდუმი, რაც ხალხის მიერ იქნა მოწონებული, მაგრამ, აზერბაიჯანმა არ ცნო მისი შედეგები და არც უცხოეთის ქვეყნებმა დაუჭირეს მხარი. მას შემდეგ ყარაბაღის პრობლემა გაიყინა, მიუხედავად მისი მოგვარების არაერთგზის მცდელობისა.

2016 წ-ის 2 აპრილს აზერბაიჯანი თავს დაესხა ყარაბაღს მთელ პერიმეტრზე და გამოიყენა ყველანაირი სამხედრო ტექნიკა, თუმცა სერიოზულ წარმატებებს ვერ მიაღწიეს. სავარაუდოდ ეს იყო ყარაბაღის ბრძოლისუნარიანობის შემოწმება „საბრძოლო დაზვერვით“ მომავალი ფართომასშტაბიანი ომისთვის, რაც შეწყვეტილ იქნა რუსეთის ფორმალური ჩარევით.

ყარაბაღის მეორე დიდი ომი დაიწყო 2020 წ-ის 27 სექტემბერს აზერბაიჯანის ფართომასშტაბიანი შეტევით ყარაბაღზე, რომელსაც პანისლამისტური იდეოლოგიის საფუძველზე ეხმარებოდნენ თურქები, დაქირავებული მუჯახიდები და სხვა და სხვა ჯურის ტერორისტები. მათ შორის სირიის 1500 ეროვნული არმიის მეომარი, ტერორისტული ორგანიზაცია „ხამზას“ დივიზიის ათობითი მებრძოლი, სირიის თურქმანთა დივიზია „სულთან მურადის“ 200 მეომარი და სხვები, რომელთა რიცხვიც შემდგომ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი უკმარისობას არაფერში განიცდიდა, გარდა საბრძოლო სულისა. ჰქონდა ულტრა თანამედროვე შეარაღება, თურქული და ისრაელის უპილოტო თვითმფრინავები და მათი წყალობით ჰაერში ჰქონდა ბოტონობა მოპოვებული, რამაც გადაწყვიტა ომის ბედი.

ყარაბაღსაც ეხმარებოდნენ უცხო ქვეყნებიდან მოსულები, მაგრამ ეროვნებით არმიანები, თუმცა მათი რიცხვი საგრძნობლად მცირე იყო აზერბაიჯანის დაამხმარებთან შედარებით. ყარაბაღს დაეხმარა ასევე დედა არმენიის სასაზღვრო პოლიცია, თუმცა არა მისი არმია. ომში მონაწილეობა არ მიიღო ასევე არმენიის სტრატეგიულმა არსენალმა.

ომი დამრთავდა 2020 წ-ის 9 ნოემბერს ყარაბაღის დამარცხებით, თუმცა როგორც ირკვევა არმენიის მთავრობის მხრიდან ომის წაგება წინასწარ ყოფილა დაგეგმილი, ადგილი ჰქონია ლალატს, აზერბაიჯანისათვის განზრახვ დაუთმიათ ისტორიული

მხარე, რაც შეიძლება მომხდარიყო აშშ-ს თუ ბრიტანეთის ჩართულობით, რამეთუ მათ ინტერესებშია ბაქოს ნავთობი, ისე როგორც მთელი აზერბაიჯანი, ნახჩევანი თურთ- რუსეთის ინტერესებში. ქვეყნის პირველი პირი პრემიერ-მინისტრი ნიკოლა პაშინიანი კი მათ ნებას წინ ვერ აღუდგებოდა, რამეთუ მათ მიერაა ხელისუფლებამო მოყვანილი „ხავერდოვანი რევოლუციის“ გზით, და ვერც მის მხრიდან ფინანსურ დაინტერესებას გამოირიცხავ! მოარული და ტელევიზიაში გაჟღერებული ხმების მიხედვით თითქოსდა მას აზერბაიჯანის მხრიდან აელო 50 მილიარდი დოლარი ქრთამი და იგი ყოფილიყო უცხოეთის აგენტი!

როგორც 2021 ივნისის საპარლამენტო არჩევნებმა გვიჩვენა, ნიკოლა პაშინიანის მხარდაჭერით დედა არმენიამაც საბოლოოდ განირა თავისი უძველესი მხარე, – არცახი და მისი გმირი ხალხი. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარს დაუჭერდნენ ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლ, ჩემს მოგვარე, მეორე პრეზიდენტს, – ყარაბაღელ რობერტ ქოჩარიანს, რაც შეიძლება არმენი ხალხის მორიგ ისტორიულ შეცდომად ჩაითვალოს კიდევ!

ომის შედეგად აზერებს დაეღუპათ დაახლოებით 3000 ჯარისკაცი, არმენებს კი 7000-მდე, თუმცა ზუსტ მონაცემებს მხარეები მაღავენ. ყარაბაღმა განიცადა უდიდესი მატერიალური, ტერიტორიული და მორალური ზიანი. დაკარგა-509 ტანკი, 373 ჯავშან მანქანა, 540 სატვირთო მანქანა, 63 ნაღმტყორცნი, 97 გრადი და რიგი სხვა შეარაღება, და მოექცა „მეშოკში“, რაც აიძულებს მის მოსახლეობას მიატოვონ მხარე და თანდითანობით შეავსონ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მოძმეთა დიასპორები.

ამ ომის შედეგად, რომელიც დროებით შეწყვეტილია სამხრივი, – რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის, აზერბაიჯანის პრეზიდენტ-ილხამ ალიევისა და არმენიის პრემიერ-მინისტრ ნიკოლა პაშინიანის ერთობლივი განცხადების საფუძველზე, აზერბაიჯანს დაუბრუნდა ადრე წართმეული შვიდი რაიონი, – ანკლავებით და ვიტყოდი, შეგნებულად გადაეცა დამატებით თვით ნკო-ს 1/3 ნაწილი, ქალაქი შუშით. ამასთან დაკავშირებით ცხადია მხარეები დამატებით გააფორმებენ სამშვიდობო ხელშეკრულებას და მისით უფრო გაირკვე-

ვა ომის კონკრეტული შედეგები.

ამ ომის შედეგად როგორც ირკვევა აზერბაიჯანი, რუსეთთან ერთად მიიღებს ნახჩევანზე გავლით თურქეთთან დამაკავშირებელ საგზაო-საკომუნიკაციო დერეფანს, რაც პრინციპში არმენიას დააკარგვინებს რუსეთისათვის სტრატეგიულ მნიშვნელობას, რამეთუ მის ადგილს დაიკავენ უფრო სამხრეთით მდებარე აზერბაიჯანის შემადგენლობაში მყოფი ნახჩევანი. საამისოდ მას უკვე ხუთი წლის ვადით შემოყვანილი ყავს ყარაბახში სამშვიდობო ძალები, თურქეთთან ერთად.

საზღვრის სადემარკაციო საქმეში ჩართულია რუსეთიც. ახლაც იგივე მეორდება, რაც 20-იან წლებში.

ამ ომის პერიოდში თურქეთის პრეზიდენტმა ტაიპ ერდოგანმა ბაქოში განაცხადა, რომ „...არმენია რეგიონში წარმოადგენს მშვიდობის ყველაზე დიდ საფრთხეს. თურქეთი, კი, ისე როგორც ყოველთვის მოძმე აზერბაიჯანის გვერდშია, რამეთუ ჩვენ ერთი ხალხი ვართ ორ სახელმწიფოდ!“ ამით ყველაფერია ნათქვამი, ისე როგორც რუსეთის მიერ არმენი ხალხისადმი გატარებული პოლიტიკით.¹²⁷

რა თქმა უნდა არმენია რეგიონისათვის „ყველაზე დიდი საფრთხე“ კი არაა, არამედ თურქეთის მიერაა იგი „ჯვარცმული“, და თან „ბოროტებად“ მოიხსენიებს. რეალურად კი ვინაა არმენი ხალხი, მოცემულ წიგნში გადმოცემული მათი ისტორია ნათლად მონიშნავს. ხოლო ერდოგანის სიტყვები: „ერთი ხალხი ორ სახელმწიფოდ...“, რაც პრინციპში სწორია, მიგვანიშნებს იმაზე, რომ თურქეთი და აზერბაიჯანი ყოველთვის ერთად იყვნენ და კვლავაც ერთად იქნებიან საერთო მტრის, მათ შორის არმენიის წინააღმდეგ.

ნიკოლა ფაშინიანის ქვეყნისათვის დამლუპველი პოლიტიკის გამო ეჭვი მიჩნდება მის არმენიულ წარმომავლობაშიც, რამეთუ მისი გვარის ფუძე – „ფაშა“, – თურქული სიტყვაა და არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მისი წინაპრები თურქები იყვნენ!

